შემეცნებითი საუბრები
გვ. 3

ინტერვიუ
მიტროპოლიტი ანანია: თუ გვექნება სიყვარული ღვთისა და მოყვასისა, გვექნება მშვიდობაც და სტაბილურობაც
გვ. 10

ედიშერ ჭელიძე: სვეტიცხოვლის მთაზე გამოცხადებული ცეცხლოვანი ჯვრისა და მცხეთის ჯვრის ჰეოროლოგია
გვ. 6

ინტელექტუალური ჯონჯუხი „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ განცხადება, დებულება
გვ. 15

მოგზაურობა ზემო სვანეთში
გვ. 19

ვცხოვრობთ ისე, თითქოს აღსდგომა მოვჯდებით და ვჯდებით ისე, თითქოს აღსდგომა გვიცხოვრია!
გვ. 34

ღირსეული შვილთა აღსაზრდელად
გვ. 32

ინტერვიუ „შავ სამოსელში ნაპოვნი ცხოვრება“
გვ. 38



IV მსოფლიო საეკლესიო ყრება
გვ. 37

SOS!!! ნარკომანია ნარკომოვაჭრის დღიური
გვ. 44



ფილოსოფია „ევროპის დასასრული“
გვ. 42

ქართული პოეზიის ახალი
გვ. 51

წმ. ეკრემონ II ცხუმის ეპარქიის შესახებ
გვ. 48

თანამედროვე ქართული სამოსის ფესტივალი
გვ. 52

სტუდენტური ჯინოფესტივალი „ოქროს თავთავი“
გვ. 55

სარჩევი

განახლდა შემეცნებითი საუბრები ---------- 3

ედიშერ ჭელიძე - სვეტიცხოვლის მთაზე გამოცხადებული ცეცხლოვანი ჯვრისა და მცხეთის ჯვრის ჰეორტოლოგია ---------- 6

მიტროპოლიტი ანანია: „თუ გვექნება სიყვარული ღვთისა და მოყვასისა, გვექნება მშვიდობაც და სტაბილურობაც" ---------- 10

ინტელექტუალური კონკურსი „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას"
განცხადება ---------- 15
დებულება ---------- 18

მოგზაურობა ზემო სვანეთში ---------- 19

ღირსეულ შვილთა აღსაზრდელად ---------- 32

ვცხოვრობთ ისე, თითქოს არასოდეს მოვკვდებით და ვკვდებით ისე, თითქოს არასოდეს გვიცხოვრია! ---------- 34

IV მსოფლიო საეკლესიო კრება ---------- 37

„შავ სამოსელში ნაპოვნი ცხოვრება" ---------- 38

„ევროპის დაისი" ---------- 42

ნარკომოვაჭრის დღიური ---------- 44

წმიდა მღვდელმთავარი კირიონ II ცხუმის ეპარქიაში არსებული ვითარების შესახებ ---------- 48

ქართული პოეზიის არწივი ---------- 51

„თანამედროვე ქართული სამოსის ფესტივალი ---------- 52

სტუდენტური კინოფესტივალი „ოქროს თავთავი" ---------- 55

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ:

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ᲘᲚᲘᲐ II

6 ოქტომბერს, განახლდა შემეცნებითი საუბრები საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში. პირველი საუბარი და პირველი დალოცვა, ამ ახალ სასწავლო წელს, ახალგაზრდებმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისგან მიიღეს.

თავდაპირველად უწმიდესმა გაიხსენა წმიდა დავით წინასწარმეტყველის სიტყვები: „მაუწყე მე უფალო გზაი, რომელსაცა ვიდოდი“ და აღნიშნა, რომ ყოველმა ადამიანმა უნდა ნახოს გზა, რომელიც სასუფეველში მიიყვანს, გზა, რომელიც უნდა იყოს სათნო ღვთისთვის. უწმიდესმა ისაუბრა ჯვრის მტვირთველობაზე და იმაზე, რომ როდესაც ადამიანს არა აქვს ძალა, უფალს უნდა მოუხმოს. ადამიანი განსაცდელისთვის მუდამ მზად უნდა იყოს და როგორც დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „მოეწყინა სულსა ჩემსა ჩემთანა“, ასეთ შემთხვევაში ძალაგამოცლილნიც უნდა ავდგეთ და უფალს ვთხოვოთ მოგვეცეს ძალა.

„იყო ისეთი დღეები, თვეები, წლები, როცა ძალიან უჭირდა ეკლესიას და ველარ ვპოულობდი გზას. სწორედ ამ დროს დაიწერა ძალიან უბრალო, მაგრამ გულიდან ამოსული სიტყვები:

„დავიღალე, დავიღალე, მოდი ჩემთან უფალო“. მოდი ავდგეთ ყველა და ვიგალობოთ“ — მიმართა უწმიდესმა აუდიტორიას და მთელ დარბაზში ახმიანდა მშვენიერი საგალობელი.

გალობის დასრულების შემდეგ უწმიდესმა ისაუბრა მადლის შესახებ, რომ თუმცა უძლური ყველაა, მაგრამ მადლი ყველას აქვს და ყველას სჭირდება. რომ ყველაზე დიდი საუნჯე თვითონ ადამიანია და მისი უკვდავი სული: **„უფალი ამბობს, მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“. ამიტომ უნდა ვმადლობდეთ რომ ჩვენთან არს ღმერთი. ეს სიტყვები „ემმანუელი“, რაც ნიშნავს „ჩვენთან არს ღმერთი“, წმიდა წერილშია მოცემული და ჩვენც ხშირად უნდა გაიმეოროთ და ღრმად უნდა ჩასწვდეთ“.**

მაინც ვინ არის ადამიანი? ვინ ვართ? წმიდანები, ცოდვილები? ერთი ფილოსოფოსი

ამბობს — ადამიანი ევოლუცია კი არა — რევოლუციაა, სულ ახალია და უნდა ითქვას, რომ მისი სული უდიდესი ფასეულობაა. რომ შევკრიბოთ მთელი მსოფლიოს საუნჯე — არ ღირს ერთი ადამიანის სულად".

უწმიდესმა ასევე გაიხსენა ცნობილი მეცნიერის, ივანე პავლოვის ამბავი, რომელიც მღვდლის შვილი იყო. ერთხელ კრემლის ერთერთ მაღალი წოდების ადამიანს უკითხავს მისთვის: „ნუთუ მსოფლიოში ასეთი ცნობილი მეცნიერი მორწმუნე ხართ?" პავლოვს უთქვამს: „როცა ვსწავლობთ ადამიანის სისხლს, მორწმუნე კი არა, შეიძლება წმიდანი გავხდეთ, ეს იმდენად ამტკიცებს ღვთის არსებობას". პავლოვი ასევე ამბობდა, რომ ადამიანს გააჩნია ორი გონება, დიდი და მცირე. მცირე გონება — აზროვნებაა და დიდი — გული.

უწმიდესმა გაიხსენა სოლომონ ბრძენის თხოვნა უფლისადმი, მიეცა მისთვის გული გონიერი და აღნიშნა, რომ ჩვენში ძალიან ძლიერია გულის გრძნობების კულტურა, რომელიც ხანდახან უარყოფითშიც გადადის და ამიტომაც მან სთხოვა ქართველ მეცნიერებს დაწერონ წიგნი და სკოლის პროგრამაში შეიყვანონ ფილოსოფიისა და ანალილტიკური აზროვნების სახელმძღვანელო.

უწმიდესმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ სამწუხაროდ წინ ვერ ვუძღვით მოვლენებს და უკან მივდევთ. რა მოხდა აფხაზეთსა და ცხინვალში, ახლა ვაანალიზებთ. წინასწარ უნდა გაგვეანალიზებინა, თუ რა შესაძლო შედეგები მოჰყვებოდა ამა თუ იმ ქმედებას და ისე უნდა წაგვეყვანა სამშობლო და ცხოვრება, რომ ის არ მომხდარიყო, რაც მოხდა.

„არაერთხელ მითქვამს, კედელი და ჩიხი არ არსებობს. თუ კედელი დაგვხვდა, თავით კი არ დაეჯახო, გასინჯე, მართლა კედელია თუ არა და შემოუარე, რომ გასასვლელი კარი იპოვო" — აღნიშნა უწმიდესმა და დაამატა, რომ ანალიტიკური აზროვნების კურსი 1-დან 12-კლასამდე უნდა იყოს და თანდათან გართულდეს.

ამგვარად საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ საქართველო მიიღებს როგორც განათლებულ, ამავდროულად მოაზროვნე ახალგაზრდობას, რომელიც ყოველივეს გაანალიზებს და წინასწარ დაინახავს შედეგებს.

„უნდა ითქვას, რომ ადამიანს აქვს უდიდესი მოქმედების და აზროვნების ამპლიტუდა. არის ჯოჯოხეთი და არის სასუფეველი, მათ შორის კი კიბე, რომელზეც ვდგავართ. ჩვენი მოვალეობაა ავიდეთ ამ კიბეზე და არ დავეშვათ დაბლა. ასე რომ დაბადებულები ვართ ნეტარებისთვის და არა ტანჯვისთვის".

უწმიდესმა, როგორც აქამდე არაერთხელ აღუნიშნავს თავის ეპისტოლეებში, კიდევ გაიმეორა, რომ ვცხოვრობთ ძალიან რთულ დროში, სადაც მიდის ყველაფრის გადაფასება. რაც ადრე ფასეული იყო, დღეს აღარაფერია და სულ სხვაა ფასეული (მაგალითად მოიყვანა კულტურა, სიმღერები, საგალობლები). მან ასევე გაიხსენა მისი გერმანიაში ყოფნის დროს, როგორ ესაუბრა მას გულისტკივილით ერთი მინისტრი, რომ მათ ქვეყანაში აღარავის აინტერესებს აღარც ბახი, აღარც ბეთჰოვენი, რომ მოდის რითმები ამერიკიდან, რომელთა სათავეც აფრიკაშია.

უწმიდესმა ახსენა გლობალიზაციის პროცესი, რის საშუალებითაც დიდი ქვეყნებისაგან მეტად მძიმე პრესი აწვება მცირე ქვეყნებს და ხდება იდეების თავს მოხვევა. მან აღნიშნა აგრეთვე ის, რომ თავისუფლება არის გამოცდა და რომ ადამიანი, ვინც ცოდვის გზა აირჩია, ვერ გაძლებს და დაიტანჯება სასუფეველში. ისაუბრა, რომ გლობალიზაცია უკვე ყველგან იგრძნობა და ქართველებს უნდა გვქონდეს სულიერი ხედვა, რომ გავარჩიოთ სად არის კეთილი, და სად ბოროტი, რომ გლობალიზაციას აქვს სუბიექტი და ობიექტი. სუბიექტი, ეს არის

დიდი ძალა, რომელიც ხშირად იყენებს ფულს, რათა სხვამ მიიღოს მისი იდეები. უწმიდესმა აუდიტორიას შეახსენა, რომ ჩვენი ქვეყანა არის უდიდესი კულტურის ქვეყანა და მისი სულიერი საუნჯე და კულტურა, მეცნიერება და ინტელექტი არ უნდა დავკარგოთ.

„შეხედეთ რა ხდება ახალგაზრდობაში. ის ხშირად მიდის ფინანსებისა და ეკონომიკის დარგში. ეძებს იოლ გზას. მას აღარ სჭირდება მათემატიკა, ფიზიკა, ფილოსოფია, ლიტერატურა, ისტორია... ხშირია ისიც, როცა ოჯახები (ძირითადად შეძლებული) ასწავლიან შვილს ყველაფერს, დაწყებული სპორტიდან და უცხო ენებით დამთავრებული, მაგრამ რწმენას და სიყვარულს ვერ ასწავლიან. პირიქით, თუ შვილმა რაიმე სიკეთე გააკეთა, კიცხავენ. ეს თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ დავკარგავთ ჩვენს საუნჯეს, ჩვენს ფასეულობებს“.

უწმიდესმა გაიხსენა მისი აფხაზეთში ყოფნის პერიოდი, როცა ის ყველაფერს აკეთებდა, რომ ხალხი ეკლესიაში მისულიყო, თუმცა, მათი შემოკრება, მაინც, ძნელი აღმოჩნდა. მრევლი ასრულებდა საიდუმლოებებს, მაგრამ, მათივე თქმით, ეკლესიაში სიარულისთვის დრო არ ჰქონდათ და სწორედ ამან მოიტანა ისეთი განსაცდელი, რომელმაც ყველაფერი დაგვაკარგინა. უწმიდესმა კვლავ გაიმეორა, რომ ამისდა მიუხედავად, არც აფხაზეთი და არც ცხინვალი დაკარგული არ არის და დადგება დრო, როცა ზეიმით შევალთ იქაც და იქაც. **„ამისთვის რწმენა, სიყვარული და სასოებაა საჭირო, იმედით უნდა ვიყოთ. როგორც ჯვართამაღლებას ვთქვი, ჩვენი ცხოვრებით უნდა შევქმნათ ჯვარი. ვერტიკალური ხაზი — სწრაფვა ღვთისაკენ (ლოცვა, მარხვა და ა.შ.) და ჰორიზონტალური — სწრაფვა ადამიანური ურთიერთობისკენ, სიკეთის ქმნისაკენ“.**

საუბრის ბოლოს უწმიდესმა გაიხსენა მიტროპოლიტი ანტონი სუროჟელი, რომელსაც კარგად იცნობდა და ხშირად ესაუბრებოდა ფილოსოფიასა და საუფლო ცხოვრებაზე. გაიხსენა მის მიერ აღწერილი შემთხვევა:

ერთი ადამიანი ეკლესიაში მიდიოდა წირვაზე, დამთავრებისას კი, როცა ყველა წავიდოდა, რჩებოდა და ხატს უყურებდა. ერთხელ მოძღვარს უკითხავს:

— ლოცულობ?

— არა!

— მაშ ხელოვნებას სწავლობ?

— არა!

— აბა რას აკეთებ? — გაკვირვებია მოძღვარს.

— მე ვუყურებ მაცხოვრის ხატს, ის მიყურებს მე და ჩვენ ერთად კარგად ვართ, — უპასუხა კაცმა.

„ჩვენც ამას უნდა მივაღწიოთ. უნდა ვუყურებდეთ მაცხოვარს! ის უნდა გვიყურებდეს ჩვენ და ჩვენ ერთად კარგად უნდა ვიყოთ“ — ასე დაასრულა საუბარი უწმიდესმა.

დარბაზიდან იყო კითხვები, მოსაზრებები და დასასრულს აუდიტორიამ კვლავ უწმიდესთან ერთად იგალობა საგალობელი „დავიღალე“.

ნინო ჭინჭარაული

ედიშერ ჭელიძე

სვეტიცხოვლის თაღზე გამოცხადებული ცეცხლოვანი ჯვრისა და მცხეთის ჯვრის ზეიმიერება



ქართულ საეკლესიო ტრადიციაში ცნობილია სათნო გადმოცემა მცხეთაში ჯვრის აღმართვისა და შემდგომ მისი სასწაულებრივი გამოჩინების შესახებ. ეს მოვლენები საგანგებო დღესასწაულებით აღინიშნებოდა. კერძოდ, პირველი (**ჯვრის აღმართვა**) იდღესასწაულებოდა აღდგომიდან მესამე კვირადღეს (**„დღესა კვირიაკესა, აღვსებისა ზატიკის-ზატიკსა“**), ხოლო მეორე — სულთმოფენობის შემდგომ **პირველ ოთხშაბათს** და ორივე ეს ერთმთლიანი მოვლენა თავისი მადლმოსილებით უთანაბრდებოდა (და უთანაბრდება), ერთი მხრივ, 14 სექტემბერს ჯვრის აღმართვის (ანუ ძველი ქართულით „ჯუართა აღპყრობის“) და მეორე მხრივ, იერუსალიმში აღსრულებული ჯვრის გამოჩინების (351 წ., ხსენება 7 მაისს) უდიდეს დღესასწაულებს.

აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით ყველაზე ძველი და დაწვრილებითი უწყება დაცულია სახელგანთქმულ ძეგლში „მოქცევაი ქართლისაი“, რომლის ოცდამესამე და ოცდამეოთხე თავები მოგვითხრობს მცხეთის ჯვრის აღმართვის შესახებ. ამავე თხრობას გადმოგვცემს ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებაც“. მცხეთის ჯვრის აღმართვის ამბავი დაცულია, აგრეთვე, არსენ ბერის შრომაში „ცხორებაი წმიდისა ნინოისი“ და, კიდევ, ანონიმი ავტორის თხზულებაში „ცხორებაი ღირსისა ნინოისი“.

აღნიშნული წყაროების შეჯერებით მცხეთის ჯვრის აღმართვის ამბავი მოკლედ შეიძლება ასე გადმოიცეს:

სვეტიცხოვლის აშენების შემდეგ წმინდა ნინომ კვლავ განმარტოება ინება და ავიდა მცხეთის პირდაპირ მდებარე მთაზე, სადაც მისი უშრეტი ლოცვით კლდის ძირას მაკურნებელი წყარო აღმოცენდა.

ამ დროს მთავარეპისკოპოსი იოანე შეუდგა შესაფერისი ხის ძებნას, რომ მისგან ჯვრები გამოეკვეთა. წმინდა ნინოს მიერ აღმოცენებული წყაროს პირას ნახეს ერთი მშვენიერი, ფურცლოვანი ხე, რომლის ნაყოფიც სასწაულებრივად კურნავდა დაჭრილ ცხოველებს. მოჭრეს ეს ხე ოცდახუთ მარტს, ხარების დღესასწაულის დღეს, პარასკევს, პირველ მაისს მისგან გამოკვეთეს სამი ჯვარი და **შვიდ მაისს სვეტიცხოველში აღმართეს ისინი**.

ცეცხლოვანი ჯვრის პირველი გამოცხადება

სწორედ შვიდი მაისის ღამეს მოხდა სვეტიცხოვლის თავზე. „მოქცევაი ქართლისაი“ ასე აგვიწერს ამ მოვლენას:

„და იხილეს სიმრავლემან ქალაქისამან ბნელთა მათ ღამეთა, და აჰა ჩამოვიდის ჯუარი ცეცხლისაი დაგვირგვინებული ვარსკულავითა და დაადგრის ზედა ეკლესიასა ვიდრე განთიადადმდე, და ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა ამას ზედა და განთიად, რიჟურაჟუს ოდენ, გამოვიდის მისგან ორი ვარსკულავი. ერთი იგი წარვიდის აღმოსავალით და ერთი დასავალით, და იგი თავადი ეგრევე დგან მბრწყინვალედ და ნელიად-ნელიად განდგის მიერკერძო არაგუსა და დადგის ბორცუსა ზედა კლდისასა, ზემო-კერძო, ახლოს წყაროსა მას, რომელი-იგი აღმოადინეს ცრემლთა წმიდისა ნინოსთა და მუნით აღმაღლდის ზეცად“.

ასე გვაუწყებს „მოქცევაის“ ის რედაქცია, რომელიც X საუკუნის ცნობილმა შატბერდულმა ხელნაწერმა შემოგვინახა. საგულისხმოა, რომ იმავე „მოქცევაის“ მეორე რედაქცია, რომელსაც „ჭელიშური“ ეწოდება, ურთავს ერთ უაღრესად საყურადღებო ცნობას:

„და იგი თავადი, რომელი არს ჯუარი ქრისტეს ღმრთისაი“.

ეს სიტყვები ცხადყოფს, რომ **„ჯუარი ცეცხლისაი“, რომელიც სვეტიცხოვლის თავზე გამოცხადდა**, მხოლოდ ჯვრის ნიში კი არ იყო, არამედ **საკუთრივ გოლგოთის ჯვარი, მოგვიანებით იერუსალიმშიც ჩენილი იმავე 7 მაისს**.

ზემოაღწერილი სასწაული რამდენჯერმე განმეორდა. ცეცხლოვანი ჯვრიდან გამოკრთომილი ვარსკვლავების კვალზე მიყოლით დადგინდა, რომ ერთი მათგანი თხოთის მთასთან უჩინარდებოდა, მეორე კი — სოფელ ბოდისთან. წმინდა ნინოს ბრძანებით ერთი ჯვარი აღმართეს თხოთის მთაზე, მეორე — უჯარმაში, ხოლო დაბა ბოდისის მცხოვრებთ წმინდანმა აღუთქვა, რომ თვით მივიდოდა მათთან.

სასწაულებრივი ხისგან გამოკვეთილი მესამე და **მთავარი ჯვარი**, რომელიც ზედმიწევნით იმგვარი იყო, როგორიც **ზემოხსენებული ცეცხლოვანი ჯვარი** (იგივე **გოლგოთის ჯვარი**) და რომელშიც ნაწილად არის ყოვლადწმინდა ჯვარი ვაზისა, დააბრძანეს იმ მთაზე, სადაც წმინდა ნინო მკვიდრობდა, და უდიდესი შიშით და კრძალვით აღმართეს იქ **კვირა დღეს**. სწორედ ესაა **ყოვლადდიდებული მცხეთის ჯვარი**, რომელსაც „მოქცევაი ქართლისაი“ ასე უწოდებს: **„სასწაულთაგან ზეცისათა ჩუენებული პატიოსანი ჯუარი მცხეთისაი“**.

როდესაც აღიმართა მცხეთის ჯვარი, მყისვე დაეცა და განადგურდა წარმართული კერპები. დაწესდა დღესასწაულიც: „დააწესეს დღესასწაული ძლევითშემოსდილისა ჯუარისაი **აღვსებისა ზატიკის-ზატიკსა**, დღესა კვირიაკესა, ყოველმან ქართლმან ვიდრე დღენდელად დღედმდე და ვიდრე უკუნისამდე“ (ძქალძ. ისტ., I, გვ. 154; შდრ. იოანე-ზოსიმეს კალენდარი: **„კრიაკესა მესამესა ზატიკთა... მცხეთისა ჯუარისაი“**, კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 279).

რამდენიმე დღის მერე, **სულთმოფენობის** (ანუ ძველი ქართულით: **„მარტვილიის“**) დღესასწაულის შემდგომ, **ოთხშაბათ დღეს** აღსრულდა **ჯვრისებრი ნათლის სვეტის გამოცხადება**, ამჯერად უკვე **მთაზე აღმართული მცხეთის ჯვრის თავზე**. „მოქცევაი ქართლისაი“ ასე აღგვიწერს ამ უდიდეს სასწაულს:

„და იყო რაოდენისამე ჟამისა შემდგომად, მარტვილიისა უკუანა, იხილეს სასწაული დიდი და საშინელი დღესა ოთხშაბათსა: აჰა ესერა **სუეტი ნათლისაი სახედ ჯუარისა დგა ზედა ჯუარსა მას** და ათორმეტნი ანგელოზნი დაგვირგვინებულ იყვნეს გარემოის მისა. ეგრევე სახედ ათორმეტნი ვარსკულავნი დაგვირგვინებულ იყვნეს, ხოლო ბორვი იგი ჯუარისა ერთსახედ კუმოდა სულნელად“.

ცოტა ხნის შემდეგ კვლავ აღსრულდება **ჯვრის სასწაული**:

„და მერმე კუალად იხილეს სხუაი სასწაული პატიოსნისა ჯუარისაი: ვითარცა ცეცხლი, დგა, და ვითარცა ალი, ეგზებოდა ზედა თავსა ჯუარისასა სამგზის მზისა უბრწყინვალესი, და ვითარცა სახუმილსა რაი ნაბერწყალი აღვალნ ძლიერად, ეგრე სახედ იყო: აღვიდოდეს ანგელოზნი და გარდამოვიდოდეს ზედა პატიოსანსა ჯუარსა, ხოლო ბორცვი იგი ჯუარისაი იხარებდა ძლიერად და ყოველი ქუეყანაი იძრვოდა, და მთათა და ბორცუთა და ღელეთა

არმური სულნელებისა აღვიდოდა ცამდე, და კლდენი შეიმუსრვოდეს და სულნელებაი დიდძალი მიეფინებოდა ყოველსა ქუეყანასა. და ესე არა ზედამოით იყო და არცა თანაწარსლვით, არამედ მყუვარ ჟამ. და ხმანი დიდნი ისმოდეს. და ყოველი იგი ერი ჰხედვიდა მას და ესმოდა ოხრაი იგი გალობისაი; შეშინდეს და დაუკვირდა ფრიად, შიშით და ძრწოლით თაყუანისსცემდეს პატიოსანსა ჯუარსა და სიხარულითა დიდითა ადიდებდეს ღმერთსა".

ჯვრის სასწაულები კვლავაც გრძელდებოდა („და შემდგომად ამისა სხუანი მრავალნი სასწაულნი და ნიშნი იქმნებოდეს ზედა პატიოსანსა ჯუარსა ზეცით გარდამო"), მაგრამ რადგანაც ყველაზე მნიშვნელოვანი და ზეაღმატებული გამოცხადება ოთხშაბათ დღეს მოხდა, ეს დღე დაამკვიდრა საქართველოს ეკლესიამ მცხეთაში ჯვრის სასწაულებრივი გამოჩინების დღესასწაულად.

აღნიშნული დღესასწაული საგანგებოდაა აღნიშნული X საუკუნის I ნახევრის საგალობელთა კრებულში ანუ იადგარში (შინ. 1), სადაც ვკითხულობთ:

„შემდგომად მარტუილიასა ოთხშაფათსა **ქართლს ჯუარისაი**".

ამასვე გვაუწყებს X საუკუნის კიდევ ერთი ხელნაწერი შინ. 14:

„დღესა ოთხშაბათსა, შედეგად მარტუილიასა, **ჯუარისა მცხეთისაი**".

აღნიშნული ცნობა შენიშვნის სახით აქვს დართული X საუკუნის II ნახევრის ხელნაწერს შინ. 64:

„შემდგომად მარტვილიისა ოთხშაბათსა ქართლს **ჯუარისაი**".

ამავე დღესასწაულზე უთითებს იოანე-ზოსიმეც: „დღესა ოთხშაფათსა შემდგომად მარტვილიისა მცხეთისა ჯუარისაი".

საგულისხმოა, რომ ამ დღესასწაულისათვის საგანგებო საგალობელი დაწერილი არ ყოფილა. სამივე ზემოდამოწმებული ხელნაწერი მიუთითებს, რომ ამ დღეს იკითხებოდა ის საგალობლები, რომლებიც წარმოითქმებოდა იერუსალიმში 7 მაისს გამოჩენილი ჯვრის სასწაულთან დაკავშირებით, რაც მთელ საქრისტიანოში აღინიშნება. ამიტომაა, რომ აღნიშნული ხელნაწერები მცხეთის ჯვრის დღესასწაულთან დაკავშირებით შენიშნავენ:

„მაისსა ჰპოვნე", ე. ი. შესაბამისი საგალობლები 7 მაისის დღესასწაულზე ნახეო.

ამ ფაქტით, კვლავ დასტურდება ის, რაც ზემოთ აღვნიშნეთ:

მცხეთაში ჯვრის გამოჩინების სასწაული მიიჩნეოდა თვით გოლგოთის ჯვრის გამოცხადებად, რაც, გარდა მცხეთისა, სასწაულებრივად მოევლინა იერუსალიმსაც 351 წ-ის 7 მაისს. ეს ორი გამოცხადება იგივეობრივია, ერთი მთლიანობაა, რაც უმჭიდროესად აკავშირებს ერთმანეთთან **იერუსალიმს და მცხეთას** და გასაგებს ხდის, თუ რატომ ეწოდა იმ მთას, რომელზეც მცხეთის ჯვარი აღიმართა, **გოლგოთის მთა**. კ. კეკელიძის გამოკვლევა **მცხეთის, როგორც „მეორე იერუსალიმის"** შესახებ, ამ სასწაულით სრულყოფას იძენს და ნათელი ხდება, რომ **საქართველოს ეკლესიისთვის მცხეთის ჯვარი მაცხოვრის ანუ იერუსალიმის ჯვრად განიჭვრიტება, ხოლო მცხეთის გოლგოთა, სადაც ჯვარი აღიმართა, სულიერად იერუსალი-**

მის გოლგოთის იგივეობრივად წარმოჩნდება.

მცხეთის ჯვრის იგივეობა გოლგოთის ჯვართან ცხადყოფს, რომ **ეს ორი სიწმინდე არსობრივად ერთი და იგივეა და მათი სულიერი რაობაც იდენტურია.** შესაბამისად, საკუთრივ მცხეთის ჯვარზე სრულად ვრცელდება ის შეფასება, რაც საეკლესიო ტრადიციაში გოლგოთის ჯვართან დაკავშირებით არის განჭვრეტილი. წმ. ანდრია იერუსალიმელის მიერ ცხადყოფილია, რომ **გოლგოთის ჯვარი** აღიმართა **„ყოველი სოფლის“** ანუ **მთელი ქვეყნიერების** შუაგულში, გოლგოთის თხემზე, რათა მთელი სოფელი შემოეცვა („გარეშეეზომა“) მას და მთელი სოფლისადმი განევრცო თავისი ცხოველმყოფელი და დამფარველი ძალა. მოგვაქვს ციტატა:

„ხოლო რამეთუ შორის ქუეყანისა და საშუალსა ადგილსა **ყოვლისა სოფლისასა** არს ადგილი თხემისაი, ნუმცა ვინ არს იჭუნეულ, რამეთუ ჯერ-იყო, ვითარცა ველისა დიდისაი, **გარეშეზომაი ყოვლისა სოფლისაი და მართლ საშუალსა ქუეყანისასა აღმართებაი ცხოველსმყოფელისა ძელისაი,** რაითა ვითარცა სხუაი მზე სიმართლისაი ზეცით აღმობრწყინვებული შეამკობდეს საშუალსა ცისასა და **შორის ყოვლისა სოფლისა დანერგული** და სამყაროდ ქუეყანისა განრთხმული ძელი ჯუარისაი, რომელი-იგი ნათლისსახითა მცხინვარებითა მისწუთების კიდეთა **ქუეყანისათა**“ (ძველი მეტაფრასული კრებულები, ნ. გოგუაძის გამოც. თბ. 1986, გვ. 320).

აღნიშნული გარემოება უეჭვოდ გვიდასტურებს, რომ **მცხეთის ჯვრის პოსტამენტის წარწერაში,** სადაც ნაუწყებია ხსენებული ჯვრის აღმართვა **„მცველად ყოვლისა [...]“**, ბოლო, დაზიანებული სიტყვა უნდა იყოს არა „ნათესავისა“, „შთამომავლობისა“, „მომავალისა“ თუ „ქართლისა“, როგორც ეს სხვადასხვა დროს ამათუიმ მკვლევრის მიერ გამოთქმულა, არამედ — **„სოფლისა“. ხსენებული წარწერა სწორედ იმის ხაზგასმაა, რომ ზეცით ჩინებული მცხეთის ჯვარი როგორც იგივეობრივი გოლგოთის ჯვრისა, აღიმართა მცხეთის გოლგოთის მთაზე ანუ სულიერად იმავე ქვეყნიერების შუაგულში „მცველად ყოვლისა სოფლისა“** (შდრ. იოანე ზედაზნელის ცხოვრება“: „წიაღ-ვლო მდინარე არაგვი, მიიწია იგი წინაშე მომცემელსა ცხორებისასა ჯუარსა, **რომელსა ფრთეთა ქუეშე მისთა დაუფარავს ყოველი** ყოვლისაგან შემთხუევისა ბოროტისა“, ძქალძ, I, გვ. 201).

ამრიგად, რადგან **მცხეთის ჯვარი სულიერად იგივე გოლგოთის ჯვარია,** შესაბამისად, **მისი აღმართვაც ისევე ერთგზისია, როგორც იერუსალიმის ჯვრისა.** ამიტომ, ვფიქრობთ, დაუშვებელია მცხეთაში ჯვრის აღმართვის განმეორება. ნათელია, რომ **ჩვენ უნდა ვდღესასწაულობდეთ არა ჯვრის ხელახლა აღმართვას, არამედ წმინდა ნინოს ჟამს, აღდგომიდან მესამე კვირადღეს, ერთგზის აღმართული „სასწაულთაგან ზეცისათა ჩუენებული პატიოსანი ჯვრის“ უდიადეს და განუმეორებელ მოვლენას და ამ მოვლენასთან განუყრელად დაკავშირებულ მეორე სასწაულს, იმავე მცხეთის ჯვრის ზეცით გამოჩინებას მარტვილიის შემდგომ ოთხშაბათს.**



მიტროპოლიტი ანანია: „თუ გვიყვარს სიუვარული ღვთისა და კუვალისა, გვიყვარს კაცობაც და სტალინურობაც“



— დაგვლოცეთ მეუფეო. თუ შეიძლება, გაიხსენეთ თქვენი ბავშვობის წლები.

— ღმერთმა დაგლოცოთ.

ჩვენ, კომუნისტურ ეპოქაში ვცხოვრობდით. ადამიანები ცდილობდნენ ეცხოვრათ იმ წესით, რომელიც საზოგადოებაში იყო დანერგილი. მაგრამ ბებია მყავდა გამონაკლისი. ბებიას ავგუსტინა ერქვა, ესე იგი ავგუსტა. ავგუსტა ნიშნავს იმპერატორს. მას მოწამეთას ეკლესიაში დავყავდი. მე ტყიბულში დავიბადე და მოწამეთა ცოტა მოშორებით, უფრო ქუთაისთან ახლოს მდებარეობს.

მახსოვს, როგორ მივყავდი მატარებლით. მოწამეთას სადგურში ბაქანი არ იყო, ამიტომ ხალხი იძულებული იყო მატარებლიდან გადამხტარიყო. მათ ეკლესიაში საკურთხი მიჰქონდათ.

მახსოვს, იქ ბებიას სეფისკვერებს აძლევდნენ. მაშინ სეფისკვერს „ევლოგიას“ უწოდებდნენ. ევლოგია, როგორც მერე გავიგე, ბერძნული სიტყვაა და საჩუქარს ნიშნავს. ევლოგიას წირვის ბოლოს ურიგებდნენ ხალხს. ბებია მოწიწებით ინახავდა მას, იცავდა სარწმუნოების წესებს და საუბრობდა კიდეც ჩემთან ეკლესიისა და რწმენის შესახებ.

მაგალითად, ერთ ღამეს ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ვუყურებდი. ამ დროს ბებიამ გამოიარა და მითხრა: „დაუკვირდი ბებია, ასეთი წესრიგი ცაში ღვთის გარეშე შეიქმნებოდა?!“

ჩემთვის ძალიან შთამბეჭდავი იყო ეს და დღემდე დაუვიწყარი. რამდენი ხნისა ვარ, ახლაც დღესავით მახსოვს.

საერთოდ, მე არ მინახავს ბოლომდე ურწმუნო ადამიანი, ყველა, რა თქმა უნდა, ღვთის მოშიში იყო. ოღონდ, ორნაირად ცხოვრობდა იმდროინდელი საზოგადოება. ერთი, ასე ვთქვათ იყო ოფიციალური ნაწილი და მეორე — საოჯახო, ანუ არაოფიციალური. საოჯახო, ჩვეულებრივ ურთიერთობებში ყველა ღვთის მოშიში იყო. მე ღვთის შიში მქონდა, მაგრამ სკოლაში ამბობდნენ, რომ ღმერთი არ არსებობსო. ეს დაბეჯითებითი სწავლება იყო. ბავშვებს უნერგავდნენ ღმერთი არ არსებობს და ღვთის შესახებ ყველაფერი მოგონილიაო. ასე რომ, იმდროინდელი საზოგადოება ათეისტური იყო. ჩვენ ეს უნდა გავიაზროთ. ეს იყო ხალხის ოფიციალური ნაწილი, მაგრამ ამის გარეთ ხალხი ცხოვრობდა თავისუფალი ცხოვრებით. მრავალი ჩუმად ლოცულობდა და ტაძრებში დადიოდა.

მაგალითად, მახსოვს, ფერისცვალებას საგანგებო სუფრა უნდა ყოფილიყო. მახსოვს ასევე, შობის სუფრა, შობის შეხვედრა, აღდგომის სიხარული. ხალხი შინაგანი ცხოვრებით ცხოვრობდა, თავისი ნამდვილი ცხოვრებით.

ახლა ჩვენს თაობას ბედნიერი დრო დაუდგა. ბედნიერია ჩვენი საზოგადოება — ახალი თაობა რომ მოდის, იქნება ღვთის მოშიში და ღვთის მორწმუნე. ასე რომ, საქართველოს სამომავლოდ დიდი წარმატება ელოდება. მას ეყოლება მორწმუნე ხალხი, მორწმუნე ერი, ეს ბედნიერებაა.

— როგორ გაიხსენებდით თქვენი სტუდენტობის წლებს?

— სტუდენტობის დროს დავდიოდი ეფრემ II-ის, მერე კი — დავით V-ის ქადაგებებზე. კარგად მახსოვს პატრიარქმა ეფრემმა ერთ-ერთი ჩამოლოცვის დროს მითხრა: „გაძლიერდი“. ეს სიტყვა ჩემთვის დაუვიწყარია. რატომ მითხრა ეს — არ ვიცი, მაგრამ, რომ მითხრა — მახსოვს.

უწმიდესი ეფრემის ქადაგებებზე 25-30 ადამიანი თუ იკრიბებოდა სიონში. ტაძარი ძირითადად ცარიელი იყო. მერე, დავით V-ის ქადაგებებზე, უფრო ნაკლები ხალხი მიდიოდა. აღდგომის დღეს კი ყოველთვის სავსე იყო ტაძარი.

სტუდენტობიდან ერთ მეგობარს, სოსო კვაჭაძეს, გავიხსენებდი. იგი ძალზე თავისუფალი ადამიანი იყო; ცოტა მოხულიგნო, როგორიც საზოგადოებას უყვარს. მიკვირდა, როცა ვამბობდი — წავიდეთ, ღამე გავათენოთ სიონში, ის ყოველთვის მოდიოდა. მერე სემინარიის ხელმძღვანელი გახდა ბათუმში.

აღდგომის დღეს სიონი სავსე იყო ხალხით. მახსოვს, ჩემი სტუდენტობის დროს გარდაიცვალა პატრიარქი ეფრემი. მაშინ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ვსწავლობდი და დამამთავრებელ კურზე ვიყავი. ჯგუფელებთან ვთქვი, რომ გარდაიცვალა ჩვენი დიდი პატრიარქი ეფრემი. ისე გაუკვირდათ პატრიარქი ვინ არისო? ერთმა ჯგუფელმა კი მითხრა: „იცოდე შენ ფრთხილად იყავი, ტაძარში ნუ დადიხარ“. მაშინ თვითცენზურა არსებობდა. არა თუ მითხრა, არამედ მკაცრად გამაფრთხილა, პანაშვიდზე აღარ წავსულიყავი, რადგან იქ ყველას ათვალიერებდნენ. ასეთი იყო მაშინდელი მდგომარეობა.

იმჟამინდელი სამღვდელოება და მღვდელმთავრები წმინდანები და დიდი მოღვაწენი არიან. ჩვენ უნდა დავაფასოთ ათეისტური ეპოქის სამღვდელოება და სასულიერო პირები. არც თუ ისე დიდი ხნის, დაახლოებით 7-8 წლის წინ, გავიგონე ასეთი რამ: თითქოს იმდროინდელი სამღვდელოება თანამშრომლობდა სახელმწიფოსთან.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, სამღვდელოება და მისი თავდადება რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ქრისტიანები არ ვიქნებოდით, სამღვდელო პირები ფაქტობრივად სალოსები იყვნენ, სალოსები კარგი გაგებით. ისინი ძირითადად ღამე დადიოდნენ. თუ ვინმე გარდაიცვლებოდა, ოჯახებიდან ღამე მოდიოდნენ სასულიერო პირთან და ჩუმად მიჰყავდათ. ჩუმად სრულდებოდა ყველა საეკლესიო საიდუმლოება. დღისით თუ გამოჩნდებოდა სამღვდელო პირი, აკვირდებოდნენ. ამიტომ ისინი იძულებულები იყვნენ ისე წარმოედგინათ თავიანთი თავი საზოგადოებისთვის, თითქოს სულელები იყვნენ.

— როდის მოხდა თქვენი პირველი შეხვედრა უწმიდესსა და უნეტარეს ილია მეორესთან?

— მართლაც რომ დიდი სასწაული მოხდა ჩემს ცხოვრებაში, მადლობელი ვარ ამისთვის. მე ვიყავი ინჟინერი, მაგისტრალური ინჟინერი მერქვა, თანაც საკავშირო დაქვემდებარების საწარმოში ვმუშაობდი. შაბათ-კვირას სიონში დავდიოდი, უწმიდესსა და უნეტარესი ილია მეორის ქადაგებებს სულ ვესწრებოდი. მახსოვს, პატრიარქი რომ გამობრძანდებოდა წირვის დროს და იქადაგებდა, ვაკვირდებოდი, თითქოს ფრთები გამეზარდა და მსუბუქად ვგრძნობდი თავს. არა დაღლილი, არამედ მხნე, აღტაცებული ვიყავი. მე ვფიქრობ უწმიდესმა შეამჩნია ჩემი, ასე ვთქვათ, აღტაცებული თვალები. როგორ შემამჩნია არ ვიცი.

პირველად პატრიარქთან მეუფე შიომ მიმიყვანა გასაცნობად. შეხვედრისას უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ბრძანა: „უნდა დაანებო თავი სამსახურს და უნდა მოხვიდე ჩვენთან ეკლესიაში“. ჩემდამი ნათქვამი ეს სიტყვები, მაშინ ბოლომდე ვერ გავიაზრე და ჩვეულებრივ განვაგრძე მუშაობა.

მერე კიდევ ერთხელ შევხვდი უწმიდესს, მან კიდევ ერთხელ თქვა „უნდა დაანებო თავი სამსახურს და უნდა მოხვიდე ჩვენთან ეკლესიაში“. მერე მართლაც დავფიქრდი, ის სამსახურიც აღარ მომწონდა. თანაც, სადაც უწმიდესი და უნეტარესი იყო, ჩემი სიხარულიც იქ იყო. მართლაც, მალე მივედი უწმიდესთან. ცოტა ხანში მაკურთხეს დიაკვნად; მერე, 27 სექტემბერს, პატრიარქმა მღვდლად მაკურთხა, მომდევნო 27 სექტემბერს კი იღუმენად დამადგინა. ამიტომ ეს დღე ძალიან მიყვარდა.

მაგრამ წლების შემდეგ, 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა და ჩვენი გლოვის დღედ იქცა. ამიტომაც ეს დღე აღარ მიყვარს. ალბათ, სოხუმის დაცემა ნიშანია იმისა, რომ ლოცვით და მარხვით განვიწმინდოთ და დავიბრუნოთ საქართველოს ისტორიული ნაწილები ჩვენი სარწმუნოებით, ჩვენი სიყვარულით.

1981 წლის 15 მარტს, წმინდა სინოდის დადგენილებით უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მაკურთხა ეპისკოპოსად. მას შემდეგ 28 წელი გავიდა.

კურთხევის შემდეგ დამადგინეს ნიკორწმინდის ეპარქიის მმართველად. მაშინ არცერთი მოქმედი ეკლესია არ იყო ეპარქიაში. ნიკორწმინდაში ცხოვრობდა ცხონებული ქალბატონი შურა, ძალიან მორწმუნე ადამიანი. მან გაბედა, თავის თავზე აიღო და ტაძარის კარებზე დადებული ბოქლომი გატეხა, შევიდა და დაიწყო სანთლის დანთება.

ქალბატონ შურას შემდეგ, ხალხმაც დაიწყო ტაძარში სიარული. მაშინ ნიკორწმინდა არ იყო რეგისტრირებული. აუცილებელი იყო როგორმე მისი რეგისტრირება. ამისთვის საჭირო იყო შექმნილიყო მორწმუნეთა საზოგადოება. ნიკორწმინდაში უნდა შეკრებილიყო ოცი ადამიანი, ამაზე ნაკლები არ შეიძლებოდა. მათ უნდა მოეწერათ ხელი და დაედასტურებიათ, რომ სურდათ ეკლესია ყოფილიყო მოქმედი.

ამის შემდგომ, განცხადება იგზავნებოდა აღმასკომში, თბილისში. აღმასკომიდან კი — მოსკოვში. იქ რელიგიის საქმეთა საბჭოს უნდა დაემტკიცებინა, იქნებოდა თუ არა ჩვენი ან სხვა რომელიმე ტაძარი რეგისტრირებული. დამტკიცების ან უარის შემთხვევაში, განცხადება მოსკოვიდან იგზავნებოდა რელიგიის საქმეთა საბჭოს ფილიალში, რომელიც მაშინ თბილისში იყო. შემდეგ კი აღმასკომს გადასცემდნენ. ამ პროცესების გადალახვის შემდეგ, აღმასკომი საბოლოო დასკვნას იძლეოდა.

ტაძრის რეგისტრირებისთვის ხელისმოწერის შემთხვევაში, აღმასკომის, მილიციისა და მთავრობის ხალხი მიდიოდა ხელმომწერთა ოჯახებში. უვარდებოდნენ და ემუქრებოდნენ მათ: „როგორ გაბედე ხელის მოწერა“. მოხუცებს პირდებოდნენ პენსიის გაუქმებას, ხოლო სხვებს — სამსახურის დაკარგვას. ფაქტობრივად ნამდვილი ტერორი იყო. სწორედ ასეთი სატანჯველის დროს მოვარხერხეთ ნიკორწმინდის ეკლესიის რეგისტრირება.

ამის შემდეგ უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დამადგინა სამცხე-ჯავახეთის ეპარქიის მმართველად. უწმიდესს ძალიან უყვარდა ეს მხარე. ჩვენ კარგად გვახსოვს, მეორე მსოფლიო ომის დროს ამ მხარიდან ადგილობრივი მუსულმანი მოსახლეობა გადასახლეს და მათ ადგილებში ჩაასახლეს იმერეთიდან, ნაწილობრივ რაჭიდან ჩამოყვანილი მოსახლეობა.

ამის მერე გავიდა ნახევარი საუკუნე, მოხდა ისე, რომ სამცხე-ჯავახეთში არ იყო არც ერთი ქართული ეკლესია. ამიტომ ადგილობრივი იმერლები (მესხეთში ჩასახლებული იმერლები) ბავშვებს სომხურ ეკლესიაში ნათლავდნენ. წარმოიდგინეთ მკვიდრი ქართველები რა დღეში იქნებოდნენ. მართლაც რთული სიტუაცია იყო. მაშინ ამ მხარეში ცხოვრობდა შოთა ხმალაძე, ღმერთმა აცხოვნოს, აქტიური კაცი იყო. სწორედ მან მოაგროვა ოცეულის ხელმოწერები ტაძრის რეგისტრირებისთვის. შემდეგ ჩადიოდა თბილისში, მთავრობასთან. მან დიდი ბრძოლის შედეგად მოახერხა მისი რეგისტრირება.

ეს იყო წმინდა მარინეს სახელობის ერთადერთი მოქმედი ეკლესია. მაშინ ტაძარი დაუმთავრებელი იყო, არც სახურავი ჰქონდა და არც გალესილი იყო.

1981 წელს, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე ჩამობრძანდა. მან კიდევ ერთხელ თქვა: რომ მესხეთს განსაკუთრებით მიაქცევდა ყურადღებას და ეს მართლაც ასე მოხდა.

ბედნიერი ვარ, რომ მე ვაკურთხე: საფარა, ვარძია, ზარზმა, ბორჯომის ეკლესია, ახალდაბის, ხვილიშას, აბასთუმნის ეკლესიები; კანკელებს ვდგამდით, მგალობელთა გუნდებს ვქმნიდით, გვყავდა მედავითნეები.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მე სამცხე-ჯავახეთში გავაკეთე, ეს იყო სოფელ უდეს ტაძრის კურთხევა. მაშინ ამ მხარეში ცხ-

ოვრობდა მოხუცი უდელი ქალბატონი **ელენე პარუნაშვილი**. სწორედ მან შეძლო ხელმოწერების შეგროვება და ქართველებისთვის ეკლესიის დამტკიცება.

ასეთივე მდგომარეობაში იყო წმინდა ივლიტას სახელობის ტაძარიც.

სამცხე-ჯავახეთში მთავარეპისკოპოსად 12 წელი ვიყავი, ხოლო შემდეგ უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიტროპოლიტად მაკურთხა და მანგლისისა და წალკის ეპარქიაში დამადგინა.

მანგლისში რომ ჩამოვედი, მახსოვს წირვა-ლოცვა შერეული იყო, რადგან მრევლში ძირითადად მოხუცი რუსები იყვნენ. ისინი ჩვენდამი დიდ პატივისცემას გამოხატავდნენ. წირვის მერე ვფიქრობდი, ეს ხალხი რომ გარდაიცვლებოდა, ვინ მოვიდოდა?! ტაძარიც დაცარიელდებოდა. მაგრამ მალე რუსი მრევლი, მოხუცმა ქართველებმა შეცვალეს. მერე ისევ ვფიქრობდი: „ესენიც რომ წავლენ?“, თუმცა მალე ახალგაზრდებიც მოვიდნენ. ახლა სულ ახალგაზრდები არიან ჩვენს მრევლში. მე ვფიქრობ ეს უწმიდესისა და უნეტარესის უდიდესი მადლი და დამსახურებაა.

საერთოდ, მთის ხალხი აღმოსავლეთ საქართველოში თავდაჭერილია. ამიტომაც თავიდან ეკლესიაში ქალებიც ნაკლებად შემოდიოდნენ, მერე კაცებიც მოვიდნენ და რაც მთავარია, აქ მომავალი თაობა დადის. ეს დიდი პროგრესია.

თეთრიწყაროში არ იყო წირვა-ლოცვა, არ გვყავდა სამღვდელოება. მაგრამ ღვთის წყალობით ქართული ეკლესიის ნანგრევებზე ავაშენეთ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. ახლა სამღვდელოებაც გვყავს და წირვა-

ლოცვაც აღდგა. მანამდე ქვემო ქართლი ძალზე მძიმე დღეში იყო.

მაგალითად, მე-19 საუკუნეში რუსებმა ეთნიკური ქართველები სომხურ ეკლესიას მიაწერეს. მუხათის ეკლესიის ეზოში შესვლისას ჩანდა ხუთი სომხური საფლავის ქვა. ხალხმა გადაწყვიტა ტაძრის ეზოს დალაგება. აღმოჩნდა, რომ მთელ ეზოში ქართული საფლავები იყო. უბრალოდ საფლავის ქვები იყო ამოტრიალებული და ქართული წარწერები არ ჩანდა. ტაძრის კედლებზე ბათქაში ჩამოშორდა და ქართული წარწერები გამოჩნდა.

ეს მხარე გახლდათ ქართველების ბუდე, რომელიც, ასე ვთქვათ, სომხურ ეკლესიას მიაწერეს. ღვთის მადლით, ეს ხალხი დაუბრუნდა თავის ეკლესიას, თავის მამა-პაპისეულ რჯულს და ეროვნებას. ახლა ვაკურთხეთ ფიტარეთის მამათა მონასტერი, ბედიანში დედათა მონასტერი, ასევე ტანძიაში რამდენიმე მონასტერი. ჩვენთან არის ნამდვილი სამონასტრო ადგილები. თუ ვინმეს სურვილი გაუჩნდება შეუძლია მოგვაკითხოს და ჩვენ აღვკვეცავთ ბერად ან მონაზვნად.

თეთრიწყაროში პირღებულის მონასტერი დავაარსეთ. მინდა გითხრათ, რომ ეს არის საოცარი ადგილი. აქვეა ხრამის უზარმაზარი ხეობა. ეს ადგილი მიუწვდომელი იყო ადამიანისა და ტექნიკისთვის. მაგრამ გზაც გავიყვანეთ და მალე მონასტერსაც ვაკურთხებთ.

— მეუფეო, თქვენ ბრძანდებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი. რა საქმიანობას ეწევით ამ ცენტრის მეშვეობით?

— დღეს ტექნიკურ უნივერსიტეტში პრემიერ-მინისტრი, ნიკოლოზ გილაური მობრძანდა. შეხვედრაზე ვუთხარი მას, ჩვენს ახალგაზრდა სახელმწიფოს ყველაზე მეტად მშვიდობა, სტაბილურობა, სიწყნარე, ღვთის მოშიშობა, სიყვარული ღვთისა და მოყვასისა სჭირდება და რა არის სიყვარული მოყვასისა? ეს არის შენი ქვეყნის, შენი ერის, შენი ხალხის სიყვარული. თუ გვექნება ღვთისა და მოყვასის სიყვარული, მაშინ დესტაბილიზაცია, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ძალზე ხშირად განიცდის, აღარ იქნება. საზოგადოება გახდება დიდი, წყნარი ქვეყნის მაშენებელი, როგორებიც იყვნენ ჩვენი წინაპრები. გვინდა საქართველო შედგეს როგორც სახელმწიფო, ამისთვის საჭიროა ყველა მოქალაქეს ჰქონდეს სახელმწიფოებრიობის შეგრძნება.

პრემიერ-მინისტრს ვუთხარი, რომ უნივერსიტეტის რექტორატისა და სტუდენტების სურვილით და უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კუთხევით ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიქმნა თეოლოგიის კათედრა და თეოლოგიის ცენტრი. 5-6 წლის მანძილზე 30000 სტუდენტს მივაწოდეთ სწავლება ძველი აღთქმის, ახალი აღთქმის, საღვთო სჯულის შესახებ. ბევრმა სტუდენტმა გაიგო — რა არის ზიარება, აღსარება, სიყვარული მოყვასისა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ჩვენი უნივერსიტეტი შედარებით სტაბილური და წყნარია. თეოლოგიის კათედრა 6-7 წელია, რაც არსებობს. ჩვენს კათედრაზე მოღვაწეობენ გამოცდილი პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც სხვადასხვა ფაკულტეტზე ატარებენ ლექციებს. გარდა ამისა, წელს პირველად მივიღეთ ოთხი დოქტორანტი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი კათედრისათვის. მე შევეკითხე ბატონ ნიკოლოზს: განათლების სისტემაში თუ იქნება ისეთი საკითხები როგორიცაა: ღვთის შემეცნება, სახელმწიფოებრიობის საფუძვლები, ზნეობრივი საკითხები. ვფიქრობ, ეს უნდა ისწავლებოდეს სკოლაში.

ჩვენ ვმუშაობთ წიგნებზეც უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით. როცა უწმიდესი იბრძოდა, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეცნო ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალია, მაშინ მათ მოითხოვეს ისტორიული საბუთები და გამოკვლევები ჩვენი ეკლესიის შესახებ. ჩვენს უწმიდესს ჰქონდა ყველასთან ურთიერთობა, ვინც ამ საკითხზე მუშაობდა. მეც დამავალა ავტოკეფალიაზე დამეწერა. როგორც გითხარით, მე ბავშვობიდანვე მიყვარდა ეკლესია. ვიცნობდი მრავალ წყაროს, ლიტერატურას, რაც კი არსებობდა საქართველოში ისტორიისა და რელიგიის შესახებ. თუ ვინმეს რამე ჰქონდა დაწერილი, ყველაფერი წაკითხული მქონდა. სულ პირველად გამოვეცით „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“. იგი 4 ტომად გამოსცა გამომცემლობა „მერანმა“. პირველი ტომი დაიბეჭდა ბუდაპეშტში და საქართველოში პირველი ეგზემპლარი 1996 წელს ჩამოიტანეს. 2003 წელს გამოვეცით საეკლესიო კრებული. კვლავ ვმუშაობთ წიგნებზე, ვცდილობთ, უფრო მეტი ვიცოდეთ ჩვენი ეკლესიის შესახებ.

— მეუფეო, რას ურჩევდით ჩვენს ახალგაზრდებს — საქართველოს ხვალინდელ დღეს?

— მე პედაგოგი ვარ. დღეს, სასულიერო აკადემიასა და ტექნიკურ უნივერსიტეტში მაქვს ურთიერთობა ახალგაზრდებთან და ბედნიერი ვარ, რომ მათთან ვკონტაქტობ. ჩემი სტუდენტები იყვენენ ჩვენთვის ცნობილი რამდენიმე მღვდელმთავარი. ნიშნებს ვუწერდი და ჟურნალს, სადაც მათ ვაფასებდი ახლაც ვინახავ.

ახალგაზრდებს ვურჩევდი, უყვარდეთ უფალი ღმერთი და მოყვასი, ის რასაც ჩვენი მაცხოვარი გვასწავლის.

— დაგვლოცეთ მეუფეო!..

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!

ნათია გოგუაძე

ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ „ᲩᲕᲔᲜ ᲕᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲗ ᲑᲘᲑᲚᲘᲐᲡ“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

(ᲡᲐᲠᲐᲘᲝᲜᲝ ᲢᲣᲠᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ)

ინტელექტუალური კონკურსის „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ სარაიონო ტური 2009 წლის 25 იანვრიდან გაიმართება, სპეციალური გრაფიკის მიხედვით, რომელსაც შეადგენს ახალგაზრდული ცენტრი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

სარაიონო ტურის თამაშებზე დაიშვებიან სასკოლო ეტაპზე გამარჯვებული გუნდების ბაზაზე შექმნილი სკოლების ნაკრები გუნდები (თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში ცალ-ცალკე), შესაბამისი წესით შედგენილი განაცხადების წარმოდგენის შემდეგ. სასკოლო ნაკრების ჩამოყალიბების წესი:

1. სასკოლო ნაკრების სახელწოდება უნდა შეესაბამებოდეს სასკოლო ეტაპზე გამარჯვებული გუნდის სახელწოდებას.
2. სასკოლო ტურში გამარჯვებული გუნდის 4 წევრი აუცილებლად უნდა დარჩეს სასკოლო ნაკრების შემადგენლობაში.
3. ახალი კაპიტნის არჩევა შესაძლებელია იმ პირობით, თუ ყოფილი კაპიტანი დარჩება ნაკრების შემადგენლობაში.
4. სასკოლო ნაკრებს უფლება აქვს ჰყავდეს სამი სათადარიგო მოთამაშე (ასაკობრივი ჯგუფის შესაბამისად).

თამაშის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, სარაიონო ტურში მონაწილეობის უფლება მიეცემათ იმ გუნდებსაც, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა სასკოლო ეტაპზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომდევნო წლის კონკურსზე, გუნდი რომელსაც გავლილი არ ექნება სასკოლო ეტაპი, სხვა ეტაპებზე არ დაიშვება. გამონაკლისს წარმოადგენენ ის სკოლები, რომელთა მოსწავლეთა რაოდენობა 100-ს არ აღემატება.

სკოლებმა, რომლებიც კონკურსში სარაიონო ტურიდან ერთვებიან, უნდა წარმოადგინონ განაცხადები, თითოეული ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით, რომლებშიც მითითებული იქნება: სკოლის სახელწოდება, სკოლის სრული მისამართი, გუნდის სახელწოდება, გუნდის ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობა, თითოეულზე კლასის მითითებით.

სარაიონო ეტაპზე მოასპარეზე ყოველმა გუნდმა უნდა წარმოადგინოს 50 კითხვა-პასუხი (25 – ძველი აღთქმიდან, 25 – ახალი აღთქმიდან), თითოეულ კითხვა-პასუხზე წყაროს მითითებით. წყაროდ გამოყენებული უნდა იყოს საპატრიარქოს მიერ გამოცემული ძველი და ახალი აღთქმის წიგნები (სხვა ლიტერატურა – ყუბანეიშვილი, ბუკია, გოგებაშვილი და ა.შ. განაცხადის კითხვების შედგენისათვის არ უნდა იქნას გამოყენებული). სასკოლო ეტაპზე წარმოდგენილი კითხვა-პასუხები არ უნდა განმეორდეს.

ყოველმა გუნდმა ასევე უნდა წარმოადგინოს გულშემატკივართა მიერ შესასრულებელი საკონცერტო ნომრები (1 გალობა, 1 ხალხური სიმღერა, 1 ხალხური ცეკვა).

განაცხადები, სარაიონო ტურში მონაწილეობისთვის, უნდა იყოს წარმოდგენილი 15 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე, საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში (თბილისი, წმიდა სამების საკათედრო ტაძარი) ან ინტერნეტ მისამართზე: biblia@axalgazrdoba.ge.

გუნდები, რომლებიც წარმოადგენენ განაცხადებს 16 დეკემბრიდან – 22 დეკემბრამდე, დაჯარიმდებიან -3 ქულით, ვინც განაცხადს შემოიტანს 23 დეკემბრიდან – 29 დეკემბრამდე, დაჯარიმდება -5 ქულით. 29 დეკემბრის შემდეგ განაცხადები აღარ მიიღება.

კონკურსის დებულება იხილეთ ჟურნალში „ახალგაზრდობა“; ვებ-გვერდზე: **axalgazrdoba.ge** ან ადგილობრივ რესურს-ცენტრში.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ ნომრებზე:

საკონტაქტო ინფორმაცია:
ტელ: 8-95-95-54-54 – მართა მეშველიანი
8-95-95-51-62 – სოფიო ჭავჭანიძე
E-mail: biblia@axalgazrdoba.ge

ინტელექტუალური კონკურსი „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ დებულება

ზოგადი დებულებები

- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიასა და საზღვარგარეთ არსებული ნებისმიერი სკოლის მოსწავლეებს, აგრეთვე სტუდენტებს, პედაგოგებს, ნებისმიერ მსურველს;
- სკოლებში კონკურსი გაიმართება ორ ასაკობრივ ჯგუფში: V-VIII კლასელები და IX-XII კლასელები, სასკოლო ასაკის ზემოთ ასაკობრივ ჯგუფებად დაყოფა არ არის საჭირო;
- გუნდი შედგება შვიდი წევრისგან (შეუძლია ჰყავდეს დამატებით 3 სათადარიგო მოთამაშე);
- გუნდს თან უნდა ახლდეს მხარდამჭერთა (გულშემატკივართა) ჯგუფი, რომელსაც მომზადებული ექნება ერთი ხალხური სიმღერა, ერთი საგალობელი და ერთი ცეკვა (ხალხური);
- მხარდამჭერთა ჯგუფში იმავე გუნდის წევრების გაერთიანება არ შეიძლება;
- სკოლებს შორის თამაშები გაიმართება ოლიმპიური სისტემით ხუთ ტურად:
  1. სასკოლო;
  2. სარაიონო;
  3. ზონალური;
  4. ნახევარფინალი;
  5. ფინალი.
- კონკურსის ყოველ მომდევნო ტურში გადის მხოლოდ ერთი, გამარჯვებული გუნდი;
- მონაწილეთა თითოეულმა გუნდმა უნდა წარმოადგინოს:

  ა) განაცხადი გუნდის წევრთა და კაპიტნის მითითებით;

  ბ) საკონტაქტო პირის (რელიგიის მასწავლებლის ან სხვა ამ საკითხების მცოდნე ადამიანის) შესახებ მონაცემები;

  გ) 50 კითხვა-პასუხი: 25 — ძველი და 25 — ახალი აღთქმიდან (წყაროების მითითებით, თითოეულ კითხვა-პასუხზე);

  დ) გულშემატკივართა გუნდის მიერ შესასრულებელ საკონცერტო ნომერთა სია;

თამაშის წესები

1. ჩვეულებრივ, ერთდროულად თამაშობს შვიდი გუნდი. ერთდროულად მოთამაშე გუნდების მაქსიმალური რაოდენობა — 8 გუნდია, მინიმალური — 2.
2. გუნდები სხდებიან დარბაზში მათთვის წინასწარ გამზადებულ მაგიდებთან (ერთი გუნდი ერთ მაგიდასთან). მაგიდაზე უნდა დამაგრდეს პლაკატი გუნდის სახელწოდებით.
3. მაგიდები უნდა იყოს დაშორებული მაყურებლისაგან.
4. ჟიურისათვის გამოყოფილია ცალკე მაგიდა მოასპარეზე გუნდებთან ახლოს.
5. ჟიურის წევრები არ შეიძლება ასოცირდებოდნენ რომელიმე მოთამაშე გუნდთან. ჟიურის წევრთა რაოდენობა შეიძლება იყოს 3 ან 5.
6. თამაში შედგება 3 რაუნდისაგან.
7. პირველი ორი რაუნდი ორ-ორ ეტაპად იყოფა — ძველი და ახალი აღთქმის საკითხები (ჯერ 7-7 კითხვა ძველი აღთქმიდან, შემდეგ ამდენივე კითხვა ახალი აღთქმიდან).
8. პირველ რაუნდში შედარებით მარტივი კითხვები დაისმება.
9. მეორე რაუნდში კითხვები რთულდება.
10. 7-7 კითხვა მოთავსებულია დალუქულ კონვერტებში.
11. კონვერტში მოთავსებულია ერთნაირი კითხვები ყოველი გუნდისთვის ცალ-ცალკე. თითოეულმა გუნდმა ფურცელზე უნდა დაწეროს თავისი სახელწოდება და დააფიქსიროს თავისი პასუხები, კითხვარში მითითებული ნუმერაციის მიხედვით.
12. მაყურებლებისთვის კითხვები გამოჩნდება ტაბლოზე ან დაიწერება დაფაზე.
13. მოსაფიქრებელი დრო — 3 წუთი. ამ დროს გულშემატკივრები ასრულებენ საგალობლებს.

14. მოსაფიქრებელი დროის დასრულების შემდეგ ფურცლები გადაეცემა ჟიურის.
15. სწორი პასუხები გამოცხადდება და დაიწერება ტაბლოზე. 1 სწორი პასუხი 1 ქულით შეფასდება.
16. ჟიურის მუშაობის პროცესში წამყვანი აცხადებს მუსიკალურ პაუზას, გულშემატკივრები ამ დროს ასრულებენ ხალხურ სიმღერას.
17. I რაუნდის შემდეგ თამაშს მაღალი ქულების მქონე 5 გუნდი განაგრძობს. თუ I რაუნდში მეხუთე შედეგი რამდენიმე გუნდმა დააფიქსირა, ყველა მათგანი განაგრძობს თამაშს.
18. თამაშის II რაუნდიც ანალოგიურად წარიმართება. II რაუნდის შემდეგ თამაშს განაგრძობს პირველ სამ ადგილზე გასული გუნდი. თუ ამ რაუნდში მესამე შედეგი რამდენიმე გუნდმა დააფიქსირა, ყველა მათგანი განაგრძობს თამაშს.
19. III რაუნდი — კაპიტნების კონკურსია — ბლიც-ტურნირი. ამ რაუნდში მოთამაშე გუნდების კაპიტნები მიდიან ჟიურის მაგიდასთან, ასახელებენ თავის ვინაობასა და გუნდის სახელს და შემდეგ ღებულობენ მონაწილეობას წილისყრაში, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება მათი რაუნდში მონაწილეობის რიგითობა. შემდეგ კაპიტანი, რომელსაც წილად ხვდა პირველმა გასცეს პასუხები ბლიც-კითხვებზე, ამოირჩევს ბლიც-ტურნირისთვის გამზადებულ ათი დალუქული კონვერტიდან ერთ-ერთს.
20. ჟიური გახსნის კონვერტს და წამყვანს გადასცემს ფურცელს 7 კითხვა-პასუხით.
21. წამყვანი სვამს კითხვას, ხოლო კაპიტანი გასცემს პასუხს. სწორი პასუხის შემთხვევაში გუნდს ეძლევა 1 ქულა. არასწორი პასუხის შემთხვევაში წამყვანი აფიქსირებს, რომ პასუხი არ არის სწორი და კითხულობს სწორ პასუხს.
22. მოსაფიქრებელი დრო თითოეულ კითხვაზე — 15 წამია.
23. დანარჩენი კაპიტნებიც იგივეს მოიმოქმედებენ წილისყრით განსაზღვრული რიგითობის მიხედვით.
24. გამარჯვებული გუნდი გამოვლინდება სამივე რაუნდის ქულათა შეჯამებით. იმ შემთხვევაში, თუ ქულათა შეჯამების შედეგად გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, იმ გუნდებს შორის, რომლებმაც თანაბარი უმაღლესი ქულები დააგროვეს დამატებითი რაუნდი (ან რაუნდები) ჩატარდება.
25. გუნდების კაპიტნები დასახელებენ იმ მოთამაშეებს, რომლებიც დამატებით ბლიც-ტურნირში ითამაშებენ.
26. ვინც ერთი თამაშის განმავლობაში უკვე იასპარეზა ბლიც-ტურნირში, აღარ აქვს უფლება, იმავე შეჯიბრის დროს, მიიღოს მონაწილეობა დამატებით ბლიც-ტურნირში.
27. დასახელებულ მოთამაშეთა შორის გაიმართება წილისყრა, რიგითობის დასადგენად, ხოლო შემდეგ მიმდინარეობს თამაში იმავე წესებით, რაც არის კაპიტნების კონკურსისათვის.
28. დამატებითი რაუნდის შემდეგ ჯამდება ქულები. თუ გამარჯვებული ისევ ვერ გამოვლინდა, კვლავ ინიშნება დამატებითი რაუნდი იმავე წესებით, რაც ზემოთ არის მოყვანილი.
29. თუ ბლიც-ტურნირისათვის განკუთვნილი 10 კონვერტი მთლიანად იქნა გამოყენებული, მაგრამ გამარჯვებული მაინც ვერ გამოვლინდა, გაიმართება შეჯიბრი მოპაექრე გუნდების გულშემატკივართა შორის.
30. გულშემატკივრებმა უნდა შეასრულონ წინასწარ მომზადებული 3 საკონცერტო ნომერი. ამ შემთხვევაში ჟიური შეაფასებს შესრულებულ ნომრებს ხუთბალიანი სისტემით. (სხვა შემთხვევებში საკონცერტო ნომრების ქულებით შეფასება არ ხდება).
31. თუ გამარჯვებული კვლავ არ გამოვლინდა, მას წილისყრა გამოავლენს.
32. თუ გამარჯვებული ფინალურ ეტაპზეც არ გამოვლინდა, წილისყრის ნაცვლად მოპაექრე გუნდებს შორის დაინიშნება ახალი თამაში, რომელიც უნდა ჩატარდეს უახლოესი ერთი კვირის მანძილზე.
33. თუ გამარჯვებული კვლავ ვერ გამოვლინდა, ყველა ზემოთ აღნიშნული პროცედურის გავლის შემდეგაც, გამარჯვებულს აქაც წილისყრა გამოავლენს.

საჯარიმო ქულები

1. იმ შემთხვევაში, თუ გუნდი დროულად არ წარმოადგენს განაცხადს, დებულების ყველა მოთხოვნის დაცვით, გამოცხადებულ ძირითად ვადაში, მაგრამ წარმოადგენს მას, ყველა შენიშვნის გათვალისწინებით, ძირითადი ვადის გასვლის შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში, მას ეწერება -3 (მინუს სამი) ქულა.
2. ვინც ამ ვადასაც გადააცილებს და შემოიტანს განაცხადს, ყველა მოთხოვნის დაცვით, ძირითადი ვადის გასვლის შემდეგ ორი კვირის დაგვიანებით, განაცხადი მიიღება, მაგრამ გუნდს ეწერება -5 (მინუს ხუთი) ქულა.
3. ვინც დააგვიანებს განაცხადის შემოტანას საჯარიმო ორ კვირაზე მეტი დროით, ან ვისი განაცხადიც არ დააკმაყოფილებს დებულების მოთხოვნებს, არ დაიშვება ასპარეზობაზე.
4. განაცხადში დასახელებულ მოთამაშეთა სხვა მოთამაშეებით ჩანაცვლება დაუშვებელია. გუნდს შეუძლია ძირითადი შემადგენლობის ცვლა მხოლოდ განაცხადში შეყვანილი სათადარიგო მოთამაშეებით, რომელთა რაოდენობა სამს არ უნდა აღემატებოდეს. ამ მოთხოვნის

დარღვევა იწვევს გუნდის მოხსნას გათამაშებიდან.

5. გუნდს შეუძლია თამაშამდე შეცვალოს კაპიტანი, მაგრამ ამისათვის დაჯარიმდება - 1 ქულით.

6. თუ გუნდის გულშემატკივრები შეცვლიან საკონცერტო ნომერს ან არ შეასრულებენ მას, თითოეული ასეთი შემთხვევა ისჯება -1 ქულით.

7. I და II რაუნდში მოსაფიქრებლად განკუთვნილი დროის დასრულების შემდეგ, როგორც კი გამოცხადდება ამის შესახებ, გუნდების კაპიტნებმა მაღლა უნდა ასწიონ ხელი, რომელშიც ეჭირებათ ფურცელი, გაცემული პასუხებით. თუ გუნდმა გააყოვნა ამ ფურცლის მიცემა, ჯარიმდება -1 ქულით, რომელიც გამოაკლდება შესაბამის კითხვებზე გაცემული პასუხების შედეგად მიღებულ ქულებს.

8. თუ ბლიც-ტურნირში გუნდის წევრი უკარნახებს თავის გუნდის წევრს, გუნდს იმავდროულად აკლდება 1 ქულა.

9. გუნდი, რომელიც გამარჯვებისათვის გამოიყენებს არაჯანსაღ მეთოდებს, მოიხსნება გათამაშებიდან.

10. პირველ ექვს პუნქტში მითითებული მინუს-ქულები გამოიყენება:

ა) რაუნდიდან მომდევნო რაუნდში გადასვლის დროს, მხოლოდდამხოლოდ იმ გუნდებს შორის, ვისი შემდეგ რაუნდში გადასვლის საკითხიც წყდება, თანაბარი ქულების დაგროვების გამო;

ბ) კაპიტნების კონკურსის დასრულების შემდეგ სამი რაუნდის შედეგად დაგროვილი ქულების შეჯამებისას დაითვლება თამაშის განმავლობაში დაგროვილი ქულების ჯამი და შემდეგ გამოაკლდება მინუს ქულები. საჯარიმო ქულების გამოკლების შემდეგ მიღებული შედეგით ფასდება გუნდის მდგომარეობა.

11. მე-5 და მე-6 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, საჯარიმო ქულები აისახება კონკრეტულად იმ მომენტში გაცემული პასუხების შედეგებზე.

თამაშის შედეგების გამოცხადება

თამაშის შედეგები ოფიციალურად გამოცხადდება მას შემდეგ, რაც გუნდების გულშემატკივრები დაასრულებენ საკონცერტო ნომრების წარმოდგენას. თითოეული თამაშის შედეგებს ასახავს შესაბამისი თამაშის ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ ჟიურის თავმჯდომარე და წევრები.

აპელაცია

გუნდის კაპიტანს თამაშის მსვლელობის დროს უფლება აქვს გააპროტესტოს ჟიურისთან რაიმე საკითხი, რომელიც მისი აზრით აისახება შედეგზე. ამისთვის მან უნდა ითხოვოს ამის უფლება ჟიურისთან და კორექტულ ფორმებში, საჯაროდ, დაასაბუთოს თავისი პროტესტის მიზეზი.

თუ პროტესტი სამართლიანია და ჟიურის აქვს შესაძლებლობა გამოასწოროს ხარვეზი თამაშის მსვლელობის დროს, აკეთებს ამას დაუყოვნებლივ და საჯაროდ აცხადებს ამის შესახებ.

თუ ჟიური პროტესტს უსამართლოდ მიიჩნევს, საჯაროდ აცხადებს ამის შესახებ და, ამავე დროს, ასაბუთებს თავის პოზიციას.

თუ საკითხის გარკვევა თამაშის მსვლელობისას შეუძლებელია, მისი გარკვევა ხდება ასპარეზობის ბოლოს, შედეგების ოფიციალურ გამოცხადებამდე, ან თამაშის ოფიციალური შედეგების გამოცხადების შემდეგ ერთი კვირის ვადაში, ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

თამაშის ოფიციალური შედეგის გამოცხადებამდე ჟიურისთან საუბრის უფლება აქვს მხოლოდ დაინტერესებული გუნდის კაპიტანს ჟიურის ნებართვით. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე გუნდის წარმომადგენელი ან გულშემატკივარი შეეცდება ამა თუ იმ ფორმით ზეწოლა მოახდინოს ჟიურიზე, ჟიურის აქვს უფლება ჯერ გააფრთხილოს, შემდეგ კი მოხსნას ის გუნდი გათამაშებიდან.

თამაშის ოფიციალური შედეგის გაპროტესტება სააპელაციო კომისიასთან შეუძლია ნებისმიერ გუნდს ჩატარებული თამაშიდან ერთი კვირის ვადაში. მომჩივანმა გუნდმა უნდა დაასაბუთოს თავისი პოზიცია.

თუ გუნდმა დაამტკიცა სააპელაციო კომისიასთან, რომ ჟიურის ან ორგანიზატორების შეცდომამ იმოქმედა თამაშის შედეგზე, სააპელაციო კომისია ნიშნავს სადაო თამაშს იმ გუნდებს შორის, რომელთა შედეგზეც აისახა ეს შეცდომა.

სააპელაციო საკითხების განხილვას ესწრება ყველა დაინტერესებული მხარის ორ-ორი წარმომადგენელი.

სააპელაციო კომისია ვალდებულია საკითხის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება გამოაქვეყნოს და მიაწოდოს ყველა დაინტერესებულ მხარეს განხილვის შემდეგ ერთი კვირის მანძილზე.

სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.



ყველაზე ლამაზი ჩემი საქართველოა. თუმცა მართლაც არ მცოდნია, თუ რა დიდებული და ამოუცნობი ყოფილა ჩემი ქვეყანა. საქართველო უკეთ მაშინ გავიცანი, როცა ზემო სვანეთში ვიმოგზაურე.

სანამ ჩემს შთაბეჭდილებებს გაგანდობდეთ, მანამ მოკლედ გაგაცნობთ ამ ლამაზ და უძველეს კუთხეს.

ზემო სვანეთში ქრისტიანობა პირველ საუკუნეში, ანდრია მოციქულმა იქადაგა. სვანეთი მდიდარია მაღალი მთებით, ბუნებრივი კონტრასტებით, ფლორითა და ფაუნით. დღემდე ყველა სოფელში დაცულია ძველი სალოცავები უძველესი ფრესკებით. უნიკალურია სვანური კოშკები, რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულით თარიღდება. აქ დღემდე ინახება: ხატები, ჯვრები, სხვადასხვა საეკლესიო და საერო ნივთები.

კონკურსის „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ ფინალისტები კახეთიდან, რუსთავიდან, თბილისიდან და ახალგაზრდული ცენტრის წევრები ზემო სვანეთისკენ მივემგზავრებით.

გზა სვანეთამდე გრძელი და დამღლელია. თუმცა, ლოცვა, გალობა და ლამაზი ხედები, მოგზაურობას უფრო და უფრო ალამაზებს. გზაზე ერთმანეთს ენაცვლება: ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველი, სურამის ციხე, ამაღლების ტაძარი.

მიკროავტობუსში, სვანეთის მოლოდინით გულანთებული ბავშვები და მასწავლებლები სხედან.

ქუთაისში დღის 12 საათზე ჩავდივართ, სადაც კონკურსის სხვა ფინალისტები გვიერთდებიან: ცაგერიდან, ონიდან, ზუგდიდიდან, ბაღდადიდან.

ყველაზე სასიხარულო კი ის არის, რომ ჩვენთან ერთად, ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსი სტეფანე მობრძანდება. მეუფე ქუთაისში დაგვხვდა, დაგვლოცა და შემდეგ მასთან ერთად განვაგრძეთ გზა.

ცოტა ხანში გამოჩნდა მწვანეში ჩაფლული მაღალი მთები, დაგუბებული ენგური ფირუზისფრად შეღებილიყო. ალაგ-ალაგ ხმაურით

გზაშიც კი ბიბლიას ვკითხულობდით

ჩაჩქერები გვეგებება. ეს ყველაფერი საოცარ სანახაობას ქმნის. ახლა ენგურის ხეობას მივუყვებით. მესტიამდე ასასვლელად კიდევ ბევრი დრო გვჭირდება. ვჩერდებით. ბავშვები ემოციას ვერ ფარავენ. ზოგი მჟავე წყლის დასალევად გარბის, ზოგი სურათს იღებს მეუფესთან და ქაუბრება, ზოგი ჩანაწერებს აკეთებს, რაიმე რომ არ გამორჩეს, მე კი სხვებთან ერთად სუფრას ვანყობ. ტრაპეზი ბუნებაში და კვლავ გზა, ხედები.

აი, გამოჩნდა ამაყი უშბა, რომელიც მასპინძელივით გვესალმება. სურათებსა და წიგნებში ნანახი სამყარო, თვალწინ გაცოცხლდა. გამოჩნდა უძველესი კოშკები, პატარა სახლები და დათოვლილი მთები. ადრე თუ ხმას არ იღებდა ენგური, ახლა ხმაურით გვხვდება.

ხიდზე ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი ბავშვები სახლებისკენ გარბიან. ზოგი ხელს გვიქნევს, ზოგიც დაჟინებით გვაკვირდება.

საღამოს მესტიას მივაღწიეთ. ახლა უფრო ახლოს ვხედავ ძველ კოშკებს.

სვანეთში დრო გაჩერებულა. აქაურობას, მხოლოდ ხალხის ფუსფუსი და ენგურის ხმა აცოცხლებს. თვალუწვდენელი ცა უფრო ახლოა ჩვენთან, ვიდრე ოდესმე.

ყველაზე სასიხარულო კი ის იყო, რომ ჩვენთან ერთად, ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსი სტეფანე მობრძანდებოდა

მესტიაში ზემო სვანეთის ეპისკოპოსი ილარიონი დაგვხვდა, დაგვლოცა და დაგვაბინავა. ჩვენ ტვილდიანთა ოჯახში მოვხვდით, თბილ და სტუმართმოყვარე ხალხთან. გაგვიმასპინძლდნენ სვანური კერძებით და ჯერ არნანახი სვანური შთაბეჭდილებებით აღგვავსეს. მოგვიყვნენ, როგორ იცავენ და უვლიან თავის სალოცავებს; როგორ ემზადებიან ზამთრისათვის. სვანეთში ზამთარი შვიდ თვეს გრძელდება.

11 აგვისტო, დილის რვის ნახევარი, ვემზადებით სვანეთის სიწმინდეების მოსალოცად. სახლის მეორე სართულიდან, პირველზე ჩავდივართ და ვხედავთ, ოჯახის დიასახლისი ხატებთან დგას და თავის შვილებს უფალს ავედრებს. გულში სინათლემ შემოაღწია. გვიხაროდა, ადგილიდან არ ვიძროდით.

კვლავ ყველანი მეუფის რეზიდენციასთან ვიკრიბებით. ცოტა ხანში მეუფე სტეფანე და მეუფე ილარიონი გამობრძანდნენ, დაგვლოცეს და ვაგრძელებთ გზას სიწმინდეების მოსალოცად.

სოფელი კალა. აქ არის ჩვენი პირველი გაჩერება. ფეხით მივუყვებით ყვავილნარით და წიწვოვანი მცენარეებით შემკულ მთის ფერდობს. საოცაა უძველეს კვირიკესა და ივლიტას სახელობის სალოცავს მოვილოცავთ. ტაძარი ზღვის დონიდან 2000 მეტრზე მდებარეობს. იგი შედგება პატარა ეკლესიის, სამრეკლოს, რამდენიმე საყოფაცხოვრებო ოთახისა და სატრაპეზოსგან. სალოცავს სვანურად „ლაგურკა“ ჰქვია.

ირეკება ზარები, მეუფეები მობრძანდებიან X საუკუნის სალოცავში, ჩვენ კი მათ მივყვებით. ტაძარში მგალობლები გალობენ. აქ დაცულია ბიზანტიური წარმოშობის „შალიანის“ ხატი სანაწილე, რომელიც სასწაულთმოქმედია. ტაძარში ინახება 121 სიწმინდე.

აქ შემორჩენილია უძველესი მოხატულობა, რომელიც 1132 წელს სვანმა, მეფის კარის მხატვარმა, თევდორემ მოხატა.

მოგზაურობა წარსულში, ჩვენი წინაპრების ნაკვალევზე გრძელდება. გზად თეთრ ნა-

ბადში გახვეული თეთნულდი გვეგებება. მივემართებით უშგულში, ეს საოცრად ლამაზი ადგილია. ბევრი კოშკი, მწვანე მთები, მთებს ზემოდან კი შხარა დაგვცქერის. ვჩერდებით უშგულის მუზეუმთან, რომელიც განთავსებულია უძველეს კოშკში. სავარაუდოდ ის თამარ მეფის სახელზეა აგებული.

მუზეუმში შემონახულია უძველესი ღვთისმშობლის ხატი, ჭედური ხატები, ჯვრები, სამკაულები...

შემდეგ მეუფეებთან ერთად მივდივართ ორი უძველესი ტაძრის მოსალოცად: უშგულის ლამარიაში — ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში, რომელიც X საუკუნით თარიღდება და იფარის წმიდა გიორგის სახელობის XI-XII საუკუნის ტაძარში. ორივე სალოცავი შემკულია მეფის მხატვრის — თევდორეს მიერ. ლამარიაში მოხატულობა ნაწილობრივ წაშლილია. ხოლო წმ. გიორგის ტაძარში მხატვრობა კარგად არის შემონახული. აქ გამოკვეთილად ჩანს შობის, ჯვარცმის ფრესკები, წმ. გიორგის წამებისა და სასწაულების ფრაგმენტები.

საღამოს ემოციებით დატვირთულები კვლავ სახლებში ვბრუნდებით, ახალი დღის მოლოდინში.

12 აგვისტო, დილის 9 საათი. მესტიის წმიდა გიორგის საკათედრო ტაძარში გალობა ისმის. მეუფეები მობრძანდებიან, ჩვენ კი მათ მივყვებით. სალოცავში დაბრძანებულია მაცხოვრის, ღვთისმშობლის ძველი ფერწერული ხატები. წმ. გიორგის მოჭედილი ხატი. განცდა დიდია, როცა წინაპრების მიერ შემონახულ სიწმინდეებს ეხები.

ყველაფრის დამახსოვრებას და ყველაფრის აღბეჭდვას ვცდილობდით

მოლოცვის შემდეგ, მივემართებით ლატალის მაცხოვრის ამაღლების ტაძარში. სალოცავი ამაღლებულ ადგილზეა აგებული. ისმის ზარების ხმა, გალობა და შევდივართ X-XI საუკუნის ტაძარში. სალოცავი

მოხატულია დემეტრე I მეფობის მე- 15 წელს, 1140 წელს, მიქაელ მაღლაკელიძის მიერ.

აქ შენახულია XI-XII საუკუნის მაცხოვრის, ღვთისმშობლის და ჯვარცმის ხატები. აქვეა დაბრძანებული ბიზანტიური საწინამძღვრო ჯვარი.

ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს დგას მთავარანგელოზის XVI საუკუნის სალოცავი. ახლა ამ ტაძრის მოსალოცად მივუყვებით გზას. ზარების ხმა, გალობა და კვლავ უძველეს ხატებთან მიახლება.

აქ შემორჩენილია უძველესი X-XIII საუკუნის ფრესკები. აქვეა გამოსახული წმ. მარინე, წმ. ირინე, წმ. ეკატერინე და წმ. ბარბარე სვანური მოხატულობისა და უძველესი კულტურისთვის დამახასიათებელი სტილით.

ვჩერდებით სოფელ იენაშიც, XIV საუკუნის იონა წინასწარმეტყველის სახელობის ტაძარში. სალოცავში დაცულია XI საუკუნის მაცხოვრის და წმ. გიორგის ხატი, საწინამძღვრო ჯვრები.

მწვანეში ჩაფლული ეზო, შუაში უძველესი სალოცავი, გარშემო კოშკები და მაღალი მთები. ზარების ხმა, მგალობელთა გალობა, მეუფეები, მასწავლებლების და მოსწავლეების ემოციები და ჩვენ საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის წევრები.

ახლა ლენჯერში, მთავარანგელოზის სახელობის ტაძარში ვიმყოფებით. სალოცავში დღემდე, ყველაზე კარგად არის შემონახული X-XII საუკუნის მოხატულობა. ფერები და გამოსახულებები დაუზიანებელია. საკურთხევლის შიგნით, მახარებლებთან ერთად მოჩანს მღვდელმთავრის სამოსში შემოსილი წმ. მაქსიმე აღმსარებლის ფრესკა, რაც აღნიშნავს წმიდანის მიმართ დიდ მოკრძალებას და პატივისცემას სვანეთში.

და ბოლოს, მესტიის მუზეუმი, სადაც დაცულია უნიკალური ხელნაწერები; ადიშის ოთხთავი (897 წ), იერუსალიმის განჩინება (X ს), მესტიის ოთხთავი (1033 წ), ლაბსყალდის ოთხთავი (XII-XIII ს), იენაშის ოთხთავი (XII ს), ლაჰილის ოთხთავი, ტვიბრის ოთხთავი, წვირმის იადგარი (X-XI ს), სადღესასწაულო იადგარი (XII ს), კონდაკი ტყავის გრაგნილზე და ხის ფირფიტაზე...

აქვე ინახება X-XII საუკუნის უნიკალური ხატები — წმ. გიორგის, მთავარანგელოზის, მაცხოვრის, ღვთისმშობლის და წმ. ბარბარესი. ასურელ მამათა დროინდელი საცეცხლურები, თამარ მეფის სურა. ორმოცი სებასტიელი მოწამის ხატი (XII ს) და სხვა უნიკალური საერო და საეკლესიო ნივთები. ეს ყველაფერი, კიდევ ერთხელ, მიუთითებს ჩვენი ერის კულტურულ-ისტორიულ სიმდიდრეზე.

კვლავ გზა, კოშკები, მთები, სახლები და დაუსრულებელი ემოცია. განცდა სიყვარულის, სითბოს, უფალთან ყოფნის, რომელიც გინდა დაუსრულებლად გაგრძელდეს.

საღამოს მეუფეებისგან ვიგებთ, რომ ხვალ უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დაგვლო-

ცავს წინანდალში. ბედნიერი ვბრუნდებით სახლში და ვემზადებით წასასვლელად. მახსენდება, გზად შემხვედრი, სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ტურისტები: იტალიიდან, საბერძნეთიდან, ისრაელიდან. აღტაცებული სახეებით და ახლის ნახვის ძიებაში.

ჩვენს დანახვაზე, ემოციას ვერ მალავენ. გვეუბნებიან, საქართველოს შესახებ ლამაზ სიტყვებს. მაშინ უფრო კარგად გრძნობ თავს, რომ ეს ქვეყანა შენია და აქ დაიბადე.

საღამოს 8 საათი, მესტიის კულტურის სახლი. მასპინძლების და სტუმრების ერთობლივი კონცერტი. მობრძანდებიან მეუფეები, დარბაზში ადგილებს იკავებენ, როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, ასევე სტუმრები. სრულდება უამრავი ხალხური სიმღერა, ითქმება ლექსები, მოცეკვავეები ცეკვავენ და მგალობლები გალობენ. ამ საღამოთი მთავრდება ჩვენი სტუმრობა სვანეთში.

13 აგვისტო, დილის 9 საათი, ლამაზ სვანეთს ვტოვებთ. ჩემს მასპინძელ ოჯახს ვემშვიდობები, ისინი მლოცავენ - „ლამარიის დედა ღვთისმშობელი გფარავდესო“ და თან საგზალს მატანენ ჩემთვის და მეგობრებისთვის.

ყველანი მეუფის რეზიდენციასთან ვიკრიბებით. მეუფე ილარიონი ხატებს, ლოცვანს გვჩუქნის, გვლოცავს. ჩვენ კი მადლობას ვუხდით და ვემშვიდობებით მას. გზას წინანდლისკენ მეუფე სტეფანესთან ერთად ვაგრძელებთ.

გზად გალობა, ლოცვა, ხედები, შთაბეჭდილებების გაზიარება და კვლავ გეგმების დაწყობა, მომავალ წელს აქ წამოსვლისთვის.

დრო გადის, წინანდალი, ღამის 12 საათი — ჩვენთვის „მზიანი ღამე“, დიდი განცდა პატრიარქთან შეხვედრისა. ჭავჭავაძეების საზაფხულო რეზიდენცია, მეორე სართული, ყველანი მეუფეს მივყვებით.

შევდივართ დიდ დარბაზში, სადაც პატრიარქს ჩვენთვის სუფრა გაუშლია. ცოტახანში ჩვენი უწმიდესი და უნეტარესი ილია II შემობრძანდა. გული სითბოთი და სიხარულით აღგვევსო. განცდას, რომელიც პატრიარქს ნათელი სახის დანახვისას გეუფლება, ვერასდროს გადმოსცემ.

„ჩვენთან არს ღმერთი“ — მოგვმართა უწმიდესმა. ჩვენ კი მორიდებული ხმით ვპასუხობთ — „არს და იყოს“. პატრიარქი ჩვენთვის მომზადებულ მაგიდის თავში დაბრძანდა. გვკითხა, როგორ ვიმგზავრეთ? თუ ვინ აუგო წესი გალაქტიონ ტაბიძეს? გვთხოვა, რომელიმეს ეთქვა, გალაქტიონის და ანა კალანდაძის შემოქმედებიდან რაიმე ლექსი. ბავშვები ბედნიერი სახეებით, მორცხვად პასუხობენ უწმიდესს, გალობენ და მღერიან.

შემდეგ, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია I წიგნი „მზიანი ღამე“ გვისახსოვრა და დაგვლოცა — „ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ, თქვენ და სრულიად საქართველო“. მოგზაურობამ წინაპრების ნაკვალევზე სვანეთში და შეხვედრამ წინანდალში, ერის სულიერ მამასთან, ერთ წუთში მთელი საქართველო გააერთიანა და გაამთლიანა. ასე დასრულდა ჩვენი ცხოვრების რამდენიმე ლამაზი დღე...

P.S. *ახლა, ბაღში ვზივარ და სვანეთზე წერას ვამთავრებ. წინ იქიდან ჩამოტანილი მიწა, ყვავილები, ქვები, სურათები და უწმიდესის ნაჩუქარი წიგნი მიდევს...*

15 აგვისტო, 2009წ.
ᲜᲐᲗᲘᲐ ᲒᲝᲒᲣᲐᲫᲔ

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებული კონკურსის „ჩვენ ვსწავლობ ბიბლიას“ ფინალში გასულმა — ბაღდათის, ონის, თბილისის, რუსთავის, ცაგერის, პატარძეულისა და ზუგდიდის გუნდებმა მოილოცეს ზემო სვანეთის სიწმიდეები და ესტუმრნენ პატრიარქს.

ბავშვებს ვთხოვეთ, თავიანთი შთაბეჭდილებები გაეზიარებინათ ჩვენი ჟურნალის მკითხველებისთვის.

ნინო ბარნაბიშვილი
ქ. რუსთავის ს.ს.ს.პ. მე-18 სკოლა
გუნდ „კელაპტრის“ წევრი

ცხადად ნანახი ქართული სული

დღემდე ჩემი საუკეთესო ექსკურსია ყაზბეგს უკავშირდებოდა, მაგრამ ახლა ჩემი ულამაზესი ოთხი დღე სვანებს, სვანურ ბუნებასა და საერთოდ სვანეთს უკავშირდება. შთაბეჭდილება იმდენად დიდია, რომ ძნელია სიტყვებით გადმოვცე ის, რაც ვნახე და შევიგრძენი, ისე როგორც ჩემს გულსა და გონებას დაამახსოვრდა, მაგრამ ყოველანაირად ვეცდები...

სვანეთისაკენ მიმავალი სატრანსპორტო მაგისტრალიდან გადაშლილმა ველურმა ბუნებამ იმ წუთში მაფიქრებინა, რომ იქ ცხოვრება სულიერად დიდი სიმშვიდე, ფიზიკურად კი დიდი შრომა იქნებოდა. ბედნიერნი არიან სვანები, რადგან ყველაზე მეტად ღვთისმშობელს თავისი მადლიანი კალთა ჭეშმარიტად სვანეთში დაუფერთხია. აქ იპოვი ადამიანი თავისუფალ და სუფთა სულს. უბრალოდ ვერ შეძლებ გულგრილად შეხედო ენგურის ხეობას, ჩან-

ჩქერებსა და კოშკებს. უემოციოდ ვერ დაათვალიერებ მესტიისა და უშგულის მუზეუმებს, სადაც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არამარტო სვანეთის, არამედ სრულიად საქართველოს უდიდესი სიწმინდეები ინახება. ამ ყველაფრის გვირგვინი ის უძველესი ეკლესია-მონასტრებია, რომლებიც უდიდეს სიწმინდეებს ინახავენ და თავის წიაღში დღეს უკვე თამამად ეპატიჟებიან თითოეულ მლოცველს. რომელი მათგანი ჩამოვთვალო: ლამარიას ღვთისმშობლის ტაძარი თუ იფარის წმ. გიორგის, ლატალის მაცხოვრისა თუ იონა წინასწარმეტყველის... სრულიად ცალკე სანახავი და მოსალოცია სოფელ კალაში წმინდა ივლიტასა და კვირიკეს სახელობის ტაძარი, ცნობილი თავისი ასოცდაერთი დასახელების სიწმინდით. თითოეული მათგანი საკუთარი არსებობის ისტორიით და ყველაზე ძვირფასი ღრმა სულიერებით გამოირჩევა.

ჯერ კიდევ ქალაქის ტურში გასვლამდე ვთხოვდი უფალს, ჩემთვის ჭკუა-გონება მოეცა, რათა გამარჯვებისათვის მიმეღწია და იერუსალიმში წავსულიყავი. ეს თხოვნა თითქმის ექვს თვეს გრძელდებოდა, მაგრამ საბოლოოდ სვანეთში მოვხვდი...

ამ მოგზაურობამ საბოლოოდ დამანახა, რომ ცხოვრებაში ბევრი რამ არის ზედმეტი და არაფასეულის შემცველი, რასაც ჩვენ უბრალო მოკვდავები ვაკეთებთ. სვანეთი ის ერთადერთი კუთხე აღმოჩნდა, სადაც ჩემი სახლის გარდა სიამოვნებით ვიცხოვრებდი.

სვანები თითქოს მკაცრები არიან, მაგრამ

მათი მასპინძლობით მიხვდებით, რომ მათი სიმკაცრე გარეგნულია. არასოდეს დამავიწყდება სვანი პაპა, რომელმაც თავდაპირველ თხოვნაზე ერთობლივი სურათი გადაგვალო, მკაცრად გვიპასუხა, მაგრამ, როცა სახელი ვკითხეთ, ომახიანად მოგვიგო, მუშნი დავითის ძე მურასიანიო და შემდეგ სურათიც გადაგვაღებინა.

სანუკვარი შთაბეჭდილება იყო ჩემთვის მესტიაში გათენებული დღე-ღამე. ღამით მესტიის ნახვა, ლაღამში, ბატონი მურთაზ რატიანის სტუმართმოყვარე ოჯახში, შემდგომ მეუფე ილარიონთან და მეუფე სტეფანესთან ერთად, სვანური მართლაცდა უნიკალური სიწმინდეების მოლოცვა, მესტიისა და უშგულის უმდიდრესი მუზეუმების ნახვა, წამოსვლის წინა დღეს მესტიის კულტურის სახლში სვანი ახალგაზრდებ-

ის კონცერტი და ბოლოს, ყოველივე ამის გვირგვინი — სტუმრობა პატრიარქთან წინანდალში. ღამის პირველ საათზე უწმინდესის მიერ წინანდლის სასახლეში გამასპინძლება და ასევე პატრიარქის წიგნი „მზიანი ღამე“ — საჩუქრად საკუთარი ბიბლიოთეკისთვის. ასევე უძვირფასესი შენაძენია ჩემთვის იერუსალიმის ღვთისმშობლის პატარა ხატი და წმ. მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას ცხოვრებისა და პარაკლისის წიგნი, რომელიც მეუფე ილარიონის რეზიდენციაში გვაჩუქეს.

ძალიან ძნელია, სრულად აღგიწეროთ ყოველივე, რაც ვიხილე, ამიტომ სჯობს თავად მოხვდეს და ნახოს ყველამ. მე კი ჩემის მხრივ, უდიდეს მადლობას ვუხდი ახალგაზრდულ ცენტრს, საპატრიარქოსა და ჩვენს უწმინდესს, იმ საერო თუ სასულიერო პირებს, რომელთაც შექმნეს ეს პროექტი და სამოცამდე ადამიანს გვაჩუქეს სვანეთში მოგზაურობა, ცოტა ნაკლებს ტაო-კლარჯეთი და ჩოხატაურელებს კი — იერუსალიმში. პირადად მე იმედი მაქვს, რომ ოდესმე იმ მშვენიერ მხარეში სადაც მათი წყალობით მოვხვდი, აუცილებლად დავბრუნდები...

სოფიკო ბილანიშვილი
პატარძეულის საჯარო სკოლა,
გუნდი „კარიბჭე“

„აქ ეველაფერი ზღაპრული და იდუმალია...“

ეს სვანეთია, რომლის ნახვისთვისაც ბევრი სიმწრის ოფლი მოვიწურეთ გუნდ „კარიბჭის“ წევრებმა. უფლის მადლითა და შეწევნით, შრომა დაგვიფასდა. გადაწყდა, ათ აგვისტოს სვანეთისკენ მიმავალ გზას დავადგებოდით.

უკვე ირიჟრაჟა, ხუთი საათია, მაგრამ ჯერ კარგად არც კი გათენებულა, არც მზეს უფიქრია თავისი სამალავიდან ამობრძანება. ცივა კიდეც, თითქოს ამინდსაც გაუგია ჩვენი ამბავი და წინდაწინ გვამზადებს, სვანეთის მკაცრ ჰავასთან ფრთხილად იყავითო!..

გზას შეუმჩნევლად არ გაუვლია. სვანეთის გზაზე მეგზურობას გვიწევდა საკმაოდ დიდი მდინარე, რომელმაც თავისი ფერის და სილამაზის გამო სამუდამო კვალი ჩატოვა ჩვენს მეხსიერებაში. გზის სირთულესა და დაღლილობას მჩქეფარე ჩანჩქერები გვავიწყებდნენ, გვახალისებდნენ და ახალი ენერგიით გვავსებდნენ.

ზემო სვანეთისკენ მიმავალ გზაზე რაღას არ ნახავდით. სადმე ერთად გინახავთ ტყე, მყინვარი და შეშლილი მდინარეები, რომელთაც თითქოს ველარ გაეძლოთ მთის პირობებისათვის და დაბლა ბარისკენ დაშვებულან? ამას სვანეთის გარდა ვერსად ნახავთ.

რაც უფრო ვუახლოვდებოდით ზემო სვანეთს, მით უფრო ვრწმუნდებოდით, რომ ეს ადგილი, მართლაც პატარა სამოთხეა, რომელშიც თავი პატარა ანგელოზი გგონია და ღმერთთან სიახლოვესაც გრძნობს შენი ქვეცნობიერება.

აი, უკვე ზღაპრული მესტიაც გამოჩნდა. წარმოუდგენელია, მსგავს სილამაზეს სადმე წააწყდეთ. სვანეთის მშვენება და სილამაზე, რითაც ყოველთვის ამაყობდა სვანი და მთლიანად საქართველო, არის სვანური კოშკები, რომელნიც მიუხედავად ასაკისა, მაინც ეშხიანად გამოიყურებიან და დღესაც აღტაცებაში მოჰყავთ მნახველი.

მეუფეების დალოცვის შემდეგ ოჯახებში დავნაწილდით. ოჯახი, სადაც ჩვენ უნდა

გვეცხოვრა, საოცრად მხიარული და სტუმართმოყვარე აღმოჩნდა. მათ ოჯახში სრულუფლებიანი წევრებივით მიგვიღეს.

მეორე დილაც გათენდა. დავიძარით სოფელ კალასკენ, აქაც მშვენიერი ბუნებაა, ბუნებასთან ერთად კი თვალს მოგჭრიდათ უძველესი და ულამაზესი ტაძარი, რომელიც დიდმოწამეთა წმ. ივლიტასა და კვირიკეს სახელს ატარებს. როგორც ექსკურსიამძღოლმა აგვიხსნა, ამ ტაძარში თითქმის 130-მდე სიწმინდეა დაბრძანებული, ესენია უძველესი საკურთხევლის წინა ჯვრები, უძველესი ვერცხლის ბარძიმები და არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი სხვადასხვა ნივთები: ყელსაბამები, საღილეები, ოქროსა და ვერცხლის საყურეები, ეგვიპტური და მაკედონური ქვის ყელსაბამები, სამკურნალო ქვები და პარფიუმერიის შესანახი ზარდახშაც კი.

ჩემდაუნებურად მახსენდება ანა კალანდაძის შესანიშნავი ლექსი (რომელიც მან სვანეთის სილამაზესა და დიდებულ ბუნებას მიუძღვნა):

ლაჰილზე ისევ დიდებული და
სავსე მთვარეა...
აქ ყველაფერი ზღაპრული და
იდუმალია —
ძველი მურყვამი, უშბა, თეთნულდი
და ლამარია...
ლაჰილზე ისევ დიდებული და
სავსე მთვარეა...

და ვფიქრობ, რომ მართლაც ძნელია ინახულო ასეთი დიდებული რამ და არაფერი თქვა მის დიდებაზე. ზემოხსენებული ლამარიაც (ანუ ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი) ძველებური სვანური სილამაზით გამოირჩევა. არ მეგულება ამქვეყნად მსგავსი სილამაზის ტაძარი, ეკლესია, რომელსაც საუკუნეებმა ვერაფერი დააკლეს.

შემდეგ იყო სოფელ ლატალისა და ლენჯერის ეკლესია-მონასტრები, მაცხოვრის, წმ. გიორგის, წმ. იოანე წინასწარმეტყველის და მთავარანგელოზთა ტაძრები. ისინი გამოირჩევიან თავიანთი უძველესი ფრესკებით. სვანურ ფრესკებზე ხშირადაა გამოსახული მთავარანგელოზები, წმ. გიორგი, წმ. სტეფანე

პირველმოწამესა და წმ. მარინას ხატები.

სვანეთში ყოფნისას სვანების ერთობ უცნაურ ტრადიციას წავაწყდით — ისინი თავიანთ მიცვალებულებს ეკლესიის ეზოში კრძალავდნენ საგვარეულოების მიხედვით.

სოფელ ლენჯერიდან ისევ მესტიაში დავბრუნდით, სადაც მესტიის მუზეუმს მივაშურეთ.

ამ მუზეუმში წარმოდგენილია უძველესი ჭედური და ფერწერული ხატები, ოქროსა და ვერცხლისგან დამზადებული საკურთხევლის წინა ჯვრები, ხელნაწერები, არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი ძველისძველი საყოფაცხოვრებო და საომარი ნივთები, სპილენძის ქვაბები, რომელშიაც სხვადასხვა დღესასწაულზე ხორცი იხარშებოდა. აქვეა ხელნაწერები, ოთხთავები და ასურელი მამების საცეცხლურები, ქალის სამკაულები და სხვა უამრავი რამ. მესტიის მუზეუმში დაცულია ფრესკა, რომელიც ასახავს ადამისა და ევას ცხოვრებას ედემის ბაღში, მათ ცდუნებასა და ბაღიდან გამოძევებას.

მუზეუმის დათვალიერების შემდეგ გადავინაცვლეთ მესტიის კულტურის სახლში, აქ მოსალოცი და დასათვალიერებელი არაფერი გახლდათ, მაგრამ მოსასმენი და სანახავი ძალიან ბევრი იყო.

ამ კონცერტზე სვანებმა უფრო გამოავლინეს თავიანთი სტუმართმოყვარეობა. მათმა ფოლკლორულმა სიმღერებმა მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ვფიქრობ, რომ მიუხედავად სვანეთის მკაცრი პირობებისა, დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი სვანეთში საცხოვრებლად, იმიტომ რომ

„იქ ყველაფერი ზღაპრულია
და იდუმალია...
ძველი კოშკები, უშბა, თეთნულდი

და ლამარია“...

რომლითაც ზღაპრულ სილამაზეს ვერც სურათებით და ვერც გადმოცემით ვერ შეიგრძნობ თუ საკუთარი თვალით არ ნახე. ჩვენი ვიზიტი სვანეთში დასასრულს უახლოვდებოდა. ვიცოდით, მეორე დღეს უკვე უნდა დაგვეტოვებინა ეს პატარა სამოთხე და თბილისისაკენ მომავალ გზას დავდგომოდით.

საღამოს არავის გვიფიქრია ძილზე. შევყურებდი იმ დიდებულ ციხე-კოშკებს, ცამდე ატყორცნილ მთებს და ვფიქრობდი:

„სვანეთის მთებო, ციხე-კოშკებო,
დიდხანს იდექით ურყევად, მედგრად.
მხიარული ვარ, რომ თქვენი ხილვა,
საბედნიეროდ მეც მერგო ხვედრად.
წმინდა ტაძრებო, წმინდა მამებო,
წმინდა ქალწულო, მარიამ დედავ,
დიდი მადლობა, დიდი მადლობა,
დიდი მადლობა, რომ სვანეთს ვხედავ.
წმინდა ტაძრებო, წმინდა მამებო,
წმინდა ქალწულო, გზა დაგვილოცეთ,
მუხლმოდრეკილნი შეგევედრებით
ჩვენი სულითვის, ჩვენთვის ილოცეთ!

მოღუშული სახით გამოვდივართ მასპინძლის ეზოდან, არ გვსიამოვნებდა, რომ მალე ვტოვებდით იქაურობას, მაგრამ ბედნერი, მადლიერებით აღსავსენი ვემშვიდობებოდით სვანეთს, მასპინძლებს, სასულიერო პირთ და მშობლიურ სოფელს ვუბრუნდებოდით იმ იმედით, რომ მომავალ წელს აუცილებლად იერუსალიმს ვეწვევით.

გვანცა მეშველიანი
ცაგერის წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია, გუნდი „ხვამლი“

ჩემი პირველი მოგზაურობა ზემო სვანეთში

მე ვარ ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიიდან, გუნდ „ხვამლიდან“, მეშველიანი გვანცა. ჩვენ ამ თამაშში ჯილდოდ გვერგო გვემოგზაურა ზემო სვანეთში. ჩვენს სიხარულს აძლიერებდა ის, რომ მეუფე სტეფანე ჩვენთან ერთად მგზავრობდა. მისი კურთხევით, მთელი გზა შვიდგზის ლოცვებს ვკითხულობდით და ვგალობდით, რამაც უფრო სასიამოვნო გახადა ჩვენი მგზავრობა.

როდესაც მესტიაში მივედით, იქ მეუფე ილარიონი დაგვხვდა. ყველა თბილად შეგვხვდა. ოჯახებში გაგვანაწილეს და გაგვიმასპინძლდნენ. მეორე დილით კალაში წავედით, სადაც წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძარია. ეს ტაძარი თავისი სიწმინდეების სიმრავლით გამოირჩევა. აღმაფრთოვანა უშგულის სილამაზემ. თვალწარმტაცმა მთებმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ვნახეთ უშგულის მუზეუმი, ვიყავით ლამარიას ტაძარში. ლამარია სვანურად მარიამს, ღვთისმშობელს ნიშნავს. ასევე ვნახეთ მესტიის მუზეუმი,

სადაც ინახება მრავალი მნიშვნელოვანი საგანძური, რომელიც წარმოაჩენს ჩვენი ქვეყნის უძველეს კულტურას. შეუფასებელია მწვერვალების სიდიადე — უშბა, თეთნულდი, შხარა. ვიყავით ჩაჟიშში, ლენჯერში, იფარში, ლატალში...

იქ ნანახი და განცდილი ალბათ ცხოვრების ბოლომდე გამყვება. ეს ხომ ჩემი პირველი მოგზაურობა იყო ზემო სვანეთში, მაგრამ ყველაზე დიდი სიხარული წინ გველოდა. სვანეთიდან წამოსულები პატრიარქს შევხვდით წინანდალში. მან თავისი ჩვეული სითბოთი მიგვიღო. დაგვლოცა, დაგვასაჩუქრა და ბიბლიაშიც გამოგვცადა. ეს დღე არასდროს დამავიწყდება.

თამაშმა „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ ბევრი რამ გვასწავლა და სულიერად განგვანათლა.

ᲐᲜᲐ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ
ᲝᲜᲘ „ᲙᲘᲓᲝᲑᲐᲜᲘ“

ᲐᲮᲚᲔᲜᲘᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ

რაჭიდან მესტიამდე გზა ისე გაილია, ბუნების სიმშვენიერით მოხიბლულმა დაღლა ვერც კი ვიგრძენი. სვანეთის ბუნება თითქოს წააგავს რაჭის ბუნებას, მაგრამ უფრო მკაცრია. სვანეთი არის მხარე, რომლის ნახვაზეც ყოველთვის ვოცნებობდი. და ეს ოცნება ამიხდა. პირველი, სადაც მივედით, მესტია იყო. მესტიის შესახებ ბევრი მქონდა წაკითხული და გაგონილი, მაგრამ საკუთარი თვალით დანახული სულ სხვაა. ამ ადგილის სილამაზემ გამაოგნა. ჩემს თვალწინ გადაიშალა არაჩვეულებრივი ბუნება, ვნახე უამრავი კოშკი. შორს მოჩანდა ჭაღარა კავკასიონი, ზემოთ კი მოკრიალებული ცა. ისეთი მშვენიერი სურათი იყო, რომ სუნთქვა გვიჭირდა. შემდეგ წავედით უშგულში, რომელიც ყველაზე მაღალი დასახლებაა ევროპაში. ეს არის ალპური ზონა, სადაც იზრდება ისეთი მცენარე, რომელიც სხვაგან არსად ხარობს. ვიყავით კალაში, წმ. მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას ტაძარში. ადიხარ ძალიან მაღლა, ყოველ ნაბიჯზე გეჩვენება, რომ შენ უახლოვდები რაღაც სიწმინდეს. და მართლაც, ეს ადგილი სუნთქავს უძველესი სიწმინდით. უკვე 11 საუკუნეა, რაც ეს წმინდა ეკლესია დგას ამ ადგილას, ამიტომ ირგვლივ ჰაერიც კი გეჩვენება უფრო სუფთა და უფრო წმინდა სხვა ადგილებთან შედარებით.

მოვილოცეთ ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი — ლამარიას ეკლესია, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, ვიყავით მესტიის მუზეუმში, სადაც დაცულია ქართული კულტურის ამსახველი უამრავი უძველესი ნივთი.

ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსის მეუფე სტეფანეს და მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსის მეუფე ილარიონის მეგზურობით და ლოცვა-კურთხევით ამ სიწმინდეებიდან უფრო დიდი მადლი გადმოდიოდა ჩვენზე. სვანეთის შთაბეჭდილებებით დატვირთულები უწმინდესისა და უნეტარესის წინაშე აღმოვჩნდით, რომელმაც დაგვლოცა. ჩემი ოცნება ახდა. ეს მოლოცვა არ დამავიწყდება მთელი ცხოვრების მანძილზე.

ვიმედოვნებ, რომ ამ უმშვენიერეს ადგილზე კიდევ მოვხვდები.

ბექა ჯანიაშვილი
191-ე საჯარო სკოლა, VII-ა კლასი „სტიქაროსნები“

დაუვიწყარი სამი დღე

მე ვარ ბექა, თბილისიდან. საქართველოს ბევრ კუთხეში ვარ ნამყოფი, მაგრამ სვანეთში არასოდეს ვყოფილვარ. ინტელექტუალურმა კონკურსმა „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ მომცა ამის შესაძლებლობა. ჩვენი სკოლის გუნდი „სტიქაროსნები“ გავედით ფინალში და წილად გვერგო წავსულიყავით ზემო სვანეთის მოსალოცად.

მართალია, გზა ძალიან შორი და დამღლელი იყო, მაგრამ ლამაზი ბუნების ყურებით დაღლას ვერ ვგრძნობდით. სვანეთის კუთხისთვის დამახასიათებელი კოშკები და რაც მთავარია, უამრავი სიწმინდეები, რაც ჩვენ ზემო სვანეთში მოვილოცეთ — არასოდეს დამავიწყდება.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება დამიტოვა სოფელ კალაში, მთის წვერზე აშენებულმა წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის უძველესმა ტაძარმა. მიუხედავად ჩემი მოტეხილი ფეხისა, მეუფის კურთხევით და რაც მთავარია, რწმენით ადვილად შევძელი ავსულიყავი და მომელოცა ეს ტაძარი. არანაკლები შთაბეჭდილება დაგვიტოვა ლატალის მაცხოვრის, უშგულის ლამარიას, იონა წინასწარმეტყველის, მთავარანგელოზების, წმინდა გიორგისა და სხვა ეკლესია-მონასტრებმა.

ერთ-ერთ სოფელში თურმე 63 ეკლესია ყოფილა, რამაც ჩვენი დიდი გაკვირვება გამოიწვია.

დავათვალიერეთ ზემო სვანეთის ეთნოგრაფიული მუზეუმები.

ზემო სვანეთში თან გვახლდა ამ პროექტის ორგანიზატორი მეუფე სტეფანე, ძალიან თბილი და ყურადღებიანი. მეუფეს ჩვენს ყველა კითხვაზე ჰქონდა პასუხი.

განსაკუთრებული სითბოთი გვექცეოდა ზემო სვანეთის ეპისკოპოსი მეუფე ილარიონი.

არასდროს დაგვავიწყდება ადგილობრივი მოსახლეობის თბილი დახვედრა, მათი სტუმართმოყვარეობა, გამასპინძლება სვენური კერძებით. ასეთ გემრიელ „კუბდარს“ სხვაგან ვერ შეჭამთ.

ზემო სვანეთში გატარებული 3 დღე დაუვიწყარი იქნება ჩემთვის. გული გვწყდებოდა, რომ ვტოვებდით ამ ულამაზეს კუთხეს, მაგრამ მოუთმენლად ველოდით იმ სანატრელ წუთებს, როცა მოგზაურობის ბოლოს უნდა შევხვედროდით ჩვენს პატრიარქს ილია II-ს. შუაღამეს ვესტუმრეთ უწმინდესს წინანდალში. თბილად მიგვიღო, გაგვიმასპინძლდა, დაგვასაჩუქრა და დაგვლოცა ჩვეული სიყვარულით. ეს იყო საოცრად ბედნიერი წუთები, რაც არასდროს დამავიწყდება.

მადლობა ამ პროექტის ორგანიზატორს — მეუფე სტეფანეს, მადლობა უწმინდესს — ჩვენს პატრიარქს და მადლობა უფალს ყველაფრისათვის.

გოგა ფიფია
ზუგდიდი X კლასი

* * *

შეუძლებელია, სიტყვით გადმოვცე, რაც ვნახე და განვიცადე სვანეთში. სუფთა ფაერი, ცამდე აწვდილი მთები, უძველესი ტაძრები... ამ ყველაგერმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ეს იყო საუკეთესო ზაფხული ჩემს ცხოვრებაში. მადლობა უფალს და ყველა იმ ადამიანს, რომელმაც მოგვცა ამის საშუალება.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲜᲗᲘᲐ
ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ XI ᲙᲚᲐᲡᲘ

ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ

სვანეთში მოგზაურობა ჩემთვის მართლაც დაუვიწყარი აღმოჩნდა. იმიტომ, რომ შევძელი ბოლოს და ბოლოს საქართველოს ამ საამაყო კუთხის დათვალიერება, სვანების გაცნობა. მოვიხიბლე მათი სტუმართ-მასპინძლობითა და იუმორით. დავათვალიერეთ მთელი მხარე, ულამაზესი მუზეუმები, მაგრამ მუზეუმებზე ბევრად ლამაზი და თვალწარმტაცი მაინც იქაური ბუნება იყო. ბუმბერაზი მთის ფერდობზე აღმართული სვანური კოშკი თითქოს ჩვენს თვალწინ აცოცხლებდნენ თქმულებებსა და ლეგენდებს. გადაბმული მთების ფერდებზე მსუბუქად მიიკლაკნებოდნენ მდინარეები და ნაკადულები. სიმაღლის შეგრძნების საოცრად სასიამოვნო გრძნობა დაგვეუფლა და ცოტათ შემშურდა კიდეც ამ ხალხის.

ჩვენი მოგზაურობა სამ დღეს გაგრძელდა, უკან სასიამოვნო განცდებითა და ემოციებით დახუნძლულები დავბრუნდით იმის იმედით, რომ მომავალშიც ვესტუმრებოდით სვანეთს.

ᲛᲐᲠᲘ ᲤᲐᲘᲫᲘᲫᲔ
ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ. Ქ. ᲑᲐᲦᲓᲐᲗᲘᲡ №2 ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ

ᲥᲐᲚᲘᲐᲜ ᲕᲘᲜᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ, ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ, ᲬᲐᲕᲘᲓᲔ ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲨᲘ...

სვანეთი — ეს ხომ მშვენიერი კუთხეა საქართველოსი და უმნიშვნელოვანესი არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის.

სვანეთში გატარებულმა თუნდაც იმ სამმა დღემ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ბედნიერი ვარ, რომ მომეცა საშუალება ვზიარებოდი იქ დაცულ სიწმინდეებს, ღრმად ჩამესუნთქა სვანეთის ჰაერი და ბოლომდე შემეგრძნო, რომ ეს საქართველოა და ჩავმწვდარიყავი იმ აზრს, თუ რა ბედნიერი ერი ვართ, რომ მეც ამ ერის ნაწილი ვარ და მეგრძნო ის ბედნიერება, რომელსაც ყოველ დილით მზის ამოსვლასთან ერთად გრძნობს თითოეული სვანი.

მახარებდა ყოველი ტურისტის დანახვა და ვამაყობდი, რომ ვარ ქართველი. ენით ვერც კი აღგიწერთ იმ შეგრძნებებს, რაც სვანეთთან მაკავშირებს, რასაც ვერასდროს წარმოვიდგენდი. მაგრამ ეს სიმართლეა.

ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი სურათი გადამეღო, რომ იმერეთში დაბრუნებულს, ყველასათვის მეჩვენებინა და მათთვისაც გამეზიარებინა ის ემოციები, რომლით დატვირთულიც ვბრუნდებოდი.

მართლაც, დაბრუნებულმა ყველას ვუამბე იქ გატარებული დროის შესახებ და მათაც სურვილი გაუჩნდათ ენახათ სვანეთი. თუმცა, რა გასაკვირია. მართალია, ერთხელ, უკვე ვნახე, მაგრამ მინდა, ძალიან მინდა კიდევ, თუნდაც ერთხელ წავიდე სვანეთში. კიდევ ვიგრძნო ის ბედნიერება. ეს არამარტო სვანეთის და იქ დაცული სიწმინდეების, არამედ სვანების უდიდესი სიყვარულით ანთებული გულების დამსახურებაცაა. არასოდეს დამავიწყდება მათი სითბო და მზრუნველობა. ყოველივე ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ იარსებებს.

ლირსეულ შვილთა აღსაზრდელად

(რჩევები მშობლებს)

(გაგრძელება.
დასაწყისი იხ. №2(3)-№3(4)-№4(5))

დაამკვიდრეთ თქვენს ოჯახში ლიტერატურული სალონის ტრადიცია. მოაწყეთ პოეზიის საღამოები, კვირეულები, დეკადები; ზღაპრების, მოთხრობების, ისტორიის კითხვის დღეები; ჩაატარეთ შემეცნებითი თამაშები.

გამოიყენეთ სწავლების ინტერაქტიური მეთოდები. მაგალითად, „როლური თამაშები“, რომლებიც ბავშვებს ძალიან მოსწონთ და ხალისით მონაწილეობენ მასში. დავარქვათ ერთ-ერთ ასეთ თამაშს:

პირდაპირი რეპორტაჟი ოჯახის ლიტერატურული სალონიდან

გაანაწილეთ ოჯახის წევრებზე, მეზობლებსა თუ ახლობლებზე სხვადასხვა როლები: წამყვანის, ოპერატორის, ნაწარმოების ავტორის, ნაწარმოების პერსონაჟების, მოწვეული სტუმრების, მსმენელების... წამყვანს, მიკროფონის ნაცვლად, დააკავებინეთ ტელევიზორის პულტი, მარკერი ან მიკროფონს მიმსგავსებული სხვა ნივთი. ასევე შეურჩიეთ რაიმე ნივთი ოპერატორს ტელე-კამერის ნაცვლად... „ოპერატორი“ იღებს კადრებს დარბაზიდან და იწერს წამყვანის სიტყვებს:

— მოგესალმებით, ძვირფასო ტელემაყურებლებო! ჩვენ ვიმყოფებით გიორგაძეების ოჯახის ლიტერატურულ სალონში, სადაც ჩატარდება მუხრან მაჭავარიანის პოეზიის საღამო. მოწვეულ სტუმართა შორის იმყოფებიან საბავშვო მწერლები: ქეთევან ჭილაშვილი, ნინო ბეზარაშვილი და ცირა ქიტიაშვილი. სასიხარულოა, რომ მოსვლა შეძლო ბატონმა მუხრანმა...

შემდეგ სცენა დაეთმობათ ბავშვებს, რომლებიც წაიკითხავენ ლექსებს („საქართველო“, „საქართველო?!“, „საბა“, „საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე“, „ტა, ტა, ტა, ტა“, „ვინც იყო, იგი რომ არა“...), უპასუხებენ წამყვანის შეკითხვებს... ინტერვიუ ჩამოერთმევათ მოწვეულ მწერლებს, სხვა მსურველებს... სიტყვა მიეცემა ავტორს...

თუ ოჯახის რომელიმე წევრი სხვა საქმით არის დაკავებული, მასთან ადგილზე შეიძლება გასაუბრება. „ოპერატორმა“ მოიმარჯვოს „კამერა“, ხოლო „წამყვანმა“ — დაუსვას კითხვები:

— თუ შეიძლება გვითხარით, რა შეკრებაა დღეს თქვენს ოჯახში?... თქვენ რატომ არ ღებულობთ მონაწილეობას? ... როგორ გგონიათ, საქმე, რომლითაც დაკავებული ხართ ამჟამად, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს შეკრება?...

ბავშვების ფანტაზია უსაზღვროა, ისინი კიდევ ბევრ საინტერესო კითხვას მოიფიქრებენ და პასუხების გაცემაშიც დაეხმარებიან რესპონდენტებს... ბოლოს მადლობას გადაუხდიან პოეტს მშვენიერი ლექსებისა და მოგრძანებისათვის. არც სხვა სტუმრებს დატოვებენ უყურადღებოდ...

ანალოგიურად შეგიძლიათ ჩაატაროთ საღამო იმ მწერლთა შემოქმედებაზე, რომლებიც ცოცხლები აღარ არიან, ან ისტორიულ პირთა (მეფეების, მხედართმთავრების...) ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ამ შემთხვევაშიც როლებს ჩვეულებრივად გაანაწილებთ (მოვრიდოთ წმინდანთა როლების შესრულებას), მისალმებისა და სტუმრების წარდგენის შემდეგ, წამყვანი დასვამს სათანადო კითხვებს...

მაგალითი I:

დავით აღმაშენებლის ღვაწლის მკვლევარი მეცნიერის როლის შემსრულებელი (თამაშის მონაწილენი წინასწარ შეისწავლიან დავითის ბიოგრაფიას) დასვამს კითხვებს:

— როგორი იყო დავითის ბავშვობა? რაიმე სასიხარულოს ხომ ვერ გაიხსენებთ საქართველოსათვის იმ უმძიმესი პერიოდიდან, თუ მომავალი მეფის პატარაობა მხოლოდ მწუხარებასთან იყო დაკავშირებული?

— რამდენი წლისა გამეფდა დავითი და რა მდგომარეობაში ჩაიბარა ქვეყანა?

— ვინ ისაუბრებს მისი აღმზრდელის, გიორგი ჭყონდიდელის შესახებ?

— რა იცით რუის-ურბნისის კრებაზე?

— აღმაშენებელს ეწოდა „მახვილი მესიისა“ ანუ ყოველი ქრისტიანული სამეფოს დამცველი. მოგვიყევით დავითის მიერ მტრისაგან სომეხთა სატახტო ქალაქის — ანისის გათავისუფლებაზე.

— განმარტეთ, რატომ უწოდა დავითმა მისივე დაარსებულ გელათის აკადემიას „ახალი იერუსალიმი და სხვაი იგი ათინა?“...

მაგალითი II:

წმიდა მღვდელმთავარ გაბრიელის (ქიქოძე) ბიოგრაფიის როლის შემსრულებელი დასვამს კითხვებს:

— სად და როდის დაიბადა წმიდა მღვდელმთავარი, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი?

— როგორ გარემოში (ოჯახში) იზრდებოდა პატარა გერასიმე (ასე ერქვა გაბრიელს ერისკაცობაში)?

— როგორ პიროვნებად ჩამოაყალიბდა გერასიმე ღრმად ღვთისმოსავმა გარემომ? ჩამოთვალეთ მისთვის დამახასიათებელი, გამორჩეული თვისებები.

— გაბრიელ ეპისკოპოსი მიიჩნევს, რომ ოჯახში ბავშვის აღზრდა ორ უმთავრეს თვისებას უნდა ეფუძნებოდეს. იგი მშობლებს ურჩევს შვილები მიაჩვიონ ბეჯითობას, ანუ მათზე დაკისრებული ყოველი საქმის ხალისით შესრულებას და კეთილსინდისიერად ბოლომდე მიყვანას. ბეჯითობას მღვდელმთავარი მეორე თვისებად მიიჩნევს. დაასახელეთ პირველი თვისება, რომელიც, წმიდა ეპისკოპოსის აზრით, ოჯახმა ბავშვს უნდა შეათვისებინოს.

— გაიხსენეთ, როგორ გამოზარდა გაბრიელ ეპისკოპოსმა მასწავლებლად ავაზაკი, რომელმაც მისი გაძარცვა მოინდომა.

— რატომ იყო გაბრიელის ცხედარი 46 დღის განმავლობაში ქუთაისის საკრებულო ტაძარში დასვენებული? რატომ არ ხერხდებოდა გელათში მისი გადასვენება?

— როგორ უნდა ავხსნათ, რომ მღვდელმთავრის ცხედარი მთელი ამ ხნის განმავლობაში არ გახრწნილა და, ამის საპირისპიროდ, ტაძარი კეთილსურნელებით იყო სავსე?

ასევე წარმატებით შეგიძლიათ ოჯახში გამოიყენოთ შემეცნებითი **თამაში — „რა, სად, როდის“** (სატელევიზიო გადაცემის მსგავსად). ბავშვები ამ შემთხვევაშიც ხალისით შეასრულებენ წამყვანის, კაპიტნებისა თუ გუნდის წევრთა როლებს.

თამაში: „მე მასწავლებელი ვარ“ ბავშვების მოწონებით სარგებლობს, როგორც გაკვეთილების მომზადებისას, ასევე კლასგარეშე მასალის შესწავლის დროს.

სთხოვეთ თქვენს პატარას მოაწყოს „საკლასო ოთახი“, „მერხებთან“ დასვას და გაკვეთილი წაუკითხოს თოჯინებს. შემდეგ, მათ კითხვები დაუსვას წაკითხულის ირგვლივ და პასუხების გაცემაშიც დაეხმაროს, ყოჩაღი „მოსწავლეები“ შეაქოს და წაახალისოს...

ეს თამაში გამოგადგებათ II-IV კლასის მოსწავლეებთან.

მასწავლებლის როლს ბავშვები კარგად ასრულებენ და-ძმებისა და მშობლების წინაშეც, ამიტომ IV კლასის ზევით სწავლების ეს ფორმა, თოჯინების გარეშე, უფროსების დახმარებით შეგიძლიათ გამოიყენოთ. მოსწავლეთა როლში, ამ შემთხვევაში, იქნებიან: ბებია, ბაბუა, დედამამა, და-ძმები...

ისტორიის საღამოებზე გაიხსენეთ ფაქტები საქართველოს ისტორიიდან — როდის ვიყავით ძლიერები და როდის ვმარცხდებოდით. გაავლეთ პარალელი ებრაელი ხალხის ისტორიასთან, ბიბლიიდან გაიხსენეთ ანალოგიური მაგალითები.

ერთად წაიკითხეთ აკაკის პოემა „თორნიკე ერისთავი“. ბავშვების მონაწილეობით გაითამაშეთ ეპიზოდები ამ ნაწარმოებიდან.

უამბეთ თორნიკე ერისთავის მიერ მოგებულ ომთან დაკავშირებული ათონის „ივერთა მონასტრის“ დაარსებაზე, იქ მოღვაწე წმინდა მამების (იოანე, ექვთიმე, გიორგი მთაწმინდელების ...) ღვაწლზე.

გაიხსენეთ ივერიის ღვთისმშობლის ხატის ისტორია და მასთან დაკავშირებული წინასწარმეტყველება. დააკავშირეთ ეს ყველაფერი თბილისში, მახათას მთაზე მშენებარე მონასტერთან და შეეცადეთ მოილოცოთ იგი ბავშვებთან ერთად.

(გაგრძელება იქნება)

„ილია ჭავჭავაძის სახელოგის
პედაგოგთა კავშირი“

ვცხოვრობთ ისე, თითქოს არასოდეს მოვკდებით და ვკვდებით ისე, თითქოს არასოდეს გვიცხოვრია!

განკითხვასა და სიმდაბლეზე

„ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ, რამეთუ რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ, განიკითხნეთ და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს შენ“ (მათე 7, 1-3). უფლის ეს სიტყვები გვასწავლის, რომ არასდროს უნდა განვიკითხოთ ადამიანი, რადგან განკითხვა მოდის ამპარტავნებისაგან, რომელიც ყველა ცოდვის დედაა და რომლის გამოც ნათლის ანგელოზი დაეცა. წმინდა ნიკოდიმოს ათონელი გვარიგებს: „გონს მოდი, დაუკვირდი შენს შინაგან სამყაროს და თუ გულში იპოვი ამპარტავნების ნაკვალევს, შეეცადე, ამოშალო იგი. ნუ განიკითხავ ნურც ერთ ცოდვილს, ვინაიდან შესაძლოა, ის, ვინც ამჟამად ბოროტია, მეყსეულად შეიცვალოს, როგორც სახარებისეული ავაზაკი. ასევე შენც, რომელიც ამჯამად კეთილისმყოფელი ხარ, შეიძლება, უეცრად ბოროტებაც ჩაიდინო, როგორც ეს იუდას დაემართა“. თავად განკითხვაც უკვე ამპარტავნების გამოვლინებაა. პავლე მოციქული ამბობს: „შენ ვინ ხარ, რომ განიკითხავ სხვის მონასა? თვისსა უფლისა დგეს გინათუ დაეცეს, დგეს სამე, რამეთუ შემძლებელ არს ღმერთი დადგინებად მისდა“ (რომ. 14, 4).

ამგვარად, ნუ მოიძულებ ღატაკებსა და უმნიშვნელო ადამიანებს, ვინაიდან ღატაკნი ქრისტეს ნაცვალნი არიან, როგორც თავად ბრძანა მათ შესახებ: „რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირედთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“ (მთ. 25, 40).

ჩვენ ადამიანები, ძალიან ხშირად განვიკითხავთ ერთმანეთს, რაც გამოწვეულია ჩვენი ცოდვების გაუაზრებლობისაგან და შემდეგ მათი შეუნანებლობისაგან. ერთი წამით წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ ისევე განგვიკითხონ სხვებმა, როგორც ჩვენ განვიკითხეთ ოდესმე ადამიანები და ჩვენც იმდენჯერვე არ შეგვინდონ, რამდენჯერაც ჩვენ არ შევუნდეთ მოყვასს, ალბათ დავითრგუნებით და სასოწარკვეთილების უფსკრულში გადავეშვებით. აკი მაცხოვარი გვასწავლის სახარებაში საუფლო ლოცვას — „მამაო ჩვენო“, სადაც ვამბობთ: „და მოგვიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა“... ანუ ვევედრებით ღმერთს, როგორც ჩვენ ვპატიობთ მოყვასს, ისევე მოგვიტევე შენც უფალოო და თუკი არ მივუტევებთ და განვიკითხავთ, არც ჩვენ მოგვეტევება ჩვენი ცოდვები. წმინდა ნიკოდიმოს ათონელი ბრძანებს: “საკუთარი თავის სიყვარულიდან და თავდაჯერებულობიდან იბადება ჩვენში კიდევ რაღაც სხვა ბოროტება, რომელიც დიდ ზიანს გვაყენებს — მოყვასის მკაცრი განსჯა და განკითხვა, რომელსაც ჩვენ არაფრად მივიჩნევთ. საკუთარი თავი დიდ რამედ მიგვაჩნია, დიდი წარმოდგენისა ვართ მასზე.

აქედან გამომდინარე სხვებს ზემოდან ვუყურებთ და განვიკითხავთ, არ გვიყვარს და გვეჩვენება, თითქოს ჩვენ შორს ვართ იმ ნაკლოვანებებისაგან, რომლებიც, ჩვენის აზრით, სხვებისთვისაა დამახასიათებელი. შენ განკითხვის უფლება არა გაქვს და ამ უკეთესის მითვისებით იმსახურებ სამსჯავროსა და განკითხვას არა სუსტი ადამიანების, არამედ ყოვლისშემძლე მსაჯულის, უფლის წინაშე". ასე რომ, განკითხვა ღვთის განგებაში ჩარევაცაა, რადგან იგი უფლის უფლებაა მხოლოდ და ის დრო, რომელიც ადამიანს აქვს ამქვეყნად, სწორედ შესანანებლად აქვს და არა — განსაკითხავად. აქვე უნდა გვახსოვდეს სახარებისეული სწავლება: მოვექცეთ სხვას ისე, როგორც გვინდა, რომ მოგვექცნენ ჩვენ!

მაგრამ აქ ჩნდება კითხვა, თუ არავინ უნდა განვიკითხოთ, ყველას ყველაფერი ვაპატიოთ, ხომ არ მომრავლდება დანაშაული, უზნეობა? როგორ გამოვასწოროთ ადამიანი ისე, რომ არ განვიკითხოთ? არსებობს განსჯა და მხილება, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეგვეშალოს განკითხვაში. სახარება გვასწავლის: უკეთუ ძმა შენი შესცოდავს, უნდა ამხილო; თუ არ შეისმენს, მაშინ მისი მხილება ორის ან სამის თანდასწრებით უნდა მოხდეს. თუ ამ შემთხვევაშიც არ ისმინა, მაშინ მხილება მოძღვრისა და ეკლესიის წინაშეა საჭირო, ხოლო უკეთუ ეკლესიისაც არ ისმინა, მაშინ იყოს იგი ვითარცა წარმართი (მათე 18, 15-17). განსჯა კი სათნოებათაგან ერთ-ერთია. განკითხვა გამორიცხავს სიყვარულს, იგი ამპარტავნულად წარმოთქმული სიტყვაა. მხილება კი უპირველესად სიყვარულიდან უნდა გამომდინარეობდეს, მისი მთავარი აზრი ადამიანის გამოსწორება და გადარჩენაა. ხშირად ჩვენი მხილება განკითხვასაც ჰგავს, რადგან დაცლილია სულიერებისაგან და სულმოკლეობითაა განპირობებული. ეს განსჯაც სათანადო სულიერებასა და მომზადებას მოითხოვს. სანამ ვამხელთ ვინმეს უნდა დავმშვიდდეთ, ვილოცოთ, ვთხოვოთ ღმერთს შემწეობა, შევეკითხოთ მოძღვარს და შემდეგ გააზრებულად და მოთმინებით ვიმოქმედოთ. ხოლო იმისათვის, რომ ღვთის მადლი შევიძინოდ და ვარგოთ ჯერ საკუთარ თავს და მერე სხვებსაც, საჭიროა შევიმოსოთ სიმდაბლით, გვქონდეს სინანული ჩვენი ცოდვების გამო და სინანულის საიდუმლოთი, აღსარებით ჩამოვირეცხოთ ისინი. მერე უფრო ნათლად დავინახავთ მოყვასის გასაჭირს, ჩავარდნილს ცოდვაში, განსაცდელში, რადგან სიბნელე სინათლით უნდა გავანათოთ და ნათელი ღვთისაგან უნდა მოდიოდეს.

მართლმადიდებელი ეკლესიის ბურჯი, წმინდა ბასილი დიდი შეგვაგონებს: „ადამიანი თუკი გამოიძიებს, მიხვდება, რა ამაოა და მდაბალია კაცობრივი სიბრძნე. სიმაღლე კაცისა ის არის, ის არის დიდება და ძლიერება, რომ ჭეშმარიტი დიდება შეიცნოს და მხოლოდ მას ითხოვდეს უფლისაგან, რადგან, როგორც მოციქული იტყვის: „რომელი იგი იქადოდის, უფლისა მიერ იქადოდენ" (1 კორ, 1;31). არავინ უნდა ამაყობდეს იმით, რომ იცის ჭეშმარიტება, პირიქით, შეიმეცნოს, რომ მხოლოდ ქრისტეს სარწმუნოებით განმართლდება ქრისტეს წინაშე.

„ნუ ჰმაღლოი უკუე, რამეთუ სარწმუნოებითა მდგომარე ხარ, არამედ გეშინოდენ" (რომ. 11, 20). თუ როგორ მოიხმარე უფლის ნაბოძები, ამას მსაჯული გამოიძიებს. თუ ვერ გულისხმა-ჰყოფ იმას, რომ, რაც გაქვს, ღვთისაგან გაქვს და მის მიერ მოცემულს საკუთრად გამოაცხადებ, თუ მას შენი ძალით მოპოვებულად ჩათვლი, გარდამეტებული უმეცრებით, მაშინ აღარ ვიცი, რაღა გითხრა...

განა არ იცი, რომ ნეტარ პეტრე მოციქულზე უფრო პატიოსანი არა ხარ? განა არ იცი, რომ არც მისოდენი სიყვარული გაქვს ღმრთის მიმართ? მას ხომ ისე უყვარდა მაცხოვარი თვისი, რომ სიკვდილს ნატრობდა მისთვის, და სწორედ მან თქვა სიტყვები: „დაღაცათუ ყოველნი დაბრკოლდ-

ნენ შენდა მომართ, არამედ მე არასადა დავბრკოლდე“ (მათე 26, 33). რადგან ყოველივე ეს ამპარტავნებით იყო ნათქვამი, ამიტომ ადამიანურმა შიშმა შეიპყრო და სამგზის უარყო უფალი. ეს განსაცდელი იმიტომ დაატყდა თავს, რომ განსწავლულიყო, რათა არასოდეს მინდობოდა მხოლოდ საკუთარ თავს და ამავე დროს, სუსტთაც შეწეოდა, ვინაიდან მან თავის თავზე გამოსცადა ადამიანური უძლურება.

ამპარტავნებამ წარწყმიდა ფარისეველი, რადგან იგი თავს განადიდებდა უფლის წინაშე და ამავე დროს, მეზვერეს აძაგებდა. მეზვერე კი განმართლდა, რადგან ადიდებდა წმიდა და სახიერ უფალს, თავს მაღლა ახედვის ღირსადაც არ თვლიდა, საკუთარ ცოდვებს აღიარებდა, მკერდზე მჯიღს იცემდა და სხვას არას ითხოვდა უფლისაგან, გარდა იმისა, რომ მისი ცოდვები მიტევებული ყოფილიყო.

აწ, მოერიდე ამპარტავნების ბოროტს, ეკრძალე იმას, რაც თავს დაატყდა ფარისეველს. მან ამპარტავნებით წარწყმიდა მადლი. საკუთარი თავის განდიდებით, ცოდვილ მეზვერეზე მეტად დაკნინდა. ამიტომ, ნუ აღიმაღლებ თავს სხვაზე უფრო, თუნდაც ცოდვილზე უცოდვილესი იყოს. ნუ გაიმართლებ თავს საკუთარი განსჯით, რადგან ღვთის სამსჯავროზე დაისჯები.

გახსოვდეს სიტყვა სოლომონისა: „უფალი ამპარტავანთა წინააღმდგომ არს, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი“ (იგავ. 3,34; იაკობ. 4,6). ასევე მარად გულში გქონდეთ სიტყვები უფლისა: „რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“ (ლუკა 14,11).

„გახსოვდეს სახე შენი და სამოსელი შენი, საჭმელი, სარეცელი, სახლი, ყოველი ნივთი სახლისა იყოს უბრალო; სიტყვა, გალობა, მოყვასთან ერთად ყოფნა — სიმდაბლით შემკული. ნუ ხარ დიდების მოყვარე, ნუ ფილოსოფოსობ, გარდამეტებულად ნუ ხმატკბილობ, იყავი ტკბილი მოყვასის მიმართ, კეთილი ქვეშევრდომებისადმი, ნუგეში ეცი გაჭირვებულთ, მიხედე სნეულთ, არავინ შეურაცხყო, იყავი მშვიდი, მარჯვე, ყველასათვის საყვარელი... თავად ნუ იქებ თავს, არც სხვისი ქება გიყვარდეს, არ შეიყვარო უწესო სიტყვები, დაფარე სათნოებანი, ნუ შერისხავ სხვას, მავნედ და დროზე ადრე ნუ ამხელ (რადგან ესეც ამპარტავნებაა), მცირე შეცდომის გამო ნუ შერისხავ მოყვასს, თითქოს სიმართლისმოყვარე იყო... ნუ ეცდები წარმოაჩინო საკუთარი თავი — ღმერთი ყველაფერს ხედავს. ამის გამო გეტყვი: დიდების მოყვარე თუ ხარ, ღვთისმიერი დიდება გიყვარდეს, რადგან ბრწყინვალე სასყიდელს აძლევს იგი ყოველს...“

„შეინანეთ და გრწმენინ სახარებისა! შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა“ (მარკ. 1, 15). შევინანოთ! და რას ნიშნავს სინანული? ეს ნიშნავს შევინანოთ ჩვენი ცოდვები და მეტად აღარ ვცოდოთ! აღარ განვიკითხოთ! „უფალო ნუ გულისწყრომითა შენითა მამხილებ მე“ — ლოცულობს წმინდა ეფრემ ასური და იქვე განაგრძობს: „მაცხოვნე მე, უფალო, შენი წმიდა სახელისათვის, რამეთუ თუკი მართალს შეიწყალებ, არ არის საკვირველი, თუკი წმიდას აცხოვნებ, არ არის დიდი, ჩემისთანა უღირსზე აჩვენე შენი მოწყალება, ნუ ძლევს ჩემი ბოროტება შენს სახიერებას, რამეთუ მიუწვდომელი და გამოუთქმელია შენი საქმენი და ვინც წმიდა გულით შეინანებს შენდა მომართ, მიჰმადლებ შენდობას, რადგან „შენია წყალობა და შენ გშვენის დიდება, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.“

მოამზადა თორნიკე კვინიკაძემ

IV მსოფლიო საეკლესიო კრება

431 წელს მესამე მსოფლიო კრებამ დაგმო ნესტორის მწვალებლური სწავლება ქრისტეს მხოლოდ ერთი, ადამიანურ ბუნების შესახებ. თუმცა კამათი ეკლესიაში ამის შემდეგაც გაგრძელდა. კონსტანტინეპოლის ერთ-ერთი მონასტრის ბერი, არქიმანდრიტი ევტიქი, რომელმაც თავი როგორც ნესტორის შეურიგებელმა მოწინააღმდეგემ, ისე გამოაჩინა, მეორე უკიდურესობაში ჩავარდა და ახალი ერესის მამამთავარი გახდა.

მისი მტკიცებით, რამდენადაც უფალ იესო ქრისტეში ღმრთაებრივმა ბუნებამ კაცობრივი ბუნება მთლიანად შთანთქა, განკაცების შემდეგ მისი მხოლოდ ერთი ბუნება, ღმრთაებრივი უნდა ვაღიაროთ. ზოგიერთმა ეპისკოპოსმა ევტიქი მონოფიზიტური ერეტიკული შეხედულებისათვის პატრიარქის წინაშეც ამხილა.

451 წელს ქალკედონში მოწვეული იქნა IV საეკლესიო კრება. კრების სხდომები, რომელთაც 630 ეპისკოპოსთან ერთად იმპერატორი მარკიანე და დედოფალი პულქერიაც ესწრებოდნენ, წმიდა მოწამე ეფთვიმიას სახელობის ტაძარში ტარდებოდა, კონსტანტინეპოლის პატრიარქის ანატოლის თავმჯდომარეობით.

მამებმა გაკიცხეს ევტიქის ერეტიკული მოძღვრება და განკვეთეს იგი. კრებაზე კიდევ ერთხელ იქნა მხილებული და დაგმობილი ნესტორის ერესიც.

სხდომაზე წაკითხულ იქნა ეკლესიის ცნობილი მოძღვრების — ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, იოანე ოქროპირის და სხვათა თხზულებებიდან ის ადგილები, რომლებშიც იესო ქრისტეში ღმრთაებრივ და კაცობრივ ბუნებათა შეერთების საკითხი იყო განხილული ეკლესიის მნათობთა ნააზრევის საფუძველზე.

კრებაზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა დოგმატური სწავლება სამების მეორე ჰიპოსტასზე, მეორე პირზე — იესო ქრისტესა და მის განკაცებაზე. ამ სწავლების მიხედვით, იესო ქრისტე ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი კაცია, ღმრთაებით მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ხოლო კაცობრივად ჩვენთვის და ჩვენივე ხსნისთვის შობილი მარიამისაგან ქალწულისა, ჩვენივე მსგავსი, გახდა ცოდვისა. განკაცების შემდეგ, იგი ერთი პირია, მაგრამ ორი ბუნების მქონე, რომელიც მასში შეურევნელად, უცვლელად, განუყოფლად და განუყრელადაა შეერთებული.

კრებამ ეს სარწმუნეობრივი განსაზღვრება და, აგრეთვე, წინა სამი მსოფლიო კრების განსაზღვრებანიც ერთსულოვნად მიიღო და დაამტკიცა. სულ მის მიერ გამოცემულ იქნა 30 კანონი.

462 წლის 7 თებერვლის ედიქტით იმპერატორმა კრების დადგენილებანი დაამტკიცა. ედიქტში აღნიშნულ იყო, რომ: „აღსრულდა საყოველთაო მოლოდინი, ბრძოლა მართლმორწმუნეობის გამო შეწყდა და მისი ერთობა ხელახლა აღდგა. ახლა უკვე აღარ ექნება ადგილი მტრობას, რადგან მხოლოდ უღმრთოს შეუძლია იფიქროს, რომ ამდენი ეპისკოპოსის მიერ გამოტანილი განაჩენის შემდეგ, მისი ჭკუისთვის გადასაწყვეტი, რაღაც მაინც დარჩა“.

„შავ სამოხელმი ნაპოვნი ცხოვრება“

ყველა იმ ადამიანისთვის, ვისი ცხოვრების გზაც ბერ-მონაზვნობაა, ღვთისგან უდიდესი მადლი და წყალობაა. ჩვენთვის კი მათთან ურთიერთობა ან თუნდაც დანახვა რაღაც შინაგანი სიხარული, პატივისცემა და მოწიწებაა...

დღეს ჩვენი რესპონდენტი ყოვლადწმიდა სამების ლავრაში მოღვაწე ბერი ანდრიაა (ალადაშვილი).

„იცით, რა მენატრება ბავშვობის პერიოდიდან?
- მიწის სუნი მომენატრება ხოლმე"

— დაგვლოცეთ მამაო!
— ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!..

— მამაო, თუ შეიძლება, თქვენს ბავშვობაზე გვესაუბრეთ.

— რა თქმა უნდა, შეიძლება, თუმცა სასიამოვნო არაფერი მახსენდება; ძალიან მძიმე ბავშვობა მქონდა. იცით, რა მენატრება ბავშვობის პერიოდიდან? — მიწის სუნი მომენატრება ხოლმე, ხვნის პროცესი. ხვნისას მიწა რომ ამობრუნდება, სასიამოვნო სუნი აქვს. ბავშვობა მინდორში მაქვს გატარებული. 12 წლის ვიქნებოდი, როცა ფიზიკური შრომა დავიწყე. მამაჩემმა სამუშაო დაკარგა და ოჯახი ჩემი სარჩენი გახდა. სულ ვმუშაობდი და მენატრებოდა ხოლმე ბავშვებთან თამაში.

ერთხელ, მახსოვს მინდვრიდან გამოვიქეცი, არც მუშაობა მინდა, არც არაფერი, მხოლოდ დასვენება და ბავშვურად ცხოვრება-მეთქი. თბილისშიც ჩამოვდიოდი, მაგრამ წარუმატებლად მიდიოდა ჩემი საქმიანობა... მაშინ მქონდა მხოლოდ ერთი მიმართულება: მშობლები, ოჯახი და ლუკმა პურის შოვნა, რეალობიდან ძალიან შორს ვიყავი, მიკვირს ისე როგორ ვცხოვრობდი.

ბებია მორწმუნე ქალი იყო, ზაფხულში მასთან ვრჩებოდი ხოლმე. ერთხელ მახსოვს, დედა მომენატრა ძალიან, დავიწყე „ლოცვა“ რომ ავტობუსს ჩამოჰყოლოდა. როგორი „ლოცვა“ ვიცოდი იცით? — „ალახ-მალახ...“ — მხოლოდ ეს სიტყვებიღა დამამახსოვრდა, ჭეშმარიტ ლოცვაზე წარმოდგენა არ მქონდა.

„ჩვენ გვავიწყდება, რომ წუთისოფელში წუთიერად ვართ“

„ბოროტი შეშარვით მოქმედებს და ადვილად მიჰყავს თავისთან ახალგაზრდები“

„გვმართებს მეტი სიყვარული“

„შევეწიოთ ერთმანეთს, მარტო ძალიან გაგვიჭირდება“

„ვაცნობიერებდი ჩემს დაცემულ მდგომარეობას. მაგრამ არ მყოფნიდა ძალა ისევ დავბრუნებულიყავი მოძღვართან"

— როგორ მიხვედით ეკლესიამდე?

— ჯანსაღი ხედვა სარწმუნოებისადმი არ მქონდა. ერთხელ, შევხვდი ერთ ქალბატონს, პედაგოგი იყო. ის არის პირველი ადამიანი, ვინც ქრისტიანობაზე მესაუბრა. ღმერთმა აცხონოს მისი სული; ჩვენი ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ იმ მცირე დროშიც დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში.

კარგა ხნის შემდეგ სოფელში შევხვდი კაცს, რომელიც ქუჩაში ქადაგებდა. როცა წასასვლელად გაემზადა უკან გავყევი, იქნებ მეც მომიყვეს რამე მეთქი. იმ ქალბატონის მერე ასეთს არავის შევხვედროდი. სახლში წამიყვანა და სახარება მაჩუქა.

ეს კაცი იყო ბაპტისტი. კრებებზეც დავიწყე სიარული, მაგრამ იქ ისეთ შინაგან სიცივეს ვგრძნობდი, ვერ გავჩერდი და წამოვედი. ცოტა ხანში იეღოველების სექტაში აღმოვჩნდი. საკმაოდ წარმატებული მოსწავლე ვიყავი, ცოტა ხანში უნდა „მოვენათლე“, მაგრამ ვერც მათთან ვპოვე დასაყრდენი ძალა.

ჩვენს სოფელში არის წმინდა სტეფანე ხირსელის მონასტერი. ამ მონასტერში პატრიარქის კურთხევით ჩამოვიდა ბერი, ამჟამად არქიმანდრიტი სერაფიმე (ჭედია). ძიებაში მყოფი ავედი მასთან მონასტერში და ერთი თვე დავრჩი, უფრო დიდი ხანი ვერ გავძელი — სხეულის ტკივილს ვგრძნობდი, სუნთქვა მიჭირდა. წამოვედი... ვგრძნობდი, რომ ყველაზე დიდ სიხარულს ვშორდებოდი. მონასტრის დატოვება და ცოდვების ჭაობში ჩაფვლა ერთი იყო. ყველანაირ ცოდვაში ჩავვარდი, რაც კი არსებობს. მგონი, თვითონ ვეძებდი ცოდვას. ვაცნობიერებდი ჩემს დაცემულ მდგომარეობას, მაგრამ არ მყოფნიდა ძალა ისევ დავბრუნებულიყავი მოძღვართან.

— მამაო, როგორ ახსნით იმ ფიზიკურ ტკივილს, რასაც მონასტერში ყოფნისას განიცდიდით?

— მე რომ მონასტერში წავედი, ჩემი მშობლები იეღოველების კრებებზე დადიოდნენ. თვითონ მოვაქციე ამ მიმდინარეობაზე. ახლობლები მომივარდნენ მონასტერში, შენი მშობლები საშინელ დღეში არიან, ასე როგორ დატოვეო? როგორც ხდება ხოლმე, ამის მერე დაიწყო ბრძოლა. „ჩემები ცუდად არიან, მე კი ასე თბილად მოვკალათებულვარ მონასტერში“. მივატოვე და წამოვედი. მთელი რიგი ჩამონათვალი იმისა, რომ ჩემი მონას-

ტერში წასვლა შეცდომა იყო — ეს ჩემი გამოცდა იყო, რომელიც ვერ ჩავაბარე წარმატებულად, ვერ გავუმკლავდი. ის ფიზიკური ტკივილები კი ბოროტისგან იყო, მებრძოდა და იმჟამად, დამამარცხა კიდეც. როგორც უკვე გითხარით, მონასტრის მადლს რომ მოვშორდი, ცოდვების ჭაობში ჩავეფალი ისე ღრმად, რომ მხოლოდ ხელიღა მიჩანდა. ისევ მამაომ მიშველა.. ჩამავლო ხელი და ამოიყვანა. ერთი წლის უნახავი მყავდა მოძღვარი, წირვა-ლოცვებზე არ დავდიოდი. ახალი წლის ღამე იყო, ვიფიქრე, წირვა იქნებოდა ღამისთევით და ავედი ტაძარში, უბრალოდ წირვას დავესწრები და მამაოს არ ვნახავ-მეთქი. მერიდებოდა მისი, ჩემი მდგომარეობის გამო. ჩავედი და ტაძარი დაკეტილი დამხვდა, ჩავიმუხლე შესასვლელ კარებთან და ავტირდი. ვტიროდი ჩემს დაცემულ მდგომარეობას, ჩემს სისუსტეს... „შე საცოდავო, იმის ღირსიც ვერ გახდი, რომ ტაძარში შესულიყავი...“ — ასე ცრემლებით შევხვდი ახალ წელს.

— მამაო, ბერობაზე ფიქრი როდის დაიწყეთ და რამ გადაგაწყვეტინათ ამ ვიწრო და ეკლიანი გზის არჩევა?

— ბერობაზე ფიქრი მაშინ დავიწყე, როცა პირველად დავრჩი წმინდა სტეფანე ხირსელის მონასტერში. საბოლოო გადაწყვეტილება კი ერთმა მნიშვნელოვანმა „შემთხვევამ“ მიმაღებინა: დიდი მარხვა დამთავრდა და გავხდი შეუძლოდ — ჯანმრთელობა შემერყა. ცხრა დღე მაღალი სიცხე მქონდა, საჭმელს ვერ ვჭამდი, ექიმები მიზეზს ვერ ადგენდნენ, სიცხეს ვერ მიგდებდნენ. შევშინდი, ვიფიქრე, აღსასრული მოახლოვდა-მეთქი. უფალს მხოლოდ იმას ვთხოვდი, აღსარების თქმა მომესწრო. შაბათი იყო, ავდექი და კედელ-კედელ მივაღწიე ტაძრამდე. შევედი და ჩავდექი მრევლის რიგში. მამაო აღსარებებს იბარებდა, იძახებდა სხვებს, მე კი არადა არ გამომიძახა; შემდეგ კი ადგა და საკურთხევლისკენ წავიდა, ფეხზე ვერ ვდგებოდი, მუხლები მეკეცებოდა, ვერც დაძახება შევძელი, უბრალოდ, თვალები გავაყოლე. საკურთხევლის კარებთან მისული შემოტრიალდა და ხელით მანიშნა მოდიო. ჩავაბარე აღსარება. მითხრა, ხვალ აუცილებლად ეზიარეო. კვირა დილით, ისევ კედელ-კედელ მივედი ტაძრამდე და ვეზიარე. ვეზიარე და სიცხემ დამიწია, საღამოს უკვე კარგად ვიყავი. ჩემები მიყურებდნენ და ვერ იჯერებდნენ. ეს იყო კიდევ ერთი სასწაული უფლის მიერ მოვლენილი და ამ შემთხვევამ დაუსვა წერტილი ჩემს ორჭოფობას, მტკიცედ გადავწყვიტე მონასტერში წასვლა, ამ სურვილს ვერავინ და ვერაფერი გადაეღობებოდა.

„ბავშვობაში მქონია განცდა, თითქოს ვნრც ვჯერდებოდი, ვნრვეს ვეძიებოდი... ოჯახმა იმაზე მიყო მომცა, ვიცოდი ოღონდ მიოცნებია...“

— მამა ანდრია, რას ნიშნავს იყო ბერი?

— ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, უპირველეს ყოვლისა ღვთის, შემდეგ კი ადამიანების წინაშე. სოფლისაგან განსვლა, ესაა შესვლა საბრძოლო ასპარეზზე. თითოეული ბერ-მონაზონი ჯარისკაცია ქრისტეს მხედრობისა. ეს არის ფარული, მადლმოსილი მოწამეობა. ვინც ამ „ხანგრძლივი მარტვილობის“ გზას ირჩევს, უარს ამბობს მიწიერ და ხორციელ სიამოვნებაზე. მართალია, რთულია, მაგრამ ამავე დროს დიდი სიხარული შემოაქვს ამ რთულ გზაზე სიარულს, თვით მაცხოვარი გწინამძღვრობს, არ გტოვებს მარტო, გრძნობ რომ სულ შენთანაა.

— გიჭირთ თუ არა ამ გზით სიარული?

— არა, არ მიჭირს, მიუხედავად იმისა, რომ განსაცდელები მრავლადაა. მძიმე ცხოვრება გამოვიარე და მიღებულ გამოცდილებას დღეს, ბერად ყოფნისას ვიყენებ. ღმერთმა დიდი ბედნიერება მარგუნა — დღეს მის უწმინდესობასთან ერთად ვცხოვრობ

ბერი ანდრია აღკვეცილან რამდენიმე წუთში

და მის ლოცვა-კურთხევას ვასრულებ. ჩემთვის უმნიშვნელოვანესია მასთან გატარებული ყოველი წამი...

ბავშვობაში მქონდა განცდა, თითქოს არც ვარსებობდი, არავის ვჭირდებოდი... დღეს კი ბედნიერი ადამიანი ვარ. საიდან ამომიყვანა უფალმა და დღეს სად ვარ?! უფალმა იმაზე მეტი მომცა, რაზეც ოდესმე მიოცნებია.

— მამაო, აღკვეცის შესახებ გვესაუბრეთ, რა ემოციები და გრძნობები ახლავს ამ დიდ საიდუმლოს?

— აღკვეცის შემდეგი წუთები — ეს არის სრული ბედნიერების განცდა წუთისოფელში. დიდი სიხარულის, სიყვარულის, სიმშვიდის განცდა; გრძნობ, რომ უფალი შენთანაა. როცა მახსენდება აღკვეცის გამოუთქმელი წუთები, მრცხვენია ჩემი თავის, რადგან უფალს, რომელმაც მე ულირსს ამხელა ბედნიერება მომანიჭა, ჩემი ცოდვებით ჯვარზე ვაკრავ; ვივიწყებ მის დიდ წყალობას, სუსტი ვარ და ვერ ვიღწვი, მეტი შემიძლია და არ ვაკეთებ — ეს უმადურობაა. მე არ ვიმართლებ თავს, ამ საქციელს ვერ გაამართლებ. ჩემს ცხოვრებას რომ გადავხედავ, ვხვდები, უფალი სულ ჩემთან იყო, არასოდეს მივუტოვებივარ, მის მოწყალებას ვხედავ ჩემს ცხოვრებაში. მაშინაც კი, როცა წარმართულ სექტებში ვიყავი, უფალი ისმენდა ჩემს ლოცვას — სულ ვევედრებოდი ჭეშმარიტება მაპოვნინე მეთქი, და მაპოვნინა კიდეც.

— როგორ ფიქრობთ, რა არის მთავარი იმისთვის, რომ ადამიანმა სწორი გზით იცხოვროს?

— მოთმინება, აბსოლუტურად ყველაფერში. მას მოაქვს სიმშვიდე და სიყვარული.

— დიდი მადლობა მამა ანდრია ასეთი გულწრფელი და სასარგებლო საუბრისთვის. ბოლოს, გთხოვთ რჩევა მოგვცეთ ახალგაზრდებს.

— ახალგაზრდები ადვილად ვიღებთ იმას, რაც გვესმის, მიუხედავად იმისა, ეს სასარგებლოა თუ არა. სამწუხაროდ, მზაკვრულად და შეფარვით მოქმედებს ბოროტი და ადვილად მიჰყავს თავისთან ახალგაზრდები. ამიტომ გმართებთ მეტი ყურადღება, დაფიქრება, განსჯა და განათლება.

როცა ადამიანში არაჯანსაღი აზროვნება მოიკიდებს ფეხს, რთულია მისი აღმოფხვრა. სიფხიზლე გვმართებს, რომ არ წამოვეგოთ ბოროტის დაგებულ ანკესს. ჩვენ წუთიერი სიამოვნებისკენ მივილტვით და რეალურად ვერ ვაფასებთ ჩვენს მდგომარეობას, გვავიწყდება, რომ წუთისოფელში წუთიერად ვართ. უფლისგან გამოვედით და მისკენ უნდა მივილტვოდეთ. გვმართებს მეტი სიყვარული. მოვუთმინოთ ერთმანეთს, ვიტვირთოთ ტვირთი ერთმანეთისა, მარტო ძალიან გაგვიჭირდება...

მოამზადეს
თამარ ჭანტურიამ და
ნონა სხირტლაძემ
/საღვთისმეტყველო
ინსტიტუტი/

ფილოსოფია

„ევროპის დაისი“

„ევროპის დაისი“ წიგნია, რომელიც მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში გამოქვეყნდა გერმანელი ფილოსოფოსის, კულტუროლოგისა და ისტორიკოსის ოსვალდ შპენგლერის (1880-1936 წ) მიერ. ამ მოვლენას იმთავითვე დიდი გამოხმაურება მოჰყვა. შპენგლერის წიგნმა მრავალი ადამიანი ჩააფიქრა იმდროინდელ ევროპაში მიმდინარე მრავალმხრივ პროცესებზე. მეცნიერმა სრულიად სხვაგვარად გაიაზრა მსოფლიო ისტორია, ადამიანთა საზოგადოებაში არსებული მდგომარეობა, კულტურისა და ცივილიზაციის ცნებები. შედეგად შპენგლერმა გამოთქვა საოცრად საინტერესო მოსაზრებანი, რომლებიც 21-ე საუკუნეშიც არ კარგავენ მნიშვნელობასა და აქტუალობას. მეტიც, მისი გარკვეული შეხედულებანი სადღეისოდ უფრო ყურადსაღებიც კი არის, ვიდრე მეოცე საუკუნის დასაწყისში.

წიგნის სათაურმა თავიდანვე მიიპყრო ყურადღება. საზოგადოების დიდი ნაწილი ძლიერ გააკვირვა ასეთმა დასათაურებამ. მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ევროპა (განსაკუთრებით მისი დასავლეთ ნაწილი) მატერიალურ-ტექნიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მანამდე არნახულ გზას დაადგა. ვითარდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობები. ერთი შეხედვით საყოველთაო პროგრესი იყო. შპენგლერმა კი სწორედ ასეთ დროს დაინახა პროცესი, რომელსაც „ევრიპის დაისი“ უწოდა. ეი. მან სრულიად სხვა კუთხით შეხედა არსებულ ვითარებას და აღმოაჩინა, რომ ევროპა სინამდვილეში რეგრესის გზას დადგომოდა, ხოლო ის, რაც პროგრესად აღიქმებოდა, ადამიანთა საზოგადოებისთვის დამღუპველი იქნებოდა.



განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა შპენგლერის მიერ „კულტურის სულის“ ცნების შემოტანა. „კულტურის სულის“ ცნების საშუალებით მან კიდევ უფრო მკაფიო ზღვარი გაავლო სხვადასხვა კულტურებს შორის ნიშნად იმისა, რომ თითოეულ კულტურას აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ყველასაგან განსხვავებული, საკუთარი სული. ეს სული განყენებულად არ არსებობს. იგი განფენილია კულტურის წარმომადგენლებში, ეი. ადამიანებში. თითოეული ადამიანი რომელ კულტურასაც ეკუთვნის, შესაბამისი კულტურის სულის მატარებელია. ამდენად ყოველი კულტურის სული განუმეორებელია, შეუდარებელია. მისი მხოლოდ გონების თვალით ჭვრეტა შედეგს არ მოიტანს. უაღრესად რთულია ერთი კულტურის წარმომადგენელი სრულფასოვნად ჩაწვდეს სხვა კულტურის სულს, მის ბუნებას, კანონზომიერებებს, შინაგან სამყაროსა და ამასთან დაკავშირებულ ნიშანთვისებებს. „ყველა დიდ კულტურას ახასიათებს მსოფლშეგრძნების საიდუმლო ენა, რომელიც სრულად გასაგებია მხოლოდ იმისთვის, ვისი სულიც მთლიანად ეკუთვნის ამ კულტურას“ — წერდა შპენგლერი.

შპენგლერის აზრით, კულტურა ცოცხალი სხეულია. მას აქვს ცოცხალი ორგანიზმისთვის დამახასიათებელი განვითარების ეტაპები.

ამგვარად, ყოველ კულტურას აქვს ბავშვობის, სიმწიფის, სიბერისა და სიკვდილის პერიოდები.

საინტერესოდ წარმოადგინა საკუთარი შეხედულებები ოსვალდ შპენგლერმა კულტურის სიკვდილთან დაკავ-



შირებით. ყველა კულტურას აქვს საკუთარი შემოქმედებითი რესურსი (ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები), მაგრამ, როდესაც ესა თუ ის კულტურა, მისი სული, ერთგვარად ამოწურავს საკუთარ შემოქმედებით ძალებს (მაგ: მეცნიერების, ხელოვნების სახით), იგი კვდება, იღუპება. ამდენად, ნებისმიერი კულტურის სულისმიერი რესურსების დაშრეტა იწვევს მის გარდაუვალ სიკვდილს.

„როგორც კი მიზანი მიღწეულია, შინაგანი შესაძლებლობები ამოწურული, კულტურა ქვავდება, სისხლი უდედდება, ღონე ეცლება — იგი ცივილიზაციად იქცევა“ — წერდა შპენგლერი. მეცნიერის აზრით, კულტურა სიკვდილის შემდეგ განაგრძობს არსებობას, მაგრამ უკიდურესად სახეშეცვლილი, უკვე ცივილიზაციის სახით. განსხვავება ამ ორ საფეხურს შორის იმდენად დიდია, რომ სანამ კულტურა ცოცხალია, მას არავითარი კავშირი არ აქვს ცივილიზაციასთან. ეი. კულტურა ჯერ კვდება და მხოლოდ ამის შემდეგ გარდაიქმნება ცივილიზაციად. ეი. ცივილიზაცია კულტურიდან ჰარმონიულად კი არ აღმოცენდება, არამედ კულტურის უკვე მკვდარი, უსიცოცხლო სხეულიდან.

საკუთარი შინაარსითა და ბუნებით ცივილიზაცია სიკვდილის ეტაპია, ხოლო კულტურა სიცოცხლისა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ცივილიზაცია იმთავითვე უსიცოცხლო, უსულო ნიადაგიდან აღმოცენდება, მისი საფუძველი მკვდარი კულტურაა. ხოლო კულტურა სულით ცოცხლობს და არსებობს. ეს დაპირისპირება კარგად ჩანს ცივილიზაციისა და კულტურის შედარებისას. ცივილიზაციის პერიოდში: სულიერება დაშრეტილია; გაბატონებულია ინტელექტი; ადამიანთა გულებიდან განდევნილია ღვთის სიყვარული, ღვთისმოსაობა; საზოგადოება მოცულია კოსმოპოლიტური აზროვნებით; სახელმწიფოები და ადამიანები ცდილობენ ძალები მიმართონ სხვა ქვეყნების დაპყრობას, ტერიტორიების გაფართოებას; ვითარდება იმპერიალიზმი და მასთან დაკავშირებული პროცესები; მძლავრი შეტევა მიდის ადამიანზე: იკარგება პიროვნების ინდივიდუალიზმი, უფასურდება და ქრება სხვადასხვა ღირებულებები, ცალკეული პიროვნებები ადამიანთა დიდ მასებში იკარგებიან. მთავარი სათაყვანებელი საგანი ხდება ფული. თვით სიცოცხლეს, და შესაბამისად ადამიანს, იმონებს მანქანა და ათასგვარი ტექნიციზმი. სულ უფრო მეტად იზღუდება თავისუფლება. მაშინ, როდესაც კულტურის პერიოდში ყოველივე სულიერებითაა განმსჭვალული, დომინირებს სულიერი კატეგორიები, ადამიანში ღვივის ღვთის სიყვარული, ადამიანები პატრიოტები არიან, მათთვის დიდად ფასეულია მშობლიური მიწა-წყალი, საზოგადოება ცდილობს საკუთარი ძალა მიმართოს შემოქმედებისაკენ და მასში დაიხარჯოს. „კულტურა და ცივილიზაცია — ესაა სულიერების ცოცხალი სხეული და მისი მუმია“ — აღნიშნავდა შპენგლერი.

მდგომარეობა საგანგაშო ხდება მაშინ, როცა კულტურის სული ნელ-ნელა კარგავს კავშირს მის მატარებელ ადამიანთან. როდესაც ადამიანი სულ უფრო ნაკლებად ურთიერთობს საკუთარ კულტურასთან, მაშინ იგი განწირულია ადრე თუ გვიან სიკვდილისათვის. კულტურის სულსა და ადამიანს შორის გამუდმებითი, მჭიდრო კავშირი უნდა არსებობდეს, სწორედ ეს განაპირობებს კულტურის სიცოცხლეს.

შპენგლერის აზრით, ცივილიზაცია ერთგვარად გარდაუვალი დასასრულია ყველა კულტურისათვის. ამ შემთხვევაში, მეცნიერი კულტურათა შიგნით გარკვეულ კანონზომიერ პროცესებსაც კი ამჩნევს. საკუთრივ ცივილიზაციად ქცეული კულტურის არსებობის დრო არ არის განსაზღვრული, მან შეიძლება კიდევ დიდხანს იარსებოს.

მიხეილ ბარნოვი

ნარკომანია

S O S !

ნუ იყიდი სულისთვის სიკვდილს!!!

ნარკომანია ის სენია, რომლითაც მსოფლიოს მასშტაბით უამრავი ადამიანი იტანჯება. სოციოლოგები მიიჩნევენ, რომ ეს ერთგვარი დევიაციაა, ანუ ქცევა, რომელიც საზოგადოებაში მიღებულ ნორმებსა და ჩარჩოებში არ ჯდება. ნარკოტიკი ისეთი ნივთიერებაა, რომელიც მკვეთრად ცვლის ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე პროცესებს, ზემოქმედებს გონებრივ და ემოციონალურ მხარეზე. სწორედ ეს უკანასკნელია, რაც ადამიანს უბიძგებს ამ ურთულესი და ტანჯვით აღსავსე გზისკენ.

ნარკომოვაჭრის დღიური

ძალიან ძნელია უცხო ქალაქში თავის დამკვიდრება. მითუმეტეს იმისთვის, ვინც ამას თავის სამშობლოში ვერ ახერხებს, მაგრამ ამას დადებითი მხარეც აქვს. მე მხოლოდ ახლა დავფიქრდი, რა ძვირფასია ჩემთვის ჩემი სახლი და დედაჩემი, საერთოდ ცხოვრებაზე დავფიქრდი. ამაში კი ერთი შემთხვევა განსაკუთრებით დამეხმარა. სწორედ ამ შემთხვევამ დამაწყებინა დღიურის წერა და ჩემი პირველი ჩანაწერიც სწორედ მის შესახებ მოგითხრობს, ძვირფასო დღიურო:

ორშაბათს, დილის ცხრა საათზე გამოვცხადდი სამუშაოზე. რა თქმა უნდა, მოხუცი ფეხზე დამხვდა და პირველმა დავალებამაც არ დააყოვნა. მისი ორსართულიანი სახლის სხვენი უნდა დამელაგებინა. პირველად მაშინ შევიტყვე, რომ მტვერზე ალერგია მქონდა, მაგრამ რას გავაწყობდი. უამრავ ძველ ნივთსა და მუყაოს შორის ვიპოვე წიგნი. ყოველ შემთხვევაში თავიდან ასე მეგონა, სქელი ყავისფერი ყდა ჰქონდა, გადავშალე და ხელნაწერი იყო, თან რამდენიმე ქართული ასო გავარჩიე, გაკრული ხელის ამოკითხვა გამიჭირდა. მაგრამ ეს ნამდვილად ქართული იყო, მაშინ გავიფიქრე, რა პატარაა ეს დდამიწა, ან იქნებ სულაც პატარა არაა და ქართველები ვართ ბევრნი.

არანაირი სურვილი არ მქონდა ჩემი ერთადერთი გასართობი იმ მოხუცი ქალისთვის გადამეცა, თანაც ისიც ვიფიქრე, იქნებ ეს დღიური მისია, წავიკითხავ, ბევრს შევიტყობ იმ ადამიანის შესახებ, რომელთანაც ვმუშაობ-მეთქი.

პირველ დღეს ცოტა წავიკითხე, სადღაც ათი ფურცელი, მეტი ვერ შევძელი. იქნებ მეტიც მომეხერხებინა, დაღლილობისგან ზედ რომ არ დამძინებოდა. უცნურია, მაგრამ სიზმარში წაკითხული ათი ფურცელი ხელახლა გადავიკითხე და ყველაფერი, როგორც ნამდვილი გაცოცხლდა ჩემს თავში.

⌘ ⌘ ⌘

— ნინოს ვეჩხუბე, გაიგო ჩემი გართობის ამბავი და ასე მითხრა, მე ბავშვს იმას არ გავუჩენ, ვინც საკუთარ თავს არ ეკუთვნისო. იმ საღამოს „ჩემი მეგობარი“ მოვუყვანე და სანამ იმან არ უთხრა, ჩემთან ერთად მკურნალობსო, არ შემირიგდა.

⌘ ⌘ ⌘

— უკვე ორი თვე გავიდა. ნინოსთან ყველაფერი კარგადაა, მაგრამ მე მგონი ჩემი საქმეა ცუდად. „ჩემი მეგობარი“ მეუბნება, ღრმად შეტოპეო.

რა უაზრობაა, ნებისმიერ წამს შემიძლია თავი დავანებო, როგორც დავიწყე, ისე დავასრულებ, ჩემი ნება არაა?!

⌘ ⌘ ⌘

ჩანაწერი სავარაუდოდ 5-6 თვის შემდეგ:

— მეტი ტყუილი აღარ შემიძლია, ეს იქით იყოს, დღე-დღეზე ბავშვი დაიბადება. მე კი ველარ ვმალავ, ფიზიკურად არ გამომდის.

ჩანაწერი ორი დღის შემდეგ:

— ჩვენი შვილისთვის ნაყიდი ფაიფურის სათამაშოებიც კი დალეწა, ნინო ცხოვრებაში არ მინახავს ასეთი გამწარებული, რომ დამემშვიდებინა, ჩემი ფეხით წავყევი ექიმთან და მკურნალობა დავიწყე.

ძალიან მიკვირს, რომ ვერ შევძელი დანებება. ერთი დღეც ვერ გავძელი და გავიკეთე. ნინომ არ იცის, ალბათ გაგიჟდება, რომ გაიგებს.

⌘ ⌘ ⌘

ჩანაწერი სავარაუდოდ ერთი წლის შემდეგ:

— საბოლოოდ გადავწყვიტე, სახლიდან უნდა წავიდე. არ შემიძლია, ოჯახს ამაში ვერ ჩავითრევ. სუსტი ვარ, სუსტი. ამ ჩანაწერებსაც მაგის გამო ვაკეთებ ალბათ.

გუშინ მამას ველაპარაკე. ვუთხარი, რომ სახლიდან მინდა წასვლა სამუშაოდ. მან არ იცის, რომ ჯერ კიდევ ვიკეთებ, მაგრამ ამის მიუხედავად, თითქოს იცისო, ისეთი უცნაური რაღაცეები მითხრა, ვერ მივხვდი, რა უნდოდა.

ნინო ჭინჭარაული

— შვილო, იცი, შაჰ-აბასმა თქვა: „რას გააწყობ იმ ხალხთან, რომელთაც სჯული და ცხოვრება ერთმანეთზე გადაუბამს, შეუსისხლხორცებია და სული ხორცზე მაღლა დაუყენებია. ხალხს, რომელსაც სული ასე აუმაღლებია. ჯერ ეს სული უნდა დაამდაბლებინო და მხოლოდ ამის შემდეგ შეეცადო მის დამონებასო.“ ჩემო ბიჭო, ნუ დაამონებინებ შენს სულს შაჰ-აბასს, გაძლიერდი და ღმერთით წადი.

— მამა, ღმერთი არ არსებობს და ეგ ყველაფერი რა შუაშია, ვერ მივხვდი.

— ეჰ, ჩემო შვილო, მოდი რაღაცას გიამბობ და წავალ. დედაშენი მელოდება დიდი ხანია. ერთხელ სკოლაში მასწავლებელმა მთელი კლასისაგან მოითხოვა უარეყოთ ღმერთი. მან ხატი დააგდო იატაკზე და სათითაოდ ბავშვებს აიძულებდა შეურაცხყოფა მიეყენებინათ მისთვის. მხოლოდ ერთმა მოსწავლემ განაცხადა ამაზე უარი.

— შენ რა!!! — გაუბრაზდა მასწავლებელი — გწამს ღმერთი?!

— თქვენ ამბობთ, ღმერთი არ არსებობსო, მაშინ ვილას მივაფურთხო? ან თუკი არსებობს, არ ჯობია თაყვანი ვცეთ მას?! აბა შვილო, მითხარი არ სჯობს თაყვანისცემა ღვთისა?! თქვა ეს, ადგა და წავიდა.

⌘ ⌘ ⌘

ჩანაწერი სავარაუდოდ ორი კვირის შემდეგ:

— დღეს საღამოს მივფრინავ, ბილეთი უკვე ავიღე და ყველას ვუთხარი, დამშვიდობება არ მიყვარს და არც ერთი მათგანის ნახვა არ მინდა აეროპორტში.

⌘ ⌘ ⌘

ასე იწყება მისი და ჩემი დღიურიც. ჩანს, რომ ამის შემდეგ ფურცლებია ამოხეული. მაგრამ ეს ყველაფერი არაფერია იმასთან შედარებით, რაც დანარჩენ გაყვითლებულ, ნახევრად დახეულ ფურცლებზე წერია.

ნარკოტიკი ადვილად ხდება ადამიანისთვის ისეთი რამ, რის გამოც ის უარს ამბობს ჯანსაღ ცხოვრებაზე. ბუნებრივია, ამას სასიკეთო არაფერი მოაქვს. უამრავ ქვეყანაში მისი მომხმარებელი დაგმობილია და არ ითვლება საზოგადოების ჯანსაღ წევრად, თითქმის ყველგან ნარკოტიკის მოხმარება დანაშაულად ითვლება და სათანადოდ ისჯება კიდეც. სამწუხაროდ, საზოგადოების ნაწილს ჯერ კიდევ არ აქვს გააზრებული ამ სენის სიმძიმე, სწორედ ეს ართულებს ნარკომანიასთან ბრძოლას. ნარკოტიკს თითქოს იმისთვის სინჯავენ, რომ არსებული პრობლემებით აღარ დაიტანჯონ, რეალურად კი პრობლემებს აასმაგებენ. ნარკოტიკი იწვევს რეაქციის შენელებას და ცხოვრების ემოციური მხარის გაფერმკრთალებას. ადამიანი დროებით ივიწყებს იმ უარყოფით ფაქტებს, რაც მასში ცუდ ემოციებს აღძრავს, მაგრამ მასთან ერთად ივიწყებს დადებითსაც, იმას, რისი გულისთვისაც აქამდე ცხოვრობდა.

იგი ნელ-ნელა ჯერ ფსიქიკურად ხდება დამოკიდებული, შემდეგ ფიზიკურადაც. ნარკოტიკზე ფსიქოლოგიური დამოკიდებულება ხშირად ერთჯერადი გამოყენებითაც ყალიბდება. ბევრმა ადამიანმა არ იცის, რომ ნარკოტიკი სიამოვნების მომგვრელი მხოლოდ პირველ ხანებშია, შემდეგ კი, დოზის გაზრდის მიუხედავად, იგი ხდება უფოთვის, დაძაბულობისა და დეპრესიის მიზეზი. უკუეფექტის მიუხედავად, ამ კატეგორიის ნაკომანები უკვე ველარ ახერხებენ ნარკოტიკზე უარის თქმას. გარდა ამისა, ზამალდამოკიდებულ ადამიანს სტრესი-სადმი მდგრადობა უქრება და იგი ველარანაირ მდგომარეობაში ვერ გრძნობს თავს მუვიდად. ნივთიერებებზე დამოკიდებულება დროთა განმავლობაში იწვევს შინაგან მოულილობებს და მთელ რიგ ფსიქიკურ თუ ფიზიკურ დაავადებებს. ნარკოტიკებზე დამოკიდებული ადამიანები ველარ ახერხებენ მათთვის აუცილებელი ცხოვრებისეული ცვლილებების სწორად წარმართვას.

ჩემთვის განსაკუთრებით საკვირველი იყო ჩანაწერის სათაური:

ოცი წლის შემდეგ

— ოცი წლის მანძილზე წამი არ გასულა ცოდვის გარეშე. გამხდარი, თვალებდალურჯებული, საცოდავი ადამიანები მოდიან ჩემთან, მთხოვენ წამალს. მე მათთვის ღმერთი ვარ, მათი ცხოვრება ვარ, რასაც მინდა, იმას ვუზამ თითოეულ მათგანს. სხვებისგან განსხვავებით, ალბათ, იმიტომ არ გავმდიდრდი, რომ მე თვითონაც ვხმარობ, ერთი სიტყვით **ბარიგა**, რა კარგი სიტყვაა არა, ძვირფასო დღიურო. მეც არ შევცვლილვარ, ისეთივე სუსტი ვარ, სუსტი. ალბათ იმიტომ ვწერ კიდევ და კიდევ. დიახ, ეს მე ვარ და მე დავბრუნდი. დღეს ერთ გოგოს უნდა შევხვდე, ვიღაც ახალია. მასაც, როგორც ყველას, ალბათ ფული არ აქვს, ვნახოთ რა იქნება.

⌘ ⌘ ⌘

საღამოს ჩანაწერი:

საშინელება იყო. მის თვალებში რაღაც შუქი, სინათლე დავინახე. უცნაურია, ჩემსავით მწვანე თვალები ჰქონდა. თითქოს სარკეში ვიყურებოდი. არ მომეწონა ის გოგო, ვუყვირე, გაეთრიე-მეთქი, უფულოდ არ გამოვა-მეთქი. წავიდა. იმედია, აღარ დაბრუნდება და თავს დამანებებს.

⌘ ⌘ ⌘

ჩანაწერი ერთი კვირის შემდეგ:

ახალი პარტია წამოვიღე და... მანქანის უკანა სავარძელზე არ დამხვდა!!! ისევ ის მწვანე თვალები. ტრასაზე მივდიოდი, თან მეჩქარებოდა და ველარ გავაჩერე. უცნაურად მელაპარაკებოდა, მამა გამახსენდა. ისე ლაპარაკობდა, როგორც ის, დიდი ხნის წინათ.

— გინდა ამბავი მოგიყვე? — თქვა და რომ დაიწყო, აღარ გაჩერებულა.

ერთხელ ერთი ლოთი ნავში ჩაჯდა და დილამდე ამაოდ ცდილობდა მეორე ნაპირზე გასვლას. გათენებისას ნახა, რომ ნავი ახსნილი არ იყო და ამიტომაც ვერ იძვროდა ნავი ადგილიდან. ხო სასაცილოა? — თქვა და აუტყდა ავადმყოფური სიცილი. ცოტა სული რომ მოითქვა, შემომხედა და მითხრა: იცი, ის ლოთი შენ გგავს.

— მე რატომ? — მოკლედ მოვჭერი.

— იმიტომ, რომ შენ ხარ ის ლოთი. უფრო სწორად, მე და შენ ვართ ერთად. ჩვენ ვერასდროს შევძლებთ ნავის დაძვრას. ნავის დაძვრა კი არა, სხარული დავკარგე, აღარაფერი მახარებს ამქვეყნად. იცი რატომ? მე ღმერთი დავივიწყე, ისე როგორც შენ, არა?! ჩვენ ერთნაირები ვართ — თქვა და ისევ სიცილი მოაყოლა.

დიდხანს ვიარეთ, ჩაეძინა და აღარ გადმოვაგდე მანქანიდან. იმ საღამოს კიდევ მელაპარაკებოდა. მე არ ვუსმენდი, მაგრამ ერთ-ორ სიტყვას მაინც მოვკარი ყური:

— ადამიანის ამქვეყნიურ ცხოვრებას მოგზაურობას ადარებენ, — ამბობდა ის. მართლაც, ჩვენ მოგზაურთა მსგავსად მარადისობისაკენ მივემგზავრებით. მისკენ მიმავალი კი ორი გზა არსებობს: ერთი, რომესაც ღმერთი სთავაზობს ადამიანს — არის სიკეთის და რწმენის, სამართლიანობის და სიწმინდის გზა. ამ გზით სასუფეველში მოხვდები. მაგრამ არსებობს გზაც, ეს

ნინო ჭინჭარაული

არის, როგორც ბაბუაჩემი იტყოდა, ვნებათა მონობის. გინდა მაგ გზას გაუდგე?! ერთი-ორი გრამით ზედმეტი გაიკეთე და მოხვდები მაგ „მარადისობაში“. ამას ისევ საშინელი სიცილი მოაყოლა, მაგრამ მე ხმა ბუნდოვნად ჩამესმოდა, გაბრუებული ვიყავი.

მეორე დილით ერთად ვისაუზმეთ. არ მცილდებოდა. ისე არც მე მინდოდა, რომ წასულიყო.

— შენ ოდესმე სცადე, თავი დაგენებებინა? — მკითხა სერიოზული ტონით და თან უეცრად.

— კი, როგორ არა. ვმკურნალობდი, — ვუპასუხე მე — მაგრამ ვერ შევძელი. გაბრაზებული მზერა მომაპყრო და მითხრა:

— იცი, ერთხელ თევზი ამოხტა ტბიდან სამყაროს შესაცნობად, მაგრამ სული შეეხუთა და უკან ჩახტა. დანარჩენ თევზებს კი უთხრა, რომ ზევით არაფერი იყო და ჩვენი ტბის გარდა, სიცოცხლე არსად არისო.

შენ ფიქრობდი, რომ მკურნალობდი და ტბიდან თავი ამოყავი. ეგ რას ნიშნავს?! — ხმამაღალი მრისხანე ტონით ამბობდა ის. მეც ვერ მოვითმინე და ვუპასუხე:

— ისე მელაპარაკები, თითქოს შენ არ გაიკეთე გუშინ ჩემთან ერთად. თუ ეგეთი მაგარი ხარ, მოდი, შენ თვითონ დაანებე თავი.

— მე... მე... მე, მე სუსტი ვარ, სუსტი. ალბათ იმიტომაც გიყვები ამ სისულეებს, როგორც შენ ამბობ, — თქვა, კარი გაიხურა და წავიდა.

იმ დილით ცოტა ზედმეტი მოუვიდა და შემეშინდა, არაფერი მოიწიოს-მეთქი და უკან გავყევი. გზაზე გადარბოდა, ვერ შენიშნა მწვანე შუქი, მისი თვალებივით მწვანე და წელში დარტყმა მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. მე მეჭირა მისი თავი და ჩავცქეროდი მის ჩასისხლიანებულ, სუსტი ადამიანის მწვანე თვალებს, ამოიოხრა და ბუნდოვნად გავიგონე სიტყვა — „მამა“.

⌘ ⌘ ⌘

ჩანაწერი ერთი თვის შემდეგ:

6 დღეა, რაც აქ ვარ და მხოლოდ დღეს გავბედე მისვლა. კარი ნინომ გამიღო, მან ვერ მიცნო, ისე მეც გამიჭირდა. ძალიან, ძალიან დაბერებულა. არ გახარებია, უფრო გაუკვირდა. მკვდარი ვეგონე, მაგრამ მაინც შემიშვა. სახლი ისეთივე იყო. სასტუმრო ოთახში დავჯექი. მაგიდაზე სურათს რომ შევხედე, ვეღარ ამოვისუნთქე, სუსტი ადამიანის მწვანე თვალები ამდენი ხნის შემდეგ ისევ შემომცქეროდნენ — ჩემი შვილის თვალები.

⌘ ⌘ ⌘

ჩანაწერი ორი წლის შემდეგ:

გპირდები, რომ აღარასოდეს გავაკეთებ ჩანაწერებს, ჩემო დღიურო და აღარასდროს გავიკეთებ ნარკოტიკს. ჩემი ბრალი იყო ჩემი შვილის სიკვდილი. ამ ყველაფრის მიუხედავად, კეთილმა ადამიანებმა მითხრეს, რომ ერთი შანსი კიდევ მაქვს. არ ვიცი, რამდენად შევძლებ, მაგრამ ის შანსი არსებობს.

შორენა გორგოძე

ნინო დაშნიანი

უფრო ფართო მასშტაბებით

რომ გავიხილოთ ეს სენი, იგი მოქმედებს ორ ფაქტორზე: საზოგადოების უსაფრთხოებაზე (იზრდება კრიმინალი, მცირდება სოციალური სიკეთე) და საზოგადოების ჯანმრთელობაზე, რაც მომავალ თაობაზე მნიშვნელოვნად აისახება. ნარკომანთა შვილები ხშირად იბადებიან თანდაყოლილი პათოლოგიებით, ფიზიკური და მენტალური დარღვევებით. უფრო მძიმე ჯგუფის ნარკომანებს კი რეპროდუქციის უნარი სრულიად უქრებათ. ამ ყველაფრის მიუხედავად მთავარი, რასაც ნარკომანი კარგავს არის ის, რისთვისაც ადამიანები დაბადებიდან სიკვდილამდე იბრძვიან, თმობენ უამრავ რამეს, იღებენ გარდამტეხ გადაწყვეტილებებს, სრულიად ცვლიან ცხოვრებას. ეს ისაა, რისკენაც ლტოლვა თითოეულ ადამიანში გენეტიკურად დევს, ეს თავისუფლებაა.

ზურა მახარაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

წმ. მღვდელმოწამე კირიონ II ცხუმის ეპარქიაში არსებული ვითარების შესახებ

(ისტორიის ფურცლები)

„ღმერთს რომ ერთგული ყოფილ ხოხოლეთ მოვუგებდეთ"

ჯემალ გამახარია
დინარა დარსალია

როგორც ცნობილია, 1906 წ. 3 თებერვლიდან 1907 წ. 24 იანვრამდე სოხუმის ეპარქიას სათავეში ედგა გამოჩენილი ქართველი მღვდელმთავარი, წმიდა ეპიკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი). 1886 წ. ბოლოდან, როდესაც სოხუმის ეპარქიას ჩამოაცილეს ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე), ეს იყო ადგილობრივ კათედრაზე ქართველი მღვდელმთავრის დანიშვნის პირველი შემთხვევა. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის უკომპრომისო მებრძოლის, „ნაციონალისტის", მთავრობის მიერ ამის გამო შერისხული და 1902 წ. იძულებით რუსეთში გადაყვანილი კირიონის კვლავ საქართველოში დაბრუნება პოლიტიკური ფაქტორებით იყო ნაკარნახევი.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში (1905—1907წწ.) სოხუმის ოკრუგში დემოკრატიული და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდში ადგილობრივი ქართველობა იდგა. ხელისუფლება იძულებული გახდა პირველად და უკანასკნელად ოკრუგის უფროსად 1905 წელს ქართველი თავადი ლ. ჯანდიერი დაენიშნა. 1905 წ. 26 მარტს აფხაზეთიდან საჩქაროდ გაიწვიეს უკიდურესი რეაქციონერი ეპ. არსენ იზოტოვი, ასევე მისი შემცვლელი, შედარებით ლიბერალური პოლიტიკის გამტარებელი ეპ. სერაფიმე ჩიჩაგოვი (1906 წ. 3 თებერვალი). ამ ვითარებაში სოხუმის კათედრაზე კვლავ რუსი ეროვნების მღვდელმთავრის დანიშვნა შეუძლებელი იყო. ხელისუფლება იძულებით დათმობაზე წავიდა და ასევე პირველად (1886 წ. შემდეგ) და უკანასკნელად სოხუმის კათედრაზე ქართველი ეპისკოპოსის დანიშვნას დათანხმდა (იმ დროისათვის ორლოვი—სევსკის ეპისკოპოსმა კირიონმა და სოხუმის ეპიკოპოსმა სერაფიმემ კათედრები გაცვალეს). სრულიად საქართველო მიესალმებოდა ამ გადაწყვეტილებას, ღირსეული მამულიშვილის სამშობლოში, კერძოდ, შავრაზმელთა სათარეშოდ ქცეულ სოხუმში დაბრუნებას.

სოხუმის კათედრაზე ეპისკოპოსი კირიონის დანიშვნა დროში დაემთხვა პეტერბურგში უწმინდესი სინოდის განსაკუთრებულ სათათბიროში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვას, რომელშიც ქართველი მღვდელმთავარი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. ამიტომ ეპარქიაში, სოხუმში ჩამოსვლა მან დანიშვნიდან 2 თვის შემდეგ — 1906 წ. 1 აპრილს, აღდგომის წინა საღამოს მოახერხა. იმავე თვის ბოლოს, ეპისკოპოსი კირიონი კვლავ პეტერბურგში დაბრუნდა ისე, რომ ვერც კი მოასწრო ეპარქიის გაცნობა.

როცა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი უწმინდეს სინოდში ჩავარდა და ცხუმელმა ეპისკოპოსმა ეპარქიაში დაბრუნება გადაწყვიტა, საკმაო ხანს შესაბამისი ნებართვა ვერ მიიღო. ამასთან დაკავშირებით, 1906 წ. 21 ივნისს იგი წერდა: „ვარ საპატიო პატიმრად ქალაქსა შინა პეტრესსა: კაჟს რისა შეეშინდება!" იქვე მოჰყავს ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები: „თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი." „საპატიო პატიმრობა" მაინც დასრულდა და 1906 წ. ივლისის ბოლოს ეპისკოპოსი კირიონი სოხუმში დაბრუნდა.

სოხუმის კათედრას იგი რეალურად 1906 წ. აგვისტო-ნოემბერში განაგებდა. დროის ამ

მცირე მონაკვეთში ქართველმა მღვდელმთავარმა რამდენიმე მიმართულებით უზარმაზარი სამუშაო ჩაატარა. ერთ-ერთი ასეთი მიმართულება გახლდათ მრევლთან შეხვედრები. ამ მხრივ მკითხველისათვის მეტად საინტერესო იქნება ეპისკოპოს კირიონის წერილი მამა იოსებ ჩიჯავაძისადმი (1906წ. 12 სექტემბერი). მასში აღწერილია 6-11 სექტემბერს ეპარქიის მიმოხილვისა და აფხაზებთან შეხვედრების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები.

გთავაზობთ ეპიკოპოსის კირიონის წერილს შესაბამისი კომენტარებით

მამაო წმინდაო!

ამ თვის ექვსს გავემგზავრე მოსახილველად აფხაზეთისა, იმ ღამეს დრანდის (ძველი დანდარი) მონასტერში დავრჩი, რომლის წინამძღვრადაც მე ვითვლები[1]. მეორე დღეს გზა და გზა აფხაზეთის სამრევლოები ვნახე, მომეტებული ნაწილი ეკლესიებისა და სკოლებისა უბედურ მდგომარეობაშია. რელიგიური რყევის წყალობით ქრისტიანობა აქ ძვალ-რბილში ვერ გასჯდომიათ, ვერ ქცეულა იგი მაღალი ზნეობის საჭიროებათ, — აფხაზების გულში ვერ გაუდგამს მას ფესვები. ზოგი მათგანი მხოლოდ სახელით ითვლებიან ქრისტიანებათ, ნამდვილათ კი მაჰმადიანობას აღიარებენ, რადგან ეს სარწმუნოება უფრო აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს და ზნე-ჩვეულებათა. ამასთან მაჰმადიანობა უფრო შეესაბამება მათ აწინდელ შეხედულებას და დაბალ კულტურას. აქაური ეპისკოპოსები რევიზიაზედ რომ მოვიდოდნენ რომელიმე საზოგადოებაში, მაშინვე ადმინისტრაცია და ადგილობრივი თავადაზნაურობა სხვა ცერემონიათა შორის შეაგროვებდნენ ნებით თუ ძალით 1000-2000 აფხაზს და ეპისკოპოსის თანდასწრებით მოჰნათლავდნენ. ამას დიდი წვალება არ უნდოდა, მონათვლა ძაან სადად ხდებოდა. ხალხს შეაგროვებდნენ დიდ-პატარას, წყალში შერეკავდნენ და მონათლამდნენ, ამის შემდეგ ელვის სისწრაფით მიფრინავდნენ დეპეშები პეტერბურგს, თბილისს. ჩემთვისაც სურდათ ეს უსაჭიროესი ნაწილი მიმოხილვისა გაემართად, „ათასამდე კაცს მოგანათლინებთო“, მითხრეს, მაგრამ ამნაირ მონათვლაზედ უარი განვაცხადე და ვურჩიე ჯერ რიგიანად შეემზადებინათ იგინი და მერე, როდესაც დარწმუნდებოდნენ მათ გულწრფელ გადაწყვეტილებაზედ, მოენათლათ. არსენი ეპისკოპოსს[2], — დათან და აბისონის წილიც ჰხდომია[3] მას, — ქართული საეკლესიო წიგნები აფხაზეთში, თურმე, სულ დაუგლეჯია და ბარბაროსული წესით გაუწყვია, იგი თურმე დიდის ზიზღით ექცეოდა ყველა ქართველს და ქართულს.

იმ ღამეს (7-ს) ახლად დაფუძნებული მოქვის დედათა მონასტერში[4] ვიყავი, შევემზადე და მეორე დღეს ვსწირე. წირვაზედ ხალხი საკმარისი დაესწრო. ღრმად მოხუცებულებს აქ არ ახსომთ, რომ მღვდელმთავარს აქ ეწიროს როდისმე. წირვა ქართულ-რუსული იყო. წირვის შემდეგ სიტყვა ვსთქვი ზნეობაზედ და მორჩილებაზედ. ჩემი სიტყვა გამოიწვია მოლოზნების ერთმანეთში მტრობამ და საჩივრებმა, მოლოზნები ერთმანეთსა სჭამენ.

მოქვის მონასტერი მთლად თლილი ქვისაგან არის აშენებული მაღლობზედ მდინარის ნაპირას და მშვენიერიცაა. შინაური მისი გეგმა წააგავს ალავერდს, მხოლოდ უფრო მომცროა და გუმბათი დაბალი აქვს. ამ სამი წლის წინად უძალადნიათ, ჩამოურთმევიათ მრევლისათვის და დედათა მონასტრად გადაუქცევიათ. მოლოზნებს შეწირულობით შიგნით გაუთეთრებიათ, თუნუქა გადაუხურნიათ, ხატები, შესამოსი და ზარები შემწირველებისაგან შეუგროვებიათ, რუსულ ენაზედ წირვა-ლოცვა შემოუღიათ და მთლად დაჰპატრონებიან ამ დიდებულ ტაძარს, რომელშიაც 114 მოლოზანი ითვლება. ესეთივე საქმე დაუმართნიათ დრანდის მონასტრისათვის, რომელიც სამრევლო ეკლესიათ ყოფილა, მრევლისათვის ჩამოურთმევიათ, დიდი მამული მიუზომიათ, მთელი ეკლესიებიც ზედ მიუწერიათ და მამათა მონასტრად გადაუქცევიათ[5]. ამგვარი საქმენი საგმირონი აქ ბევრი ჩაუდენიათ.

სადილად მონასტერში აფხაზების თავადაზნაურები იყვნენ, — მე მათ მოვაგონე ძველებური ქართველ-აფხაზთ ძმური განწყობილება და კავშირი, დავასახელე მრავალი შესანიშნავი ტაძარი და სიმაგრე ქართველთაგან მათთვის აშენებული და ამასთან — ვუჩვენე ის სამწუხარო მოვლენა, რომელმაც ამ ბოლო დროს თავი იჩინა ამ ორ მეზობელ და ერთ მიწაწყლის ერთა შორის. იმათ თქვეს: ეგ

მოქვის ტაძარი

სულ მტრების ხრიკები იყოვო; მითხრეს თქვენს აქ დანიშვნას დიდის სიხარულით მივეგებეთო, რადგანაც თქვენ, როგორც აქაური ქვეყნის შვილმა, ჩვენი ზნე-ჩვეულება, ხასიათი და საჭიროება კარგად იცითო და ყველას ადვილად მოუნახამთ წამალსო. მე ვუამბე მათ ოდესის უნივერსიტეტის პროფესორის (რექტორის თანაშემწის) ა. ი. ალმაზოვის მიერ თქმული სიტყვები, რომელმაც, როგორც ჩემმა ძველმა ნაცნობმა და მეგობარმა გადმომცა შემდეგი: „სოხუმიდან ორი წერილი მოგივიდა ჩემი ნაცნობისგანო (ნაცნობის სახელი ვერ ვათქმევინე, მე კი მგონია არსენი ეპისკოპოსის მეგობრის პროფესორი ოსტროუმოვისაგან[6] უნდა მიეღო), რომლებშიც მატყობინებდა, რომ როგორც კი მოვა კირიონი, აფხაზები მას მაშინვე მოჰკლავენო“. ამის პასუხად მითხრეს: ეგ ენაა მტრისაო, მათ ალბათ უნდოდათ თქვენ აქ არ მოსულიყავითო, და ამიტომ სურდათ შეეშინებინეთ. აკი არც დავიჯერე და ვერც შემაშინეს მეთქ, ამის დასამტკიცებლად პირველი მიმოხილვა ჩემი ახალი ეპარხიისა აფხაზეთიდან დავიწყე და აი ეხლა თქვენთან ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ ოჯახში.

წირვის შემდეგ სადილად მონასტრის დამფუძნებელთან ვიყავით. დავლიე აფხაზთა ერის სადღეგრძელო და ვსთხოვე აფხაზურად ემღერათ. ორი სიმღერა თქვეს. კილო ძაან წააგავს ოსურ სიმღერებს, თვით სიმღერებში ჩასართავად ვარადოსაც ხმარობენ. საზოგადოდ კილო ამათ სიმღერებისა ნაღვლიანია. ლექსები თითქმის არა ჰქონიათ.

9-ს ოჩამჩირეში მივედი და საღამოს ლოცვაზე ვიყავი. საყდარში ტარასი[8] ქართულ წიგნებს კითხულობდა და განაცვიფრა ჩვენებურმა კითხვის კილომ აქაურები. ადგილობრივმა საზოგადოებამ მთხოვა მეორე დღეს, კვირას, მეწირა, მაგრამ მთავრები და შესამოსები წინ გასტუმრებული მყავდა და არც მგალობლები ჰყოლიათ ოჩამჩირეში. წირვას დიდი საზოგადოება დაესწრო, გამოსვლისას სიტყვით მივმართე მათ ქართველების მნიშვნელობაზედ მისიონერულ და განათლების ასპარეზზედ, განვუმარტე აგრეთვე მნიშვნელობა წირვა-ლოცვისა სამშობლო ენაზედ. ოჩამჩირლებმა დეპუტაცია გამოგზავნეს ჩემთან, რომელმაც მომილოცა მშვიდობით მოსვლა, — პურ-მარილით მოსვლისას მომეგებნენ. აბხაზების სოფლებშიაც ყველგან პურ-მარილით მხვდებოდნენ. ოჩამჩირლების დეპუტაციამ მთხოვა დახმარება, რომ მუდამ ქართული წირვა-ლოცვა ჰქონდეთ, — მე ვურჩიე ქართული ხორო გაეწყოთ და სკოლა გაეხსნათ ქართული ენის სასწავლებლად. საზოგადოებამ სიტყვა მომცა, რომ აასრულებენ ჩემს რჩევას, ხოროსთვის გადასწყვიტეს წელიწადში 300 მანეთი გადაიხადონ. 100 მანეთიც მე ვუთხარი ეკლესიის შემოსავლიდან მიეცათ. ოჩამჩირეში 97% მცხოვრებლებისა ყოფილა ქართველები (მარგალები). თუმცა აქ წირვა-ლოცვა ქართულის ენაზედ ოფიციალურად დაშლილი ყოფილა, მაგრამ ძალა დაუტანებია საზოგადოებას მღვდელ-დიაკვნისთვის და ქართული წირვა-ლოცვა გაუჩაღებიათ.

10-ს ღამე გავატარე ჩემს მონასტერში — დრანდაში. მეორე დღეს დილით ვნახე დრანდის მთაში გვირაბები, ძველად გამოკვეთილი მდინარის პირამდის. მერე წავედი ახლომდებარე ქილის სანახავად. ქილა წარმოადგენს პატარა მონასტერს, რომელშიაც ოცამდე ბერია და კარგა დიდი ვენახია გაშენებული მის გარშემო. ამ ქილის ახლო სახლობენ ესტონები და მეგრელები. მეორე ქილის ნახვა ვეღარ მოვასწარ. მონასტრის წიგნთსაცავში ექვსი ხელნაწერი ვნახე ქართული, რომლებიც დრანდის მონასტერს დარჩენია მღვდელმონაზონ ცნობილი კალისტრატესაგან[9]. ორი მათგანი ტყავზეა ნაწერი და დანარჩენი ქაღალდზედ. ერთი უფრო უძველესი ხელითნაწერი ეკუთვნის მეათე-მეთერთმეტე საუკუნეს.

მიმოხილვას ექვს დღეს მოუნდი და 11-ს საღამოზედ ჩამოვედი ცხუმში. აბხაზებს ძაან უკვირდათ ჩემი ცხენზედ ჯდომა. გზა კოდორის უჩასტკაში მეტად გაფუჭებული იყო ნიაღვრისაგან და ხშირად მიხდებოდა ცხენით მოგზაურობა. სამღვდელოების კრების შემდეგ მინდა ნოვოროსიისკში წავიდე[10] მოსახილველად ჩერნომორის გუბერნიისა და მერე იქნებ სართველოდ სოფელში წავიდე ორიოდე დღით. აქეთ ჩამოიარე პეტერბურგიდან, იქნება ერთად მოვახერხოთ წასვლა აქედან. შემატყობინე მანდიდან როდის გამოივლი.

ე. ჯ.

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲘ:

1. სოხუმის ეპისკოპოსები 1891წ. აპრილიდან დრანდის მონასტრის წინამძღვრობასაც ითავსებდნენ.

2. არსენი (იზოტოვი) — სოხუმის ეპიკოპოსი (1895 წ. 2 თებერვალი — 1905 წ. 26 მარტი), უკიდურესი შოვინისტი, რომელმაც ქართულ ენაზე ღვთისმსახურება და სწავლება აკრძალა. სოხუმის ქართული საზოგადოების მიერ ეჭვმიტანილი იყო 1895 წ. აღდგომა დღეს ქართული ბიბლიის დაწვაში.

3. უნდა იგულისხმებოდნენ აარონის შვილები ნადაბი და აბიჰუ, რომლებმაც უფლის წინაშე უცხო ცეცხლი მიიტანეს, რის გამოც „გამოვიდა ცეცხლი უფლისაგან და შთანთქა ისინი: დაიხოცნენ უფლის წინაშე“ (ლევიანნი, X, 1,2).

4. მოქვის ტაძარი რუსულ დედათა მონასტრად 1904 წელს გადაკეთდა.

5. დრანდის ტაძარი ეპ. გაბრიელის თაოსნობით 1871 წელს განახლდა როგორც სამრევლო ეკლესია. 1883 წლის 9 მაისს იმპერატორმა დააკმაყოფილა უწმინდესი სინოდის თხოვნა დრანდის რუსული მამათა მონასტრის დაფუძნების შესახებ; 1886წ 27 სექტემბერს მონასტერი ეპ. გაბრიელმა (ქიქოძე) აკურთხა. იმავე წელს მთავარმართებელმა მონასტერს 219 დესატინა მიწის ნაკვეთი გამოუყო.

6. იგულისხმება პროფესორი მ. ა. ოსტროუმოვი, უწმ. სინოდის წინასაყრილობო საკრებულოს II განყოფილების წევრი, რომელიც ქართული ეკლესიის აუტოკეფალიის აღდგენის წინააღმდეგ ილაშქრებდა.

7. ცნობილი აფხაზი პედაგოგი და სასულიერო მოღვაწე, დეკანოზი დიმიტრი მარდანია, 1894 წლიდან გუდაუთის უბნის ბლაღოჩინი მღვდელი, 1898 წლიდან — ოჩამჩირის აღდგომის ეკლესიის მღვდელი და უბნის ბლაღოჩინი.

8. იგულისხმება ეპ. კირიონის ეკონომოსი, 1939 წლიდან კი წილკნელი და ურბნისელი ეპისკოპოსი ტარას კანდელაკი (1871—1951წწ.).

9. მღვდელმონაზონ კალისტრატეს (ჩიჩუა) ექვსიფე ხელნაწერის აღწერა იხ.: წმინდა მღვდელმოწამე კირიონ II და აფხაზეთი. თბ. , 2006, გვ. 214—216.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲐᲠᲬᲘᲕᲘ

„მრწამს, მარად მინამებია,
მუდმივ სიყოფლე სულისა,
კარგისა, ქვეყნის მოყვარის,
ქვეყნის ბედისგან ნულოულისა“.
ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐ

ვაჟა-ფშაველამ, ბუნებასთან მოსაუბრე და მისი თითოეული წუხილის გამზიარებელმა პოეტმა, სულის მარადიულობის განცდასთან ერთად, მარადიული სახელიც დაგვიტოვა ქართველებს. მან ეს ღვთისა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით, უბრალოებითა და თავისი შემოქმედების განსაკუთრებულობით მოახერხა. სწორედ მის შემოქმედებაში შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ის როგორც ადამიანი, რომელმაც ბუნება მეგობრად, საუკეთესო მოსაუბრედ და თავისი განცდების გამომხატველად გაიხადა:

„ნეტავ, დაგლევდი, ბუნებავ
შენის ცოდვით და მადლითა“

ამ სიტყვებით, ვფიქრობ ყველაფერია ნათქვამი. ბუნებისადმი მისი ასეთი დამოკიდებულება, ალბათ, იმითაც იყო განპირობებული, რომ იგი მთის შვილი იყო.

ერთი გადმოცემის თანახმად, ვაჟა-ფშაველას შორეული წინაპრები მოხევეები ყოფილან, სოფელ სნოდან. მისი ნამდვილი სახელი და გვარი ლუკა რაზიკაშვილი გახლდათ, ვაჟა-ფშაველა პეტერბურგში შეარქვა თუშმა მეგობარმა დიმიტრი ცისკარიშვილმა. მან როგორც მთიელმა, იცოდა ფშავ-ხევსურეთში „ვაჟა“ ბიჭს, კარგ ბიჭს, ვაჟკაცს რომ ნიშნავდა. 1886 წლიდან კი მწერალმა ფსევდონიმი „ვაჟა-ფშაველა“ სახალხოდ დაიმკვიდრა. მას შემდეგშიც უხმარია სხვადასხვა ფსევდონიმი: „მწარია“, „ფშაველა ვეფხვაძე“, „ველაფშა“. რაზიკაშვილთა წინაპარი კი ხევსური ყოფილა, ამას ვაჟა-ფშაველა სიამაყით აცხადებდა და ამიტომ მისი ერთ-ერთი ფსევდონიმი „ჟულაკა გოგოჭურიც“ იყო.

იგი დაიბადა 1861 წლის 14 ივლისს. ახალდაბადებულს შავი თმა თვალებზე ჰქონია ჩამოფარებული. მნახველებს უთქვამთ, ეს იმის ნიშანია დავლათიანი იქნება, სახელიანიო. პავლეს, მის მამას, სოფლის მღვდელს, თავის ექვს შვილში ეს მესამე განსაკუთრებით ჰყვარებია.

ვაჟა-ფშაველა ათ წლამდე ჩარგალში იზრდებოდა, შემდეგ თელავის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. 1877 წელს სწავლა თბილისის ალექსანდრეს სახელობის ორკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში განაგრძო, შემდეგ — გორის სემინარიაში, ბოლოს — პეტერბურგში. 1882 წელს იგი გაანაწილეს სკოლის მასწავლებლად სოფელ ტოლათსოფელში. მალე, თავად ამილახვრის ოჯახში შინამასწავლებლად მიიწვიეს და აქვე დაოჯახდა ამილახვრის უკანონო შვილზე, კეკე ნებიერიძეზე.

მას წვრილშვილი ჰყავდა და ლუკმა-პურის საშოვნელად დიდი ჯაფის გაწევა უხდებოდა. იგი ბევრს შრომობდა, მაგრამ გაჭირვებას თავს

მაინც ვერ აღწევდა. როგორც ამბობენ, ჯან-ღონე კი დიდი ჰქონდა. მაგრამ მეურნის გონება კი არა, რადგან მისი ფიქრი სულ სხვაგან ჰქროდა, როცა „თავისი ანგელოზები“ ეწვეოდნენ, მუშაობას თავს ანებებდა და მოწოდების აღსასრულებლად გარბოდა. ერთხელ ცოლმა უსაყვედურა, „ჩვენ საჭმელი არა გვაქვს, შენ კი სულ ჯღაბნი და ჯღაბნო, ვაჟა-ფშაველას გასცინებია და უთქვამს: — ეჰ, შე საწყალო, უსწავლელი ხარ და რა გითხრა, ნასწავლი რომ იყო, მაგ სიტყვებს არ გაპატიებდიო.

როცა თბილისში წამოვიდოდა თავის ნაწერებს ჭრელ ხურჯინში ჩააწყობდა, პირველად ილიასთან შეივლიდა, რომელიც აღფრთოვანებით ამბობდა: „ჩვენ, ძველებმა, ახლა კალამი უნდა ძირს დავდოთ და გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ“. იმ ხურჯინს იქ დაბერტყავდა, შემდეგ კი იქიდან გადმოყრილი განძი ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებს ამდიდრებდა და ამშვენებდა.

1902 წელს გარდაეცვალა კეკე, საყვარელი მეუღლე. მან ლექსს გაანდო თავისი წუხილი:

„იას უთხარით ტურფასა,
მოვა და შეგჭამს ჭიაო,
მიწავ, შენ გებარებოდეს,
ეგ ჩემი ტურფა იაო“.

მალე ვაჟა-ფშაველამ შეირთო მეორე ცოლი, თამარი, რომელთანაც მას ერთი შვილი, ვახტანგი შეეძინა. ეს იყო მისი მეხუთე შვილი.

მძიმე შრომამ და გაჭირვებამ ვაჟა-ფშაველას მალე შეურყია ჯანმრთელობა, მას ფილტვების პლევრიტი დაუდგინეს და ოპერაციაც გაუკეთეს. ერთხანს თითქოს მოიკეთა თავი. დიდი მგოსნის გამოკეთებით ისარგებლა ქართულმა საზოგადოებამ და ლიტერატურული საღამო გაუმართა. ამ არაჩვეულებრივი საღამოს შემდეგ ვაჟა-ფშაველას მიართვეს დაფნის გვირგვინი წარწერით „ქართული პოეზიის არწივს“.

1915 წელს ვაჟა-ფშაველამ მთელი ზამთარი იავადმყოფა. იგი წმინდა ნინოს სახელობის ლაზარეთში (ახლანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა) გადაიყვანეს, სადაც 27 ივლისს გარდაიცვალა. გარდაცვალების წინ სანდრო რაზიკაშვილს, მამა დავითიდან წყალი მოატანინა, ჩვენი მთის წყალს ჰგავსო.

უპირველესად უდიდესი ადამიანი და შემდეგ მწერალი, ჯერ დიდუბის პანთეონში დაკრძალეს, გარდაცვალებიდან 20 წლის თავზე კი მთაწმინდაზე აასვენეს, რადგან ტიციან ტაბიძისა არ იყოს „მთაწმინდა ისე არავის ეკადრება, როგორც ამ მართლა წმინდა მთას.“

თამთა გულბიანი

თანამედროვე ქართული სამოსის ფესტივალი

სამოსის ტარების აუცილებლობა პირველმა ადამიანებმა ცოდვით დაცემისთანავე იგრძნეს: „და განეხუნეს თუალნი ორთანივე და აგრძნეს, რამეთუ შიშუელ იყვნეს და შეკერეს ფურცელი ლეღვისა და ქმნეს თავთა თვისთა გარემოსარტყმელნი“ (დაბ. 3,7). ხოლო სამოთხიდან გამოდევნის წინ „უქმნა უფალმან ღმერთმან ადამს და ცოლსა მისსა სამოსელნი ტყავისანი და შეჰმოსნა მათ“ (დაბ.3,21). ამ დღიდან სამოსი ადამიანის ცხოვრების განუყრელ ატრიბუტად იქცა.

გადიოდა დრო და იცვლებოდა სამოსის როგორც გარეგნული იერსახე, ასევე მისი შინაგანი დატვირთვაც. საზოგადოების განვითარებასთან ერთად, სამოსი უკვე ემსახურებოდა არა მხოლოდ სიშიშვლის დაფარვას, არამედ იგი გამოხატავდა საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის განსხვავებასაც. ცალკე აღნიშვნის ღირსია საღვთისმსახურო-სარიტუალო სამოსი, რომელიც თავისი ფორმით და ნიშან-სიმბოლოებით მკვეთრად სხვაობდა საერო შესამოსლისგან. გარდა ზემოთ აღნიშნულისა სამოსი საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა, როგორც ამა თუ იმ ერში კოდირებული ეთნოფსიქოლოგიური მონაცემების გარეგნული გამოხატულება.

ამ მხრივ ქართველი ერი გამორჩეულია. ჯერ კიდევ ქრისტიანობის მიღებამდე ქართველი ხალხი თავისი სულიერი კულტურით თუ მენტალიტეტით განირჩეოდა მეზობელი ხალხებისგან.

ქრისტიანობის მიღებამ კი, რომელიც სახელმწიფო რელიგიის რანგში იქნა აყვანილი, დიდი როლი ითამაშა ქართული ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში. ყოველივე ეს, ბუნებრივია, აისახა ქართველი ადამიანის ყოფაში, კონკრეტულად კი მის ჩაცმულობაში.

უნდა ითქვას, რომ ქართული სამოსი მეტად მრავალფეროვანია. საქართველოს თითოეულ კუთხეს თავისი დამახასიათებელი ჩაცმულობა გააჩნია, თუმცა შესამჩნევადაა მასში საერთო ქართულიც, რაც ბუნებრივია. მამაკაცის ჩაცმულობა ხაზს უსვამს ქართველი კაცის მებრძოლ სულს და მის ვაჟკაცობას, ხოლო ქალის ჩაცმულობაში ასახულია ქართველი მანდილოსნის ზნეობა, კდემამოსილება და სათნოება.

აღსანიშნავია, რომ სამოსის შესაქმნელად საჭირო მასალას ქართველი ადამიანი თვითონ ქმნიდა ადგილობრივად მოძიებული მცენარეული თუ ცხოველური საშუალებებით, იქნებოდა ეს მატყლი, აბრეშუმი, სელი, ბამბა და სხვა. გამომდინარე აქედან საქართველოში გამოყენებითი ხელოვნების მრავალი დარგი იყო განვითარებული ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში, როგორც ამას აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს. ქსოვა, ქარგვა, რთვა-ჩეჩვა თუ ღებვის წესები ყველა ქალს უნდა სცოდნოდა და ოდითგანვე ისინი ზრუნავდნენ, როგორც ოჯახის წევრთა ჩაცმა-დახურვაზე, ასევე სხვადასხვა საყოფაცხოვრებო და საეკლესიო-საღვთისმსახურო ნივთების დამზადებაზე. ეს ყოველივე კი საუკუნეთა მანძილზე თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ნაქსოვი და შეკერილი საერო თუ საღვთისმსახურო სამოსი და ნივთები ბოლოს იქარგებოდა მრავალფეროვანი ორნამენტებით. ქართული ნაქარგობა

გამოირჩევა ფერთა პალიტრით და ამ ფერების ერთმანეთთან შეხამების ჰარმონიულობით, მაღალი ოსტატობით, დახვეწილი გემოვნებით, მდიდარი ფანტაზიით, ტექნიკური ხერხების მრავალფეროვნებით. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საეკლესიო ნაქარგობა. რაც შეეხება ქართულ ფერებს — ისინი ორიგინალურია და, რაც მთავარია, მიღებულია ბუნებრივი საშუალებებით.

ქართველთა დახვეწილი ხელოვნების შესახებ უცხოელებსაც მრავალჯერ გამოუთქვამთ აზრი სხვადასხვა ეპოქაში. ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტე (ქრ. შობ-მდე 485-422 წწ) ამბობდა რომ იმდროინდელი კავკასიის მთიელები ბრწყინვალედ ქსოვდნენ, ქარგავდნენ და რომ ეს ნაქარგობა არ ხუნდებოდა.

ვენეციელი მოგზაური მარკო პოლო (XIII ს.) თბილისის აღწერისას გვაუწყებს: „აქ ამზადებენ აბრეშუმისა და ოქროს ქსოვილებს. ასეთ ლამაზს ვერსად ნახავ“.

მწერალი ოლღა ფოში წერს: „ქართველმა ქალებმა ნემსი აიყვანეს სახელმოხვეჭილი მხატვრის ფუნჯისა და მოქანდაკის საჭრეთლის სიმაღლეზე“.

სამწუხაროდ დღეს გლობალიზაციის მძაფრი შემოტევის პირობებში საფრთხე ემუქრება პატარა ერების არსებობას, მათ სულიერ-კულტურულ იდენტობას. ამ გამოწვევის წინაშე დგას საქართველოც. მართალია ის სულიერი კულტურა, რაც ქართველს ოდითგან გააჩნდა და საუკუნეთა მანძილზე იძერწებოდა, დღესაც არ არის დაკარგული, თუმ-

ცა დიდია მისი გაქრობის საშიშროება. გამოსავალი კი ერთია — აღორძინება ეროვნული ტრადიციებისა და კულტურისა, რომელიც დაფუძნებული იქნება სულიერებაზე და ამის ერთ-ერთი გამოვლინება არის სწორედ ხალხური ხელსაქმეც. მისი აღდგენა და განვითარება დიდად წაადგება ეროვნულ საქმეს.

ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ღვაწლი და მისი გამუდმებული ფიქრი და ზრუნვა ამ დარგის აღორძინებისათვის. ჯერ კიდევ 1985 წელს უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით საქართველოს საპატრიარქო რეზიდენციაში შეიქმნა ხალხური რეწვის განყოფილება, ხოლო 1994 წლიდან თბილისის სასულიერო აკადემიის ქრისტიანული ხელოვნების კათედრასთან გაიხსნა საეკლესიო ნაქარგობის სახელოსნო. ასევე სხვადასხვა ქალაქებსა და რეგიონებში არსებულ სამრევლო სკოლებში დაინტერესებული ადამიანები ეუფლებიან გამოყენებითი ხელოვნების მრავალ დარგს.

2006 წლის 3-6 სექტემბერს უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის საგამოფენო დარბაზში, ჩატარდა საერო და საეკლესიო გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა. ამ გამოფენაზე დაიბადა იდეა შექმნილიყო თანამედროვე ქართული სამოსი ტრადიციული შესამოსლის ელემენტთა გათვალისწინებით. სწორედ ამ იდეის განხორციელებას ემსახურება ფესტივალი — „თანამედროვე ქართული სამოსი“, რომელსაც 2009 წელს ასევე კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა კურთხევით ჩაეყარა საფუძველი. ავტორი და ხელმძღვანელი, ფესტივალის პროექტისა, გახლავთ ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი), ხოლო კოორდინატორები თინათინ მაჭავარიანი და თამარ მეშველიანი. ამჟამად მიმდინარეობს მოსამზადებელი ეტაპი — ხდება მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება და განხილვა. ტარდება საინტერესო ლექცია-სემინარები ამ დარგში დახელოვნებული სპეციალისტების მონაწილეობით. ფესტივალის ფარგლებში იგეგმება კვირეულის ჩატარება, რაც მრავალ საინტერესო ღონისძიებას მოიცავს, მათ შორის გამოფენებსაც, სადაც დამთვალიერებელს საშუალება ექნება იხილოს როგორც თანამედროვე ისე, ტრადიციული შესამოსლის ნიმუშები და ასევე სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები. ფესტივალში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ სამოდელო ბიზნესის წარმომადგენლებმა, სამოდელო საქმის სპეციალისტებმა და ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა საქართველოს ყველა კუთხიდან. განცხადებები მიიღება საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში. აქვე შეგიძლიათ მიიღოთ პასუხები თქვენთვის საინტერესო კითხვებზე და დაესწროთ ლექცია-სემინარებს, რომლებიც ტარდება ყოველ პარასკევს 4 საათზე.

ნანა გულორდავა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ „ᲔᲠᲗᲘᲡᲣᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ „ᲝᲥᲠᲝᲡ ᲗᲐᲕᲗᲐᲕᲘ“



12 ოქტომბერს, კინოთეატრ ამირანში, გაიმართა საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ მიერ ორგანიზებული სტუდენტური კინო - ფესტივალის „ოქროს თავთავი“-დახურვის ცერემონიალი.

კინოთეატრის დარბაზში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. ამ დღეს ქართულმა ფილმმა ყველა გააერთიანა.

დამსწრეთაგან დიდი ინტერესი იყო, თუ რომელ ფილმს დაასახელებდა კომპეტენტური ჟიური საუკეთესო სტუდენტურ ნამუშევართა შორის. ასეთი ხუთი ფილმი შეარჩიეს.

საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ მადლობის სიგელი გადაეცათ:

მაგდა სურჯაძეს, ფილმისათვის — „ცამეტი ასურელი მამა“, ნუცა მაჭავარიანს ფილმისათვის — „მე თქვენ მიყვარხართ“ და გურამ თოდაძეს ფილმისათვის — „რაღაც სევდა“.

საზოგადოების ერთსულოვნების მნიშვნელობის საუკეთესო წარმოჩენისათვის, დიპლომი და „ფოკანის“ სახელოსნოში დამზადებული მინანქრის წმიდა გიორგის ხატი გადაეცა ლაშა აკულაშვილს, ფილმისათვის — „პრიქითა ხევსურეთი“.

ხოლო ამა წლის საუკეთესო ფილმისათვის „ვის უხმობს ზარი“ მთავარი ჯილდო და ვიდეო კამერა გადაეცა ნატო მდინარაძეს.

ფესტივალი „ოქროს თავთავი“ წელს პირველად ჩატარდა და ყოველწლიურ ხასიათს მიიღებს.

საინტერესოა ფესტივალის ორგანიზატორთა და მონაწილე სტუდენტთა აზრი ფესტივალთან დაკავშირებით. გთავაზობთ მათ მოკლე კომენტარებს.

დეკანოზი ზურაბ ცხოვრებაძე — სტუდენტური კინოფესტივალის ორგანიზატორი:

ფესტივალზე მუშაობა ზაფხულში დავიწყეთ. იდეის ავტორია საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ მთავარი რეჟისორი ლევან უმიკაშვილი. სწორედ ის გახლავთ მთავარი ორგანიზატორი ამ ღონისძიების. ჩვენს მიზანს შეადგენდა, გარკვეული სტიმული მიგვეცა სტუდენტური ფილმებისთვის, სტუდენტური ხელოვნებისთვის, ისეთი ფილმების გადაღებისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობდა ჩვენი ერის სულიერებისა და ზნეობის ამაღლებას, ერთსულოვნების იდეის გავრცელებას და პოპულარიზაციას. იმედია, ფესტივალს ყოველწლიური სახე მიეცემა.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲣᲛᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ — კინომცოდნე:

უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ ფესტივალები ბევრია, მაგრამ ეს არის უნიკალური იდეა, თავისი შინაარსითა და თემატიკით. აქედან გამომდინარე, ეს ფესტივალი არის ერთადერთი გზა, რათა დამკვიდრდეს ის თემები, ინტერესები, რომლებიც ახალგაზრდა კინომატოგრაფისტებს უნდა ამოძრავებდეს და აინტერესებდეს ნებისმიერ ქვეყანაში, რომელსაც პრეტენზია აქვს სულიერებაზე. ნათელია, ჩვენ ამ გზას ვადგავართ.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲣᲛᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ — კინოფესტივალისიდეის ავტორი და ორგანიზატორი:

„პროექტისათვის მზადება ზაფხულში დავიწყეთ. დავუკავშირდით ყველა უმაღლეს სას-

წავლებელს, რომლებმაც თავის მხრივ მოგვაწოდეს სტუდენტების მიერ გადაღებული ფილმები. კონკურსის შედეგად შეირჩა 47 ფილმი, ჟიურომ კი მათ შორის აარჩია ხუთი. იმედი გვაქვს, რომ ფესტივალ „ოქროს თავთავს“ ყოველწლიური ხასიათი ექნება. თქვენ თვითონ ნახეთ, თუ როგორი დაინტერესება ჰპოვა. დღეს უამრავი ადამიანი მოვიდა. ჩამოვიდნენ სტუმრები უცხოეთიდან, ამერიკიდან და დანიიდან. ისინი დაინტერესდნენ ქართული ფილმით, ქართული ხელოვნებით. ვფიქრობ, პროექტმა გაამართლა და საზეიმოდ ჩატარდა.“

ლაშა აკულაშვილი, — საზოგადოების ერთსულოვნების მნიშვნელობის საუკეთესო წარმოჩენისათვის დაჯილდოებული:

ფესტივალი საინტერესო იყო და დროული, რადგან ძალიან ბევრ დამწყებ რეჟისორს საშუალებას აძლევს თავისი შემოქმედება საზოგადოების წინაშე წარმოაჩინოს. ამით რეჟისორების წახალისებაც ხდება. იმედი მაქვს, ფესტივალი „ოქროს თავთავი“ უფრო დაიხვეწება და შემდგომშიც განაგრძობს არსებობას.

ნატო მდინარაძე — მთავარი პრიზის მფლობელი:

ეს ფესტივალი, პირადად ჩემთვის, მუშაობის გაგრძელების დიდი სტიმულია. ეს მართლაც მოულოდნელი სიხარული იყო. ნამდვილად არ ველოდი, რომ ჩემი ფილმი „გრანპრით“ შეფასდებოდა. ვაპირებ, მომავალშიც განვაგრძო რელიგიური ხასიათის დოკუმენტური ფილმების გადაღება. მადლობა ყველას.

ნათია გოგუაძე

ეს საინტერესოა

როგორ დავიძინოთ და როგორ გავიღვიძოთ

ჩვენი სიცოცხლის მესამედს ჰორიზონტალურ, მწოლიარე მდგომარეობაში ვატარებთ. ძალზედ მავნებელია რბილ საწოლზე, ჰამაკში და მაღალ ბალიშზე ძილი, რადგან ყოველივე ამას დროთა განმავლობაში გაუსაძლისი ტკივილები და ოსტეოქონდროზი მოჰყვება. გვერდზე წოლისას 3-ჯერ მეტ დატვირთვას იღებს ხერხემალი. გაიღვიძებთ თუ არა, რამდენიმე ვარჯიში შეასრულეთ საწოლშივე, გაიჭიმეთ, დაჭიმეთ ფეხის ტერფები (და არა წვერები), ეს ვარჯიში 3-4-ჯერ შეასრულეთ. შემდეგ მოდუნდით, წამოდექით და შეასრულეთ ყოველდღიური, ჩვეულებრივი ვარჯიშები.

პატიმრები — პეპლებზე მონადირენი

ფილიპინებზე, კუნძულ ჰალვანზე პატიმრებს იყენებდნენ პეპლების დასაჭერად. მკვლელები, ქურდები და სხვა დამნაშავეები ბადეებით გადიოდნენ ჯუნგლებში პეპლების უიშვიათესი ჯიშების მოსაძიებლად და დასაჭერად. ზოგიერთი პეპლის ღირებულება 550 დოლარიც კი იყო. ხანდახან ნადირობა რამდენიმე დღის მანძილზე მიმდინარეობდა. მონადირეებს თვალყურს ფხიზლად ადევნებდა დაცვა, რომლის წევრებიც საღამოხანს, ნადირობით დაღლილ მონადირეებს, ქვეწარმავლებითა და ნიანგებით სავსე ჯუნგლებში ხეტიალით დაქანცულებს, კარგად აპურებდნენ. პეპლებზე ნადირობა იმდენად მომგებიანი იყო თვით პატიმრებისათვისაც, რომ ჰალვანის ციხეში მოხვედრა, თითქმის ყველა პატიმრის ოცნებას წარმოადგენდა.

ფინალში გამარჯვებული გუნდები

I ადგილი:

დაბალი ასაკობრივი –
გუნდი „მოწყალე სამარიტელი“;
ჩოხატაურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლა.

მაღალი ასაკობრივი –
გუნდი „XI ჟამის მუშაკნი“;
ჩოხატაურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლა.

II ადგილი:

დაბალი ასაკობრივი –
გუნდი „კანდელი“; ხაშურის რ/ნ, დაბა სურამის III საჯ. სკოლა

III ადგილი:

დაბალი ასაკობრივი –
გუნდი „კიდობანი“; სენაკის №1 საჯ.სკოლა.

II-III ადგილი:

მაღალი ასაკობრივი –
გუნდი „ზანდუკი“; ქარელის წინდა გიორგი მთაწმინდელის სახ. გიმნაზია.

მაღალი ასაკობრივი –
გუნდი „ნინოწმინდელები“; საგარეჯოს რ/ნ, სოფ. ნინოწმინდის საჯ.სკოლა.